



მკვლევანი

სამთავროს წმიდა ნინოს ღვლთა მონასტრის კვირეული გამომცემა.
ქურნალი გამომცემის 2010 წლის 5 ივნისიდან, სამ თვეში ერთხელ.

23 ივლისი 2014. № 2-3 (15-16)



„მიყვარან მაყვალნი ეგე ჴენნი

და მუნ მნებაჲს ბონეპითა“

წმიდა მუჴე მირიანო

იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით

„როცა ვფიქრობთ იმაზე, თუ რა არის ქართული იდეა, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართველი ერის დანიშნულებაა – იქადაგოს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ხომ არსებობს წინასწარმეტყველება, რომ საქართველო, ქართველი ერი უკანასკნელ ჟამს გაბრწყინდება. ვიცით სახარებიდან, რომ უკანასკნელ ჟამს ყველგან დაეცემა რწმენა, ზნეობა, საქართველო კი ღვთის მადლითა და წყალობით გაბრწყინდება და, ჯილდოდ ამისა, როგორც დიდი მამა და მოღვაწე ამბობს, მეორედ მოსვლის ჟამს მთელი ქვეყნიერება განიკითხება „ქართულითა ენითა“. ეს იქნება კიდევ ერთი მადლი, რომელსაც მოგვანიჭებს უფალი. მადლობას ვწირავთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას, რომელმაც ინება, რომ იყოს პატრონი საქართველოსი...“


**უწმიდესი და უნეტარესი
ილია II**

© ყველა საავტორო უფლება დაცულია. ჟურნალ „მაყვლოვანში“ გამოქვეყნებული ტექსტებისა და ფოტომასალის გამოყენება აკრძალულია რედაქციის ნებართვის გარეშე.

ISSN 1987-5207

შპს (UDC) 27 + 271.2

მ – 407

	სსამეგრე შპს-საქართველოს სარეგისტრაციო სამსახური ძირითადი რეგისტრაციის №.....	მაშინარე რეგისტრაციის № 2-3(15-16) 14.07.14. თბილისი
	დასახელება: <i>ქუჩისა და ბუფონი</i>	
რეკონფენტი: <i>საქმინისტროს სახელმძღვანელო</i>		

შინაარსი

ლოცვა ყოვლადწმიდისა და ღვთივეკურთხე-
ულისა ქალწულისა მარიამისა6

კანონი წმიდისა გენადი კონსტანტინე-
პოლელ პატრიარქისანი.....9

ღირსი მამა გაბრიელის წმიდა ნეშტის
განბანვა და შემოსვა.....18

არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)
სინანულისათვის20

„პატრიარქები – ერის სულიერი
წინამძღვრები“ (საუბარი ნექტარიოს
იანგსონთან).....22

გურამ ყიფიანი
წმიდა მეფე მირიანის ბაზილიკა25

გიორგი ალიბეგაშვილი
ასკეტიკის რამდენიმე ტერმინის
ისტორიიდან.....41

ასმათ ოქროპირიძე
ოშკის წმინდა ნინო.....43

ევროკონსტიტუციის ქრისტიანული
ანალიზი47

დოდო (მარიამ) ღლონტი
„ყოველთაოჯს ჟამი არს“51

ასმათ ოქროპირიძე
„ცხოვრება წმიდისა ნინოსი“53

რედაქტორი:

მონოზონი ანა (ნიაური)

სარედაქციო კოლეგია:

არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)

იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი)

რედაქტორის თანაშემწე:

მონოზონი ბარბარე (იაკობაძე)

სტილისტი-კორექტორი:

შორენა სივსივაძე

კომპიუტერული მომსახურება:

ლია არევაძე

მისამართი: მცხეთის სამთავროს


წმიდა ნინოს დედათა მონასტერი.

მირიან მეფის ქუჩა N 3

ტელ: 893 76 31 87; 893 30 07 07

ელ.ფოსტა: samtavrosmonasteri@yahoo.com

ანგარიშის ნომერი: GE65BG0000000158107700



არის წინასწარმეტყველება – საქართველო
გაბრწყინდება უკანასკნელ ჟამს. აი, ამიტომ,
ეკლესია, ჩვენი სამღვდელოება, მღვდელმ-
თაურები და ჩვენ ყველანი მზად უნდა ვიყოთ
უფლის შესახვედრად, უფლის თაყვანისცემად!

**უწმიდესი და უნეტარესი ილია II
22 ივნისი 2014 წ. სვეტიცხოველი**

* * *

„დღეს ჩვენ მომსწრენი ვართ ბოროტისა და კეთილის მძლავრი დაპირისპირებისა. ჩვენ მტკიცედ უნდა ვიდგეთ ჭეშმარიტებით. უნდა ვიცოდეთ ვინ ვართ, რისთვის მოვედით და რა გზით უნდა ვიაროთ – ჩვენი მიზანი ერთია: მოვიპოვოთ ნეტარება და დავიმკვიდროთ სასუფეველი ღვთისა... ბოლო ჟამს, როცა ეშმაკი იგრძნობს, რომ მოახლოებულია მისი აღსასრული. იგი ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლას გააძლიერებს. ეს უნდა გვახსოვდეს. ამიტომ, ძალიან ხშირად უნდა მივიდეთ ტაძარში და ვილოცოთ“.

31 მაისი 2004 წ.

* * *

„დრო მცირე გვაქვს და არ უნდა აღმოვჩნდეთ იმ ხუთი ქალწულის მდგომარეობაში, რომელთა კანდელსაც უფლის მოსვლისას საკმარისი ზეთი არ აღმოაჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ იყვნენ მორწმუნენი და უფლის მომლოდინენი, ვერ შევიდნენ ღვთის სასუფეველში. ბოროტის გავლენისგან თავის დაღწევა დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ეს მხოლოდ ძლიერ პიროვნებებს შეუძლიათ ანუ მათ, რომელნიც საკუთარ ნებას გააზრებულად უმორჩილებენ ღვთის ნებას“.

7 იანვარი 2013 წ.

* * *

„ჩვენ ძალიან ხშირად ვთხოვთ უფალს „მომეცი“, „მომანიჭე“, მაგრამ ძალიან ხშირად გვავიწყდება მადლობის და დიდების შეწირვა. რომ გადავხედოთ წარსულს, დღევანდელ დღეს და განგჭვრიტოთ მომავალი, დავინახავთ, რომ უფალი მუდამ ჩვენთან იყო, არის და იქნება. უფალს უჭირავს საქართველოს ხელი, როგორც ბავშვის ხელი. და გვატარებს ამ უდაბნოებში. ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ არ გვტოვებს. მრავალი განსაცდელი გამოვიარეთ და, რა თქმა უნდა, განსაცდელი კიდევაც იქნება. სანამ ადამიანი დედამიწაზეა, განსაცდელი მუდამ არის, მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი არასდროს დატოვებს საქართველოს თავისი მფარველობის გარეშე, რადგან საქართველო არის წილხვედრი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა. ღვთისმშობელი არის შუამავალი ღვთის წინაშე.

... როდესაც ვამბობთ, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი არის საქართველოს მფარველი, ამით მეტია პასუხისმგებლობა და მეტი მოგვეკითხება. ამიტომ გვჭირდება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შეწევნა და ყველას გეძლევათ ღოცვა-კურთხევა, ყოველდღე წაიკითხოთ ღვთისმშობლის სადიდებელი ღოცვები“.

18 მაისი 2014 წ.

უწმიდესი და უნეტარესი
ილია II-ის ქადაგებებიდან

„ყოველას გეძლევათ ღოცვა-კურთხევა, ყოველდღე წაიკითხოთ ღვთისმშობლის სადიდებელი ღოცვები“

უწმიდესი და უნეტარესი ილია II

LOCVA

ყოველდღეობისა და ღვთიფკურთხეულისა ქალწულისა მარიამისა

ანგელოსისა ხმასა გიგალობთ მარიამ, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის.
(ღმერთი მის შორის და იგი არა შეიძრას და ყოველსა დღესა აკურთხევდით მას.)

გიხაროდენ დედოფალო დედათა შორის.

გიხაროდენ იესოს დედაო, ღმერთი შენ შორის არის.

გიხაროდენ ბრწყინვალეზაო ანგელოსთა შორის.

გიხაროდენ დიდებაო სასუფეველსა შორის.

გიხაროდენ სუფევაო წმიდათა შორის.

გიხაროდენ გვირგვინო ქალწულთა შორის.

გიხაროდენ შვენიერებაო ეკლესიათა შორის.

გიხაროდენ სასოებაო ქრისტიანეთა შორის.

გიხაროდენ მარიამ, ღმერთი შენ შორის და შენ ეგე ჩვენ შორის.

ღვთივსულიერნო შვილნო ეკლესიისანო! შესხმით ვაქებდეთ, დიდებისმეტყველებით ვადიდებდეთ და თაყვანისცემით აღვამაღლებდეთ ყოველადწმიდასა, ყოველადქალწულსა, ყოველად საყვარელსა დედასა უფლისა იესო ქრისტეს ღვთისა ჩვენისასა მარიამს, რომელსა ადიდებენ ყოველნი წმიდანნი: მამათმთავართა ბანაკი, წინასწარმეტყველთა დასი, მოციქულთა გუნდი, მოწამეთა მხედრობა, მღვდელთმთავართა მწყობრი, მამათა ღირსება, დედათა პატიოსნება, ეკლესიათა სავსება და ქრისტიანეთა ნათესავნი და



ივერიის ღვთისმშობელი – სამანთა მფარველი

რომელსა უგალობენ ზეცისა უსხეულონი: ანგელოსნი, მთავარანგელოსნი, მთავრობანი, ხელმწიფებანი, ძალნი, უფლებანი, საყდარნი, ქერუბიმნი და სერაფიმნი და თვით თავადი ღმერთი ადიდებს მეტყველი: „მე მადიდებელნი ჩემნი ვადიდნე“, და ძე ღვთისა პატივს ჰსცემს დედასა თვისსა; ხოლო აწ ჩვენცა ესრეთ ვუგა-

ლობდეთ, საყვარელნო, ღვთისმშობელსა მარიამს და ვიტყოდეთ:

გიხაროდენ მამისა სათნოო.

გიხაროდენ ძისა საყვარელო.

გიხაროდენ სულისა წმიდისა სავანეო.

გიხაროდენ სერაფიმთა ბრწყინვალე-
ბაო.

გიხაროდენ ქერუბიმთა ელვარებაო.

გიხაროდენ საყდართა დიდებაო.

გიხაროდენ უფლებათა მიერ საქებე-
ლო.

გიხაროდენ ძალთა მიერ სანატრელო.

გიხაროდენ ხელმწიფეთა მიერ საკ-
ვირველო.

გიხაროდენ მთავრობათა განმანათლე-
ბელო.

გიხაროდენ მთავარანგელოსთა გან-
მაკვირვებელო.

გიხაროდენ ანგელოსთა განმაცვი-
ფრებელო და კაცთ ბუნებისა განდმრ-
თობისა მიზეზო.

საყვარელნო ღვთისანო და მოყვარენო ღვთისა დედისანო, ღვთისმშობელისა ძა-
ლით გამოგვიბრწყინდა წმიდა სამებისა
ცნობაი, რამეთუ ეტყოდა რა ქალწულსა
ანგელოსი: „სულიწმიდა მოვიდეს შენ
ზედა და ძალი მადლისა გფარვიდეს
შენ“; სულიწმიდა არს ცხოველყოფე-
ლი სული; და ძალი ესე არს ძე, ვი-
თარცა იტყვის მოციქული: „ქრისტე
ღვთისა ძალ-არს“, ხოლო მადლისა, ესე
იგი მამისა ზეცათაისა გფარვიდეს შენ,
ყოვლადღირსო ქალწულო და შენ გვფა-
რვედ ჩვენ, დედოფალო, ერსა ქრისტეანე-
თასა.

ქრისტეს მიერ შეყვარებულნო ძმანო,
შევიყვაროთ სულით და გულით დედო-
ფალი ჩვენი, მაცხოვრებელი და მიზეზი
განდმრთობისა ჩვენისა, ქალწული მარიამ,
რამეთუ მოყვარეთა თვისთა უეჭველად
აცხოვნებს და ადიდებს, რომლისათვის
სახეცა მოგიოხრა:

იყო ვინმე კაცი მართალი და წრფელი

და დიდად მოყვარე ღვთისმშობელისა.
ჟამსა მხცოვანებისასა დაუტევა სოფელი
და წარვიდა მონასტრად და მუნ მცირედი
ოდენ ლოცვები ისწავა და ესე ლოცვა
უფროსად შეიყვარა, ღვთისმშობელისა
სურვილით, ვითარმედ: „ღვთისმშობელო
ქალწულო, გიხაროდენ, მიმადლებულო
მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ
ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ
არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ
მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა“.

ამას იტყოდა მარადის დაუცხრომელად.
ვითარცა სული და სამშვინველი ესე
ლოცვა იყო მისდა, რაისაცა მოქმედებ-
და ხელითა, ანუ თუ ვიდოდა ფერხითა;
ხოლო პირითა დაუცხრომელად ამასვე
იტყოდა, ჭამასაცა პურისასა და ძილსა
შინა ამასვე იწურთიდა და დღესა შინა
მრავალგზის მივიდის ხატისა მიმართ
ღვთისმშობელისა და ამასვე ილოცვი-
და და ამბორსუყოფდა სურვილითა სუ-
ლისათა და ტრფიალებითა გულისათა.
ესევეითართა ლოცვითა აღასრულა
ცხოვრება თვისი და პატიოსნად მი-
იცვალა უფლისა მიმართ მშვიდობით
და დამარხეს იგი სამარხოსა მამათა-
სა. ხოლო ხვალისად იხილეს, რამეთუ
საფლავსა მის ნეტარისასა ერთი მცირე
ხე აღმოსრულ იყო და ყოველსა ფურ-
ცელსა ზედა ოქროითა ეწერა ვითარმედ,
„ღვთისმშობელო ქალწულო გიხაროდენ
მიმადლებულო მარიამ“ და შემდგომი
ამისი. ესე რა იხილეს წინამძღვარმან და
ძმათა ყოველთა, განჰკვირდეს და უბრ-
ძანა წინამძღვარმან, რათა მოსთხარონ
ძირი ხისა მის და ჰსცნან თუ ვინაი
არს აღმოსრულ. და იხილეს, რამეთუ
პირისაგან მკვდრისა მის აღმოცენებულ
იყო ხე იგი საკვირველებით შვენიერი
და გულსა ზედა მის მიცვალებულისა-
სა, სახეცა ყოვლადწმიდისა ღვთისმშო-
ბელისა გამოსახულ იყო ღვთივშვენი-
ერად. მაშინ ჰსთქვა ყოვლადღირსმან
წინამძღვარმან:

– გულისხმაჰყავთ, შვილნო, ჩემ-

ნო საყვარელნო, რამეთუ კაცმან ამან უკანასკნელსა ჟამსა მოსრულმან, მსგავსად მეთერთმეტისა ჟამისა მუშაკისამან, ესრეთ შეიყვარა ჭეშმარიტად საყვარელი მარიამ, რამეთუ ყოველი სასოება თვისი მისდამი დაჰსდვა და დედამანცა კაცთმოყვარისა ღვთისამან ესე სასწაული ცხოვნებისა მისისა გამოგვიცხადა, სადიდებელად თვისად და სარგებელად მსმენელთა.

აწ უკვე საყვარელნო ქრისტესნო, გლოცავ და გვედრები, შევიყვაროთ ჩვენცა ყოვლადსაყვარელი ღვთისმშობელი მარიამ, საქმითა და ჭეშმარიტებითა. და სასოება ჩვენი მისდა მიმართ დავსდვათ და სიყვარულითა მისითა სათნოყოფასა მისსა ვიქმოდეთ; ხოლო სათნოყოფა მისი ესე არს, რომელ ღოცვასა განკრძალულ ვიყვნეთ, მარხვასა შევიტკობდეთ, მოწყალებასა ვიქმოდეთ, აღსარებითა განვსწმდებოდეთ, სინანულითა განვნათლდებოდეთ და ზიარებითა განვბრწყინდებოდეთ; რათა საუკუნოსა მას სუფევასა ღვთისმშობელისა დიდებისა და ბრწყინვალეებისა ხილულად ღირსვიქმნეთ და ესრეთ დიდებისმეტყველებით ვაქებდეთ:

გიხაროდენ მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა.


- გიხაროდენ ანგელოსთა დიდებო.
- გიხაროდენ წმიდათა სუფევო.
- გიხაროდენ ღირსთა შვებო.
- გიხაროდენ მართალთა მოყვარეო.

გიხაროდენ მონანულთა მოწყალეო.
გიხაროდენ ჭაბუკთა სასოებო.
გიხაროდენ მოხუცებულთა მაცხოვარო.

გიხაროდენ მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა და შენ დაადგერ ჩვენთანა აწდა უკუნისამდე.

ჰოი, ღვთივბრწყინვალეო ყოვლადწმიდაო დედოფალო ღვთისმშობელო, ქალწულო მარიამ, შენ შეგივრდებით და გვედრებით, სასოებო ყოველთა ქრისტიანეთაო, ღვთივშვენიერითა ბრწყინვალეებითა ელვარებისა შენისათა განაბრწყინვე ეკლესიათა საესება, განანათლე მეფეთა მართლმადიდებლობა, განაშვენე ქრისტიანობა და მოგვმადლე მარადის სათნოყოფაი ძისა შენისა და ღვთისა ჩვენისა, რამეთუ რაიცა მას ჰნებავს, შენცა იგივე გთნავს; მოგვანიჭე სიწმიდით და სიმართლით ცხოვრება ქვეყანასა ზედა, წმიდის გულით ზიარება ქრისტეს საიდუმლოთა და მის მიერ ზიარყოფა ზეცისა სასუფეველსა, წმიდათა თანა დიდება, მართალთა თანა სავანოება, ღირსთა თანა გვირგვინოსნება, მადლობაი, გალობა და თაყვანისცემა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

„სულის დამატკობელი მანანაი ანუ შესხმანი ღვთივდიდებულთა წმიდათათვის“ შესხმა ზ ტფილისი – 1904 გვ. 35-40



KANONNI WMIDISA GENADI KONSTANTINEPOLEL PATRIARQISANI

(სარწმუნოებისა და ცხოვრებისათვის ქრისტიანებრივისა)



წმიდა გენადი II
კონსტანტინეპოლის პატრიარქი

წმიდა გენადი II სქოლარიოსი, კონსტანტინეპოლის პატრიარქი (1400-1461), ცნობილი ბიზანტიელი დვთისმეტყვეელი და საზოგადო მოღვაწე იყო. იგი 1438-39 წლებში გამართულ ფერარო-ფლორენციის კრებაში მონაწილეობდა, როგორც იმპერატორთან დაახლოებული საერო პირი. წმიდა გენადის (ერისკაცობაში – გიორგი) გულით სურდა, რომ კათოლიკეებს მოენანიებინათ თავიანთი სარწმუნოებრივ-დოგმატური ცდომილებანი და მართლმადიდებლობას დაბრუნებოდნენ; მაგრამ ნაცვლად ამისა, ლათინმა მწვალებლებმა მართლმადიდებლებთან უნია მოითხოვეს და შეეცადნენ აღმოსავლეთის ეკლესია რომისათვის დაექვემდებარებინათ. მაშინ წმიდა გენადიმ უნიის აქტს ხელი არ მოაწერა და ვენეციაში გაბრუნდა. მან აღნიშნა: „გულწრფელად მსურდა რომთან ერთობა, მაგრამ მე ჭეშმარიტებაში ერთობას ვეძებდიო“. შინ დაბრუნებისას, წმიდა გენადიმ თავის მოძღვართან და მასწავლებელთან, წმიდა მარკოზ ეფესელთან ერთად გაილაშქრა რომაულ-კათოლიკური უნიის წინააღმდეგ;

ხოლო წმიდა მარკოზის გარდაცვალების შემდგომ სათავეში ჩაუდგა ანტიუნიატურ მიმდინარეობას და ამ მიმართებით მრავალი ნაშრომი გამოსცა.

იმ პერიოდის საზოგადოებაში ღოზუნგად იქცა წმიდა გენადი სქოლარიოსის გამოთქმა: „პაპის ტიარას, ისევ ჩაღმა სჯობსო“. თუ რაოდენ დიდ საფრთხეს ხედავდა წმიდა გენადი პაპიზმში, ამ გამონათქვამიდანაც თვალნათელი ხდება, თუკი გავიხსენებთ საბერძნეთისა და სრულიად მართლმადიდებელთათვის ტრაგიკულ პერიოდს – როდესაც 1453 წლის 23 მაისს თურქებმა (ოსმალებმა) კონსტანტინეპოლი დაიპყრეს და სოფიის დიდებული ტაძარი მეჩეთად გადააკეთეს.

წმიდა გენადიმ მრავალი განსაცდელი გამოიარა. იგი ტყვედაც იმყოფებოდა, მაგრამ თურქთაგან ფიზიკური ტყვეობის უმეტეს, მას რომაულ-კათოლიკური სულიერი ტყვეობა აშფოთებდა და ამისათვის მთელი სიცოცხლე მათ წინააღმდეგ იბრძოდა.

წმიდა გენადი II სქოლარი 1454 წელს პატრიარქად აღასაყდრეს. გარდაიცვალა 1461 წელს.

რედაქცია

ქონებაი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა საფუძველი არს კეთილთა საქმეთა. ამისთვის სარწმუნოებისაგან დაიწყების სიტყუაი:

თავი 1. გრწმენინ მამა და ძე და სული წმიდა, სამება განუყოფელი და შეურწყმელი – ერთი დუთაება მამა უშობელი, ძე შობილი და არა ქმნილი, სულიწმიდა –

არა შობილი, არა ქმნილი, არამედ გამოძვალვი სამობასა შინა მქონებელი ერთისა ნებისა, ერთისა დიდებისა, ერთისა პატივისა, შემწყნარებელი ერთისა თაყვანისცემისა, ყოვლისა დაბადებულისაგან, ანგელოსთა და კაცთაგან, პირველსაუკუნოი და დაუსრულებელი, მყოფი უკუნისამდე.

თავი 2. გრწმენინ ძე ღვთისა განხორციელებული ჭეშმარიტებით და არსებით, და არა საოცრებით, შემაერთებელი თვის შორის ორისა ბუნებისა – ღვთაებისა და კაცებისა, სრული ღმერთი ღვთაებით და სრული კაცი შემდგომად განკაცებისა.

თავი 3. მშობელსა უფლისა და მაცხოვრისა დედასა სახელსდებლი ღვთისმშობლად. იგი არს ქალწული და დედა. გრწმენინ, ვითარმედ მან შვა ქრისტე და ზრდიდა რძითა. ხოლო ქალწულ არს იგი ეგრეთ, ვითარცა მარადის იყო, და შემდგომად შობისაცა ჰგიეს ქალწულად.

თავი 4. ჯვარსა ქრისტესსა თაყვანისეც სარწმუნოებით, რამეთუ მასზედა ქმნა სოფელმან ცხოვრება ყოველთა კაცთა.

თავი 5. ხატსა ქრისტესსა და ხატსა ყოვლადწმიდისა დედისა მისისასა და ყოველთა წმიდათა მისთასა, პატივეც სარწმუნოებით და ეგრეცა, თვით მათდა სიყვარულით იტყოდი ლოცვათა შინა.

თავი 6. წმიდათა ყოველთა, სათნოყოფილთა ღვთისათა, ევედრებოდე, ვითარცა შემწეთა და შუამდგომელთა მათდამი მოღვლოვითასა; რამეთუ მიუღებესთ მათ კადნიერება ღვთისა მიმართ, ვითარცა სათნოთა მონათა უფლისა თვისისათა.

თავი 7. ნაწილთა წმიდათასა ამბორსუყავ სარწმუნოებით და პატივეც მათ, ვითარცა ღირსთა პატივისა; ამისთვის, რომელ ქრისტესთვის ივნეს მათ.

თავი 8. გრწმენინ საიდუმლონი ღვთისანი, ხორცი და სისხლი ქრისტესი, და ეზიარე შიშით, რათა ზიარიქმნე ზეციერსა სასუფეველსა მისსა.

თავი 9. განაგდე ურწმუნოება, და ნუ იკითხავ: თუ ვითარითა სახითა პური იქმნების ხორცად და ღვინო სისხლად. არამედ, ისმინე, რაიცა თქმულ არს: კაცთათვის შეუძლებელ არს, ხოლო ღვთისათვის ყოველივე შესაძლებელ არს.

თავი 10. გრწმენინ აღდგომა მკვდართა და ცხოვრება მერმისა საუკუნოისა, უტყუელისა სიტყვისამებრ უფლისა, რომელსა ისმენ წერილსა შინა სახარებისასა.

თავი 11. გახსოვდეს სასჯელი, განემზადე სიტყვისაგებად, და მოელოდე საქმეთაებრ

მისაგებელსა, და გრწმენინ ვითარმედ იქმნების ესე, და უცვალებლად იქმნების.

თავი 12. ამისთვის, შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა სულითა შენითა და ძალითა. ყოველნი საქმენი და ჩვეულებანი შენნი განმართენ ღვთისა მიმართ, რათამცა სათნოეყო მას.

თავი 13. კუალად, შეიყვარე მოყვასი შენი, რომლისათანა ერთსა ემბაზსა შინა აღმოშობილ ხარ შენ – ესე იგი არს, ყოველი ქრისტეანე, ანუ, ძმაი; რამეთუ უფალმან სთქვა: აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა.

თავი 14. გაქუნდის მარადის გულსა შინა შენსა შიში ღვთისა, და გახსოვდეს, ვითარმედ ღმერთი ყოველგან შენთანა არს ყოველსა ადგილსა, ხვიდოდელა შენ ანუ თუ ჰსჯდე.

თავი 15. შიშითა ღვთისათა, ვითარცა აღვირითა, იპყარ გონება შენი. გამოიძიე თავი შენი ყოველსა ჟამსა, იტყვევი-თუ უგულისხმოდ თავისა მიმართ შენისა, ისწავებ ამაოებასა.

თავი 16. მოიდრიკე თავი შენი წინაშე ყოველთასა, ვინ უხუცეს შენსა იყოს წლით და გონიერებით, რამეთუ მდაბალთა აღამაღლებს უფალი.

თავი 17. მეგობართა და თანასწორთა შენთა მიეგებოდე სიყვარულითა; შეიტკობოდე და მოიკითხვიდე მათ, ვითარცა ელისაბედს მარიამ.

თავი 18. მათ, რომელნი უმდაბლეს და ასაკით უმცირეს შენსა არიან, მიიღებდე სიყვარულით, და სწყალობდი, და სულთითქვენ მათთვის ღვთისათა.

თავი 19. გეშინოდენ მეფისა ყოვლითა ძალითა შენითა. შიში ესე არა მავნებელ იქმნების სულისა შენისა, არამედ მისმიერ უმჯობეს ადრე ისწავებ მოშიშებასა ღვთისასა.

თავი 20. გარეწარობა ხელმწიფებისა მიმართ, გარეწარობა არს თვით ღვთისა მიმართ, მფლობელისა ქვეყნიერსა ხელმწიფებასა ზედა. რამეთუ არამოშიში ხილულისა მეუფისა, ვითარ შემძლებელ არს მოშიშებად უხილავისა ღვთისასა?

თავი 21. მოწაფე ეშიშვის კვერთხსა მოძღვარისასა, არამედ კუალად უმეტეს

თვით მოძღვარსა. ეგრეთ მოშიშსა ღვთისასა ეშინის მეფისა, რომლისა მიერ განიპატიუების ბრალეულნი. მეფე არს მსახური ღვთისა, კაცთა წყალობისა და პატიუისათვის.

თავი 22. სიმდაბლისა ამისთვის, მოიდრიკე თავი წინაშე ყოველთა მდიდართასა. ესე არს ხე მრავალრტოსანი. მოსდრკებირა, უბჯობესადრე ქვეგანვლი.

თავი 23. ხელმწიფებისა მიძღები მეფისათვისისაგან მოითხოვს პატივისცემასა მსგავსთა თვისთაგან, ხოლო უმდაბლესთაგან ითხოვს თაყვანისცემასა.

თავი 24. ეძიე ყოველსა შინა ულიტონესი, საზრდელსა შინა და სამოსელსა. ნუ იკდემ სიგლახაკესა, რამეთუ უმეტესი ნაწილი სოფლისა ამის სიგლახაკესა შინა ვალს.

თავი 25. ნუ იტყვი, ვითარმედ შვილი ვარ მე კაცისა მდიდრისა; საკდემელ ჩემდა არს ყოფა სიგლახაკესა შინა. არავინ არს სოფელსა შინა უმდიდრეს ქრისტესსა, ზეციერისა მამისა შენისა, რომელმან გშვა შენ წმიდასა ემბახსა შინა; არამედ იგიცა ვიდოდა სიგლახაკით და არა აქუნდა, სადამცა თავი მიიდრიკა.

თავი 26. განაშვენე თავი შენი სიმართლით. ისწრაფე ყოვლისა მიმართ ჭეშმარიტისა მეტყველებად, და ნუ იკდემ პირსა თქმად, რათა იქმნე მოწამედ სიცრუისა.

თავი 27. უმეტეს გეშინოდეს სიცრუის თქმად წინაშე მეფისა, რამეთუ წარწყმედს უფალი მეტყველთა სიცრუისათა. არამედ მიუგე მას სიმდაბლითა და ჭეშმარიტებითა, ვითარცა თვით ღმერთსა.

თავი 28. უკეთუ ოდესმე მან გრქუას შენ არა ჭეშმარიტი რაიმე, და შენ უწყოდე ჭეშმარიტი: იხილე, არა გამოგცდისა შენ იგი, რიდება (განარიდებ, იცავ – რედ.) შენ სულსა შენსა? უკეთუ ამას ზედა გამოხნდები შენ არა სარწმუნო სიტყვასა შინა, მაშინ ვერ ძალგიძს მოპოვება დარწმუნებისა მისისა მას შინა, რომელ რიდებ შენ სულსა მისსა, ვითარცა სარწმუნო ქვეშევრდომი.

თავი 29. უკეთუ სთქვა მართალი და მით შევრდომილჰყო თავი შენი რასამე რისხვასა შინა: ნუ იურვი მისთვის, არამედ

უმეტეს ანუგეშე თავი შენი სიტყვათა მით უფლისათა. ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

თავი 30. მშვიდ იყავ ყოველთათანა, უმაღლესთა შენთა და უმდაბლესთა. რამეთუ პირმოთნეობითი სიმშვიდე იქმნების ესე, რაჟამს თუ ვინ წინაშე უმაღლესთანა მოთნეობდეს, და მდაბალთა აწყინებდეს.

თავი 31. მშვიდი სვლა, მშვიდი ჯდომა, მშვიდი შეხედვა, მშვიდი სიტყვა, – ყოველივე მშვიდ იყავნ შენთანა. ამით აჩვენებ, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანი ხარ შენ.

თავი 32. ხოლო სიმშვიდე ჰკიეს მას შინა, რათამცა არა ვაწყინებდეთ ვისმე არცა სიტყვით, არცა საქმით, არცა ბრძანებით; არამედ რათამცა ქცევითა თვისითა ვანუგეშებდეთ გულსა ყოველთასა.

თავი 33. მტკიცედ განაყენე გონება შენი ამართა აზრთაგან და ზედიყვანე ღვთისა მიმართ. ამის მიერ მოხვალ შენ გზასა ზედა ღვაწლისასა, და განათავისუფლებ სულსა დახსნილებისაგან.

თავი 34. არად საკვირველ არს ესე, რომელ ბუნება კაცისა დაეცემის ქვეყნიერსა შინა; იგი არს საკვირველ, რომელ დაეცემისრა, არა ნებაგს აღდგომად. რომელი შესცდების გზასა, არა იღვწის კვალად მოპოვებად მისა? ეგრეთ შენცა: უკეთუ აწინდელსა დღესა დახსნილ ხარ უსასოებით, ხვალინდელსა განემზადე ღვაწლსა ზედა.

თავი 35: ნურარასამე საქმესა შინა ეძიებ ქვეყნიერსა დიდებასა, რამეთუ ქვეყნიერი დიდება დაშრტების მისთვის, რომელსა უყვარს იგი. ამად ქრის იგი კაცსა ზედა, ვითარცა მძაფრი ქარი, და მისტაცებსრა მას ნაყოფსა კეთილთა საქმეთა მისთასა, მსწრაფლ განემორების მოკიცხარი უგუნურებისა მისისა.

თავი 36. მაშინ ოდეს იგი მოიწვევიან კეთილნი საუკუნენი, ნიჭნი ყოვლადსახიერისა ღვთისანი, უგუნურებაი არს არა მოლოდება მათი მოთმინებით და სარწმუნოებით, და ოდენ ქვეყნიერთა მიერ ნუგეშობა და მოშიშება მათდა მიმართ, ეგრეთ რეცათუ არა გვრწმენა ჩვენ აღდგომადი.

თავი 37. უკეთუმცა დიდება სოფლისა

ამის მახლობელ იყო დიდებისა ზეცისასა, ძეთა სამე სოფლისათა არამცა ჯვარსაცვეს უფალი დიდებისა. ვითარი მონა მცხოვრებ-იქმნების თვინიერ შიშისა სახლსა მას შინა, რომელსაცა შინა არა შეიწყნარეს უფალი მისი?

თავი 38. გიყვარდეს დიდსულობით თავსდება უმიზეზოისა შეურაცხებისა. მიიღე იგი, ვითარცა სასმისი აღსავსე. დაღათუ უცხოდ აღვიჩნდების შენ იგი: არამედ შეგეწევის განსადევნელად მცოდველობითისა სნეულებისა. ცოდვაი შევალს სიტკბოებით და განიდევნების სიმწარით.

თავი 39. რომელსა ჰსურის საუკუნონი სიხარული, მცირედ იხმევს ქვეყნიერთა, იგონებსრა მარადის განსვლასა თვისისათვის ჟამიერისა ცხოვრებისაგან. ყვედრებაი კაცთაგან არა შეაურევებს მას, რამეთუ უფალმანცა, მოვიდარა სოფლად, დაითმინა შეურაცხება მონისა თვისისაგან.

თავი 40. რომელსა ნებავს დიდებით ყოფა სოფელსა ამას შინა, ვერა თავს იდებს იგი შეურაცხებასა; არამედ რომელი დადგრომილ არს სარწმუნოებასა-ზედა, მას არა უყვარს დიდებასა შინა ყოფა, იგონებს რა უფლისაგან თქმულსა მას, ვითარ ძალუძს რწმუნებად რომელი დიდებასა კაცთაგან მიიღებდეს და დიდებას მხოლოდ შობილისაგან არა ეძიებდეს?

თავი 41. გიყვარდეს შიმშილი და წყურვილი ქრისტესთვის. რაზომცა დაამდაბლებ ხორცსა, ეგზომ კეთილსა უყოფსულსა; რამეთუ მიმგებელი სასჯელისა საქმეთაებრ, სიტყვათა და განზრახვათა, მოგვაგებს კეთილსა მცირისა წილცა, რაისაცა დავითმენტ მისთვის სიხარულით.

თავი 42. უკეთუ გნებავს სიხარული ერთბამად ქრისტესთვის წამებულთათანა, მიეც სადამე ხორცი შენი მარხვასა; ნებსით განეც დასათრგუნველად წინაშე ნებისა ღვთისა მუცელი – მოსაყმობელად, გული – განსამტკიცებლად, სისხლი – დასათხვევლად, უკეთუ არა გარეგანით, შინაგანითმცა სადამე, ესე იგი დააშრე იგი ხმელსა ჭამითა, რათა მიიღო აღთქმული იგი კეთილი.

თავი 43. შენ უწყი, რომელ ვინცა მი-

უწოდს თვისდა მეფესა, განსწმენდს იგი პალატსა თვისსა. ეგრეთ შენცა, უკეთუ გნებავს შეწყნარება სახლსა შინა შენსა ზეციერისა მეფისა, განმანათლებლად სულისა შენისა, განსწმინდე ხორცი მარხვითა, განაშუნე სული სიმდაბლითა და აღავსე კეთილ-სუნელითა ღოცვითა.

თავი 44. ნუ დაუტეობ ღოცვასა, ვითარცა სულიერსა საზრდელსა. რამეთუ ვითარცა ხორცი, მოკლებული საზრდელსა, მოუძღურდების, ეგრეთ სულიცა, მოკლებული მლოცველობითსა საზრდელსა, მიახლდების უძღურებასა და გონებისა სიკვდილისადმი.

თავი 45. სახლი განათლებულ იქმნების სანთლისაგან: ეგრეთ შინაგანიცა გრძნობა განათლებულ იქმნების მლოცველობითისა გულის-სიტყვისაგან. ვითარ იგი ცხად იქმნების ნათელი სანთლისა, ოდეს არა რაიმე შერევნილებაი არს, ეგრეთ ნათელიერ იქმნების ღოცვაი, რაჟამს არა შერევილ იქმნებიან მისდა ქვეყნიერნი გულისსიტყვანი.

თავი 46. ჰრიდე სანთელი ქარსა და ღოცვა მცონარებასა. განაშუნე იგი, ვითარცა სძალი: მღვიძარებით, შრომით და მოთმინებით, რათამცა სათნო იყო ზეციერისა მეუფისა.

თავი 47. მიანდევე წადილი შენი ღმერთსა, რომელმან უწყის ყოველი, პირველ ვიდრე შობადმდე კაცისა. და ნუ სთხოვ, რათამცა იყო ყოველივე ნებისაებრ შენისა; რამეთუ არცა ერთმან კაცმან უწყის თუ რაიმე არს სარგებელ მისა; არამედ არქუ ღმერთსა, ვითარმედ – იყავნ ნება შენი! რამეთუ იგი ყოველსავე სასარგებლოდ ჩვენდა ჰყოფს, რაიცა ჩვენ კაცთა ხორციელთა არა უწყით.

თავი 48. სულთ-ითქმიდეთ, ვითარცა მეზვერე; შეუვრდი, ვითარცა უძღები შვილი; ღმობიერ იქმენ, ვითარცა აქაბ; სცრემლეოდე, ვითარცა მეძავი; დაღადებდე, ვითარცა ქანანელი; მოუხვედ (შეუვრდომელ) – ვითარცა ქვრივი; ილოცვედ, ვითარცა ეზეკია; დამდაბლდი, ვითარცა მანასე; უკეთუ ესე ვითარითა სახითა იქმნები მლოცველ, მაშინ ყოველადსახიერი უფალი მიითვალავს ღოცვასა შენსა, ვითარცა დედა ყრმასა.

თავი 49. მოიძიე ადგილი საიდუმლო, დასჯედ მყუდროდ, მოიღენ გონებად ცოდვანი შენნი და განშორება ზეციერისა სასუფეველისაგან, და ღმობიერ იქმენ გულთ და ხედვით და მომდრეკი თავისა იტყოდე კვნესით: ჰოი, მე, რამეთუ განმიგრძნდა მე მწირობა ჩემი! – ვინ მოსცეს თავსა ჩემსა წყალი, და თვალთა ჩემთა წყარო ცრემლთა? – ვაი, მე, რამეთუ ახლოს არს დღე უფლისა!

თავი 50. არა გქონანა ცრემლნი? – ნუ განიწირვი, არამედ სულთქუემდე ხშირად და მძიმედ ყოვლითა გულითა. ცრემლნი არიან ნიჭნი ღვთისანი; მცირედ-მცირედ სულთქმით და ღმობიერებით მოიღებ მათ ღვთისა მიერ. რამეთუ წერილ არს: მეძიებელი ჰპოებს, მთხოვნელი მოიღებს, და მრეკელსა განედების.

თავი 51. მოიხუნერა ცრემლნი, დაიცვენ იგინი ყოვლითა ძალითა შენითა; ეკრძაღე სიმაძღრესა და სიმთვრალესა, და უმეტეს – განკითხვასა ყოველთა კაცთასა. განიკითხე საქმე შენი, ხოლო კაცსა, რომელი შექმნა ღმერთმან, ნუ განიკითხავ.

თავი 52. უკეთუ ხედვიდე ვისმე მცოდველად, ნუ ერწმუნები თვალთაცა შენთა, რამეთუ იგინიცა არა სარწმუნო არიან. პირველ ყოველთასა თვალნი შესცთეს სამოთხესა შინა, და იქმნა დაცემა ჩვენი მიხედვისაგან.

თავი 53. უცოდველსა შეჰგავს ცოდვათა განკითხვაი; არამედ ვინ უცოდველ არს, გარეშე მხოლოსა ღვთისა? იგი მხოლო არს განუზომელ, და მას მხოლოსა ჰმვენის საზომსა ქვეშე მდებარეთა განკითხვაი.

თავი 54. რომელსა ჰქონან გვერდსა თვისსა ზედა წყლული, სავსე წუთხითა, იგი არა მოიძაგებს სხვისსა მწიკვლევენებასა. რომელი იგონებს მარადის სიმრავლესა ცოდვათა თვისთასა, არა ოდესმე ისურვებს, რათა სხვისა ბრკმულებათა მიერ, ჰყოს მიზეზი საუბრისა თვისისა.

თავი 55. განკითხვა კაცისა ცთომილისა ნიშანი არს ამპარტავნებისა და მჩემელობისა; და ამპარტავანთა წინააღუდგების ღმერთი. ხოლო, რომელი მარადჟამ განემზადების ცოდვათა თვისთათვის პა-

სუხისგებად, იგი არა მაღიად აღიწევს თავსა, რათამცა განიხილნა ბრკმულებანი სხვისანი.

თავი 56. ნუ იქმნები ამპარტავან, რათამცა არა იდიდებოდეს საფლავი, რაჟამს შეიცავს იგი თვის შორის ამპარტავანებასა შენსა. გლახაკი განსვენებულ იქმნების შუადღე საფლავსა შენსა ზედა და არა რაისამე ვნებასა მიიღებს მისგან.

თავი 57. უნდო და შეურაცხ არს მატლი, ხოლო შენ დიდებულ და ამპარტავან. არამედ, უკეთუ გონიერ ხარ შენ, თვით შეურაცხჰყავ ამპარტავნება შენი. გულისხმა ჰყავ, ვითარმედ ძალი და დიდება შენი იქმნების მატლთა შესაჭმელ.

თავი 58. მოიხსენენ ძუელნი, წარჩინებულნი სიმხნითა, სიმდიდრითა, ძალითა და დიდებითა, რომელნი შევარდენ აწ უჩინოებათა და დავიწყებათა; ხოლო უჩინონი და გლახაკნი სოფელსა ამას შინა, გარნა მზრუნველნი სულისა თვისისათვის, დიდებულ არიან ცათა შინა, და ქვეყანასა ზედა იქებიან და მწედ მოიწოდებიან.

თავი 59. რაჟამს იხილო დაფლვად მიჰყავდეთ მკვდარი, მწუხარე იყავ მისთვის, ვითარცა საკუთრისა ბუნებისათვის, და მიჰყევ მას ვიდრე საფლავადმდე. მრჩობლსა უკვე სარგებელსა მიიღებ შენ, სიკვდილისა მისისაგან: მოიგონებ სიკვდილსა შენსა და დამდაბლდები. შეიწყალე გვამი მისი და მიეც იგი საფლავსა და თვით შენცა შეწყალებულ იქმნები.

თავი 60. იხილე სნეული, და მიართუ მას, რაიცა ჰსურის ჭამად; თვით ემსახურე მას, ვითარცა ნათესავსა შენსა, ვითარმედ შენცა ეგრეთვე ივნები.

თავი 61. ოდეს სხვა მძიმედ კვნესიდეს საღმობისაგან, გადმოიღინენ შენცა მისთანა ცრემლნი თანაღმობისანი და სულთიქვენ ღვთისა მიმართ, ტანჯვითა მდგომარებისა მისისათვის. უკეთუ დაგემთხვას მუნ მკურნალი: მიეც მას სასყიდელი კურნებისათვის სნეულისა.

თავი 62. და უკეთუ მოკვდეს სნეული: შენ თვისითა ხელითა დაუწუხენ მას თვალნი, დაუხშენ ბაგენი, და განბანე იგი ხელითა შენითა; ხოლო სულისა მისისათვის ევედრე ღმერთსა ყოვლითა გულითა.

და უკეთუ გლახაკ არს იგი, იღვაწე დაფვ-
ლა მისი, ვითარცა ჯერ არს.

თავი 63. ფრიად შემწე ეყოფის სინ-
ანულსა და ცრემლთა მკედართა ხილვა;
რამეთუ ვინ არა მოვალს ღმობიერებად,
რაჟამს იხილავს ბუნებასა თვისსა საფლა-
ვად შთამავალსა და სახელსა კაცისასა
დაშრეტადსა დიდებასა და სიმდიდრესა
მისსა – წყვდიადად შემავალსა?

თავი 64. უკეთუ მიახლება გაქუს შენ
მეფისა და მთავრობათა მიმართ: იზრუნე
წინაშე მათსა ძლიერისაგან შეიწრებუ-
ლისათვის. ვიდრე ოფლთამდე იბრძოდე
ობოლთათვის, რათა შერაცხოს უფალმან
ცვარი ოფლისა შენისა თანასწორ სისხ-
ლისათანა მოწამეთასა.

თავი 65. უკეთუ ცნობილ ხარ შენ მეფი-
სა: იზრუნე სადამე დავრდომილისათვის
მათ წინაშე, რომელთა აქვს მიახლება მე-
ფისა მიმართ; და უფალი შეგირაცხს შენ
ამას ეგრეთვე, ვითარცა პირველსა.

თავი 66. მიუპყარ ყური შენი მთხოვარსა
და დაგლახაკებულსა ცხოვრებასა შინა;
აღავსე უხვებითა შენითა ნაკლულევანება
სიგლახაკისა მისისა.

თავი 67. მიაქციე თანაღმობით ხედ-
ვა შიმშილობით მჯდომარესა ზედა და
მთრთოლარესა ზამთრით ყინულისაგან;
ნუ უარყოფ შემოსად თანამებუნებესა
შენსა სამოსლით, რომელიცა გიძს შენ-
თანა, და უფალი მოგაგებს შენ ასწილად
საუკუნოსა ცხოვრებასა.

თავი 68. მიუპყარ ხელი მწირობსა შუ-
კათა შინა, და შეიყვანე იგი სადგურსა
შინა შენსა, განუყავ მას პური შენი და
სასმისი წყლისა ანუ სხვისა სასმელისა,
რომელი მოგცა შენ ღმერთმან.

თავი 69. შეიყვანე უცხოი სახლსა შინა,
და უსართულო სართულსა ქვეშე შენსა;
სოველი განაშრე, განცივებული განატფე,
განბანე მწიკული გვამისა მისისა; რამეთუ
დავრდომილ არს იგი და ღირს არს შეწყ-
ალებისა.

თავი 70. ბრძანებისამებრ უფლისა,
მოიხილენ საპყრობილესა შინა; მიხედენ
ჭირთა და ტანჯვათა მათთა ზედა, სულ-
თითქვენ მათთვის და სთქვი: ვაი ჩემდა!
ესენი იტანჯებიან ერთისა შეცოდებისა

წილ, ხოლო მე ყოველსა ჟამსა ვსცო-
დავ წინაშე მეუფისა ჩემისა ქრისტესა, და
ვცხოვრობ შვებათა შინა.

თავი 71. უკეთუ ხედავ, რომელ მათგანი
ვინმე ივნების ცილისწამებით: შეეწიე მას
ქრისტესთვის, და განუცხადე ჭეშმარიტი
მას, რომლისა წინაშე შესმენილ არს იგი
მეფისა და მთავართათანა მყოფთათვის.
არა არს უმახლობელესი საცხოვრებელი
საქმეი, ვითარცა განრინებაი მიმძლავრებ-
ულთა.

თავი 72. ოდეს მჯდომარებ შენ ტაბ-
ლას ზედა აღსავსესა სხვათა და სხვათა
სანოვაგითა: მოიხსენე, ვითარმედ სხვა მას
ჟამსა შინა სჭამს განხმელსა პურსა, და
ვერ ძალუძს მოღება წყლისა სნეულების
გამო.

თავი 73. განაძლებდე რა ხორცსა შენსა,
განუყავ ნაწილი ტრაპეზისაგან შენისა
სულსა შენსა, რამეთუ იგი უადრეს არს
ხორცისა. ესე ნაწილი, განყოფილი სუ-
ლისათვის, მიეც გლახაკთა დასაცველად:
მიიღებ მას შენ განმზადებულსა ჟამსა
განსვლისა შენისასა, რაჟამს დამჭირნე
იქმნები წყალობასა და შეწევნასა ღვთი-
სასა.

თავი 74. დაატკობდე რა თავსა შენსა
საამოთა სასმელთამიერ, იხსენებდი, ვი-
თარმედ ჟამსა მას შინა სვამს გლახაკი
ვინმე მზეში განმტფარსა წყალსა, და მას-
თანა მტვერით შერევილსა.

თავი 75. გაქუნდეს რა სიმდიდრე და
უხვება ქვეყნიერთა კეთილთა, გახსოვდეს
მარადის სიტყვა ესე აბრაამისი, თქმული
მდიდრისა მიმართ: მიიღე კეთილი შენი
ცხოვრებასა შინა შენსა, ვითარცა რა
გლახაკმანცა ბოროტი; რომლისათვის იგი
იხარებს, ხოლო შენ იტანჯები.

თავი 76. რაჟამს ჰსწუე ლბილსა სა-
რეცელსა ზედა, მოიგონე, ვითარმედ სხვა
მწოლარებს შიშველსა მიწასა ზედა, ერთ-
სა ძონძსა ქვეშე, და ვერ იკადრებს ფერ-
ხთა განძაბვად სნეულებისა და სიცივისა-
გან.

თავი 77. ჰსწუე რა ქორსა შინა მტ-
კიცესა სართულსა ქვეშე, და გესმოდეს
წვიმის ცვრევისა ხმათა სიმრავლე, იგუ-
ლისხმე გლახაკთათვის, რომელნი წვანან

მას ჟამსა შინა ქვეშე წვიმისა, ვითარცა ისრით განწონილნი ცვართა მიერ წვიმისათა. ხოლო სხვანი, ვერ შემძლებელნი მირულებად, მსხდომარებენ, მით რამეთუ, ქვეშე შესდგომიათ წყალი.

თავი 78. ოდეს ჟამსა ზამთრისასა მჯდომარებ შენ თბილსა სადგურსა შინა, და უშიშრად აღიდრცვი სხეულსა შენსა; სულთ ითქვენ მომგონებელმან გლახაკთამან თუ ვითარ ოხრიან იგინი მცირისა ცეცხლისათანა, თრთიან, და ამიზეზებენ ოდენ თვალთა თვისთა დიდსა ვნებასა კვამლისაგან, განიტვობენ მხოლოდ ხელთა, ხოლო მხარნი და ყოველი სხეული მათი განიყინვიან სიცივისაგან.

თავი 79. სრბოდე სულიერისა მიმართ: სულიერისათვის განიზრახავდე, და ნუ ქვეყნიერისათვის. უწყოდე რა, ვითარმედ უხრწნელებისა სამოსლითა ნათლისღებისათა თანასწორ ვართ ყოველნი, გლახაკნიცა და მდიდარნი. და ესრეთ იხილე, რათამცა, იგონებდე რა ქვეყნიერსა, არა მოიძაგო შენ გლახაკი მხოლოდ მისთვის, რომელ არა თანასწორ შენსა შემოსილ არს ხრწნადითა სამოსლითა.

თავი 80. რაჟამს ეკლესია ღვთისა გიწოდდეს შენ ღოცვად, დაუტყვე ქვეყნიური საქმეი, რაიცა იყოს; მივედ სულიერსად ტრაპეზსა სწრაფვით, ვითარცა პეტრე და იოანე საფლავად უფლისა.

თავი 81. მირახვიდოდე წმიდასა შინა ტაძარსა, იგულისხმე, არა განვირისხებიესა ვინმე რაითამე საქმიითა, და ისწრაფა განდევნად მრისხანებისა ღრუბელსა რათურთით, რათამცა მადლმან ღოცვისამან, ვითარცა მზემან, განანათლოს სული შენი.

თავი 82. ბნელი ღრუბელი დაჰფარავს შევნიერებასა მზისასა: ეგრეთ, მრისხანებითი მიდრეკილებაცა სულისა წარწყმედს შევნიერებასა ღოცვისასა.

თავი 83. წარსდგე რა კართა ეკლესიისათა, შევედ გონებით თვისით ბჭეთა შინა ზეცისათა, და ყოველსა ჟამსა საიდუმლოსა მსახურებისასა, ჰსდგე კრძალულებით და შიშით, სარწმუნოებით განიცდიდე აღსრულებასა მას ხორციელთა და სულიერთა თვალთამიერ: ეგევითართა სახითა ქვეყნიერთა საგონებელთაგან გარდახვალ

ზეციერთა მიმართ.

თავი 84. რაჟამს იხილნე პატიოსანნი და განწმენდილნი ძღვენნი, ღვთისა მსხვერპლად შეწირულნი ყოველთათვის, მაშინ აღიპყრენ შენ ხელნი შენნი ზეცად, მმადლობელითა სულითა ხადე სარწმუნოებით: დიდება შენსა კაცთმოყვარებითსა განგებულებასა, მაცხოვარო ყოველისა სოფლისაო, ქრისტე ღმერთო!

თავი 85. მარადჟამ იხსენიებდე ხშირთა შეცოდებათა შენთა და დაუსრულებელსა სიყვარულსა ღვთისასა კაცთა ნათესავისა მიმართ, და ვიდრე უკანასკნელ აღმოფშვინვამდე განსაზღვრე თავი შენი სინანულისა მიმართ.

თავი 86. და ესრეთ წინაუვიდოდე პირსა უფლისასა აღსარებით: მოვედ, ისწრაფე, შეუვრდი წინაშე უფლისა, და სტიროდე წინაშე შემოქმედისა შენისა; ჰხადე მოწყალებასა მისსა, ითხოვდე წყალობასა მისსა, ვიდრემდის ჯერეთ არა წინაუსწრვიეს შენთვის სიკვდილსა.

თავი 87. ნუ იტყვი, ვითარმედ, „მრავალი ვსცოდე მე, მრავალი უსჯულოება ვყავი მე, და ამისთვის არა მაქვს კადნიერება შევრდომად ღვთისა“. ნუ სასოწარკვეთილ იქმნები: მხოლოდ ნუ განამრავლებ ცოდვათა ამიერთგან, და შეწვევნითა ყოვლადმოწყალისათა, არა სირცხვილეულ იქმნე.

თავი 88. რამეთუ უტყველ არს იგი, რომელმან ჰსთქვა: „რომელი მოვიდეს ჩემდა არა განვაძო გარე“ და კვალად: „მოიქეცით ჩემდა და გაგკურნო თქვენ, რამეთუ არა მნებავს სიკვდილი ცოდვილისა“. და ესრეთ კადნიერ იქმენ და გრწმენინ, ვითარმედ ვითარცა თვით წმინდა არს უფალი, მისდა სადამე მიახლოებულთაცა განსწმენდს.

თავი 89. უკეთუ გნებავს აღსრულება ჭეშმარიტისა სინანულისა, საქმით სადამე აჩვენე იგი: უკეთუ ინანი ამპარტაგნებასა – აჩვენე სიმდაბლეი, უკეთუ სიმთვრალესა – აჩვენე მარხვა, უკეთუ სიძვასა – აჩვენე სიწმინდე; რამეთუ თქმულ არს: მოიქეც ბოროტისაგან და ჰქმენ კეთილი.

თავი 90. ნუ ჰყოვნი ოდენ უყესა შინა ცოდვისასა, რათამცა არა უცებად დაინთქა მას შინა. რამეთუ სულთითქვამ და არა-

ვინ იქმნების მხსნელ შენდა, რაჟამს ანგელოზი უფლისა წარმოუდგების თვალთა შენთა, ხოლო მტერნი შენნი, ვითარცა ღრუბელნი, დაგფარვენ შენ.

თავი 91. განიზრახე სულისა შენისათვის: იგი ერთი არს შენდა; ერთი არს ჟამიცა სიცოცხლისა; ხოლო დასასრული უცნაურ არს; უფსკრული ჰაერისა განუვლელ არს და სავსე მტერთა შენთაგან; არავინ არს შემწე შენი, გარეშე სარწმუნოებისა და კეთილთა საქმეთა; მათთვის ისწრაფე ყოვლითა ძალითა შენითა.

თავი 92. აღხედ (დაადექ – რედ.) გზასა ზედა სათნოებათასა, და ვლე მაღიად, რათა არა გეწიოს შენ მწუხრი; ისწრაფე ბჭეთა მიმართ ზეციერისა ქალაქისათა; ნუ მისდრკები ნუცა მარჯვენულ, ნუცა მარცხულ, რათა არა შესცდე და შთავარდე მთხრებელსა სატანჯველისასა.

თავი 93. ყოვლითა კრძალულებითა მოუდრიკე თავი შენი ეპისკოპოსთა, მწყემსთა ქრისტეს სიტყვიერთა ცხოვართასა, და მოგეცემის შენ კურთხევა ღვთისა.

თავი 94. ხუცესთა, მღვდელთა ქრისტესთა, საიდუმლოსა ტრაპეზსა ღვთისა წინაშე მდგომარეთა, ყოვლითა პატივითა პატივ-სცემდე, და სიყვარულით უსმენდი მათ, რაჟამს გასწავებდენ შენ იგინი მცნებათა ქრისტესთა.

თავი 95. მიეცე ვგრეთვე შესაბამი პატივი დიაკონთა, მთავარდიაკონთა და მკითხველთა, ვითარცა მსახურთა ღვთისათა; და ნუ ვისმე შეაწუხებ მათგანსა.

თავი 96. რამეთუ უკეთუ შიშით პატივისცემ მათ, რომელნი მდგომარებენ წინაშე ქვეყნიერისა მეფისა, და იშიშვი ვიდრედა სიტყვით წყინებად მათდა: ვითარ სამედა ჰგონებ შენ მსახურთათვის ზეციერისა მეუფისათა?

თავი 97. მოიხილენ მონასტერნი და სახლნი წმიდათანი, განიცადენ ცხოვრება მათი, წესიერება და განკრძალულება. რამეთუ ჰსცნობ რა სახესა ცხოვრებისა მათისასა, განიკითხავ ცხოვრებასა შენსა, და მიერთაგან იწყებ განმართვასა თავისა შენისასა.

თავი 98. ნუ უდებჰყოფ მისვლად უშინა-

განესსა მემხოლობასა შინა მცხოვრებთა მიმართ; მოიძიე კურთხევა და ღოცვა მათი; უკეთუ გაქვს რაიმე სახმარი ხორცთა, მართუ მათ, და მიიღებ სულიერსა სარგებელსა.

თავი 99. ნუ თანაწარხდები მონოზონსა ყოველსა, თვინიერ თაყვანისცემისა; რამეთუ უკეთუ თაყვანისცემ შენ და აჩვენებ პატივისცემასა მხოლოდ მათგანთა მათ, რომელნი მეცნიერ შენდა არიან: ჰყოფ სადმე შენ ამას მეგობრობით, არა პატივისცემელად სახისა მის, რომელიცა ჰმოსიესთ მათ, ხოლო განსასრულებლად ყოვლისა თქმულისა:

თავი 100. შეიყვარე უფალი ყოვლითა სულითა, და შიში მისი დადგრომილ იყავნ გულსა შინა შენსა. იყავ მართალ, ჭკუმიმარიტ, მდაბალ. გაქვნდეს თვალნი ქვემზირალ, ხოლო გონება ზეცად მიმართ აღწევნილ. ღმობიერ იქმენ წინაშე ღვთისა და სათნო – წინაშე კაცთა. იყავ ნუგეშინისმცემელ წუხარეთა, განსაცდელთა და სიგლახაკეთა შინა მოთმინე, უხვი და მოწყალე, გლახაკთა გამომზრდელ და უცხოთა შემწყნარებელ. იყავ მწუხარე ცოდვისათვის, და მოხარულ ღვთისათვის, იტვირთე შიმშილი და წყურვილი. ჰყავ მყუდრო, ნუ დიდების მოყვარე, ნუ ოქროს მოყვარე, მეგობართ მოყვარე, ნუ პირმოთნე, ნუ ამპარტავან. გეშინოდეს მეფისა; იყავ განმზადებულ აღსრულებად ბრძანებისა მისისა. პასუხისგებათა შინა იყავ საამო; ილოცევედ ხშირად, იღწვიდ გონიერად ღვთისათვის; ნუ განიკითხავ კაცსა ვისმე; იყავ შემწე ყოველთა მიმძლავრებულთა: და ეგვეთართა სახითა იქმნები შვილ სახარებისა, ძე აღდგომისა, და მემკვიდრე ცხოვრებისა ქრისტე იესოს მიერ უფლისა ჩვენისა, რომლისა არს დიდება, და სიმტკიცე, პატივი და თაყვანისცემა, თანა მამით და ყოვლად წმიდით სულითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

„კანონი წმიდისა გენადისა“
სანკტპეტერბურგი, აღიბეჭდა
სტამბასა შინა საიმპერატორო
აკადემიის სწავლით, 1847.

XANZARI BETLEMSI

2014 წლის 25 მაისს რომის პაპმა ფრანცისკო I-მა და მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოსმა იერუსალიმის აღდომის ტაძარში, მაცხოვრის საფლავთან, ერთობლივი ეკუმენისტური მსახურება ჩაატარეს. მათ პატივი მიაგეს 50 წლის წინ, მაშინდელი პაპის პავლე VI-ს და პატრიარქ ათინაგორას მიერ იერუსალიმში მიღებულ დადგენილებას, მართლმადიდებელსა და კათოლიკეებს შორის 1054 წლის ანათემირებების გაუქმების შესახებ.


აწინდელმა რომის პაპმა ფრანცისკომ და პატრიარქმა ბართოლომეოსმა ამ აქტის ახლებურ ინტერპრეტაციას ე.წ. ერთობლივ დეკლარაციას მოაწერეს ხელი. ამასთან დაკავშირებით, ჟურნალისტებთან საუბრისას, პაპმა ფრანცისკმა განაცხადა: „ჩვენ თეოლოგიურ კონგრესებზე გაერთიანება არ შეგვიძლია. ერთიანობა გზადაგზა მიიღწევაო“. პატრიარქმა ბართოლომეოსმა კი თავის მხრივ გაიხსენა პატრიარქ ათინაგორას სიტყვები, რომელიც მან პავლე VI-ს უთხრა: „ყველა თეოლოგი კუნძულზე უნდა შეგვრათ, და ჩვენ კი ერთად გავწიოთ წინ“...

რომის პაპის ვიზიტის მეორე დღეს, უფლის შობის ტაძარს. ხანძარმა სრულიად გაანადგურა ხატები, ფრესკები და სხვა სიწმიდეები. დამწვარია ტაძრის იატაკი, კედლები და ჭერი.

<http://klin-demianovo.ru>



ეკუმენისტური მსახურება მაცხოვრის საფლავთან.



ხანძარი ბეთლემში, უფლის შობის ტაძარში

RIRSI MAMA GABRIELIS WMIDA NESTIS GANBANVA DA SEMOSVA



უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და წმიდა სინოდის განჩინებით, 3-7 ივლისს სამთავროს დედათა მონასტერში შესრულდა ღირსი მამის, გაბრიელ სალოსისა და აღმსარებელის, წმიდა ნაწილთა განბანვა-შემოსვა.


წმიდათა ნაწილთა განბანვა-შემოსვის წეს-განგება, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე არ შესრულებულა, რითაც კიდევ უფრო საკვირველჰყო უფალმა ხსენება ღირსთა მამათა: გაბრიელ სალოსისა და აღმსარებელისა და ბეთანიელ მამათა იოანესი და იოანე-გიორგის.

წმიდანთა პატივის მიგებით, მორწმუნეები განიწმიდებიან, სწეულნი განიკურნებიან, ეშმაკნი განიდევნებიან, იხსენიებენ წმიდანის ღვაწლს და მეოხებას შეთხოვენ წმიდანს უფლის წინაშე.

ღირსი მამა გაბრიელის ნეშტის გაპატიოსნება-შემოსვაში მონაწილეობდნენ სინოდის წევრები: პატრიარქის ქორეპისკოპოსი მეუფე იაკობი (იაკობიშვილი), ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა), სამთავისისა და კასპის ეპისკოპოსი დამიანე (ხუფენია); მღვდელმსახურნი: არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე), არქიმანდრიტი კირიონი (ონიანი), არქიმანდრიტი გიორგი (გურჩიანი), იღუმენი პავლე (ქებულაძე), მღვდელმონოზონი მიქაელი (წულუ-

კიძე), დეკანოზი გაბრიელი (კობახიძე), დეკანოზი ზურაბი (ცხოვრებაძე), მღვდელი დავითი (კონჯარია), მღვდელი მირიანი (აღიბეგაშვილი), ბერი იერემია (ლომიძე), დიაკვანი ბესარიონი (ჭუხრუკიძე), იღუმენია ქეთევანი (კობალიანი).






ARQIMANDRITI LAZARE (GAGNIZE)

SINANULISATVIS

(საკვირაო ქადაგება)



ღირსი გაბრიელი აღმსარებელი და სალოსი.
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)
1993 წ.

„შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათაი“ (მთ. 4,17). ამ სიტყვებით დაიწყო უფალმა იესო ქრისტემ ნათლისღებისა და ქვეყნად განცხადების შემდეგ ქადაგება. ამავე სიტყვებით უხმობდა წმიდა იოანე მდინარე იორდანეზე ნათლისღებად იერუსალიმისა და იუდეის მოსახლეობას. მიდიოდნენ იოანესთან ნათლისღებად უბრალო ადამიანები, წარმართნი და ებრაელები. მასთან მივიდნენ ფარისეველები და სადუკეველებიც, მაგრამ იოანემ უმალვე ამოიცილა მათი არაკეთილგანზრახვა ახლებური ცხოვრების დაწყებისადმი და სულიერი განახლებისადმი მათი არაგულწრფელი დამოკიდებულება. ამის გამო საზოგადოების ელიტის ეს წარმომადგენლები იოანე ნათლისმცემელმა მკაცრად გააფრთხილა: „ჰყავთ უკუე ნაყოფი, ღირსი სინანულისაი, და ნუ ჰგონებთ და იტყვიან თავით თ(ვ) სით: მამაი გ(ვ)ვის ჩუენ აბრაჰამი; რამეთუ გეტყვ თქუენ, ვითარმედ შემძლებელ არს ღმერთი აღდგინებად ქვათა ამათგან

შივლად აბრაჰამისა. რამეთუ აწვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს. ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოიკვეთოს და ცეცხლსა დაედვას“ (მთ. 3,8-10). მაგრამ უფალ იესო ქრისტეს და იოანე ნათლისმცემლის ამ სიტყვებს ყურად არ იღებს „რჩეული საზოგადოების“ დიდი ნაწილი – ფარისეველები, სადუკეველები, მწიგნობრები, მღვდელმთავრები და პრივილეგირებული წრეების წარმომადგენლები, რომელთა შორის მეზვერეებიც ითვლებოდნენ. ისინი მაცხოვრის სიტყვებს არ ერწმუნენ. მაგრამ, ჭეშმარიტი ქრისტიანის საუცხოო მისაბაძი მაგალითი მისცა კაცობრიობას მეზვერე ლევიმ. იგივე მახარებელმა მათემ, რომელიც განკაცებულმა უფალმა იესო ქრისტემ ერთ-ერთი პირველთაგანი დაიმოწაფა და გამოირჩია მოციქულად თორმეტთა შორის.

მეზვერეები, ანუ მებაჟეები ხარკისა და სხვადასხვა გადასახადის ამკრეფნი იყვნენ რომის იმპერიაში, მათ შორის, რომაელთაგან დაპყრობილ პროვინციებში. მეზვერეები ხელისუფლების მიერ არ ინიშნებოდნენ. ისტორიული წყაროებით, მეზვერეები იყვნენ კერძო პირები, რომლებიც ხარკის აკრეფის უფლებას, როგორც პროფესიას, ყიდულობდნენ ფულით. სახარების მიხედვით, მეზვერეთა საქმიანობა რეგულირდებოდა მეზვერეთა მთავრების მიერ. ხელისუფლება მათი მეშვეობით დიდ შემოსავალს იღებდა, რადგან მეზვერეები დიდ გადასახადებს სძალავდნენ მოსახლეობას. ხალხს სძულდა მეზვერეები, როგორც გამომძალველები და როგორც წარმართებთან აღრეული უწმინდურები.

აი, ამ წრიდან გამოირჩია იესო ქრისტემ მეზვერე ლევი, იგივე მათე მახარებელი, რომელმაც მოახერხა მთლიანად დაემსხვრია საკუთარი პიროვნება, საკუთარი „მე“ და სრულად იცვალა ზნეობრივი სახე „როგორც მეზვერემ“ და „ცოდვილმა“ და შეიმოსა ჭეშმარიტი ქრისტიანის სულიერი სამოსელი.

სახარებაში ჩვენ კიდევ ერთ მეზვერეს – ზაქეს ვეცნობით, რომელიც ქონებრივად



მინიატურა. ზაქე მეზვერეს ამბავი.

და თანამდებობრივად კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, ვიდრე მეზვერე ლევი.

ზაქე უმდიდრესი ადამიანი იყო, – მეზვერეთა მთავარი. იგი მთავრად დაინიშნა მისი აურაცხელი სიმდიდრის შემწეობით. თავისი საქმიანობით ზაქეს შეეძლო კიდევ უფრო გამდიდრებულიყო, მაგრამ მას ეს სიმდიდრე სასიკეთოდ არ წაადგებოდა, რადგან იგი უმწეო მოსახლეობისათვის ფულის გამოძალკვით მდიდრდებოდა. და აი, იერიქოს თავისი მოწაფეებითურთ ეწვია უფალი იესო ქრისტე. ზაქესთვის ცნობილი იყო მაცხოვრის მიერ ამ მხარეში მოხდენილი სასწაულების ამბავი და დიდი სურვილი გაუჩნდა, საკუთარი თვალთ ეხილა დიდი სასწაულმოქმედი. იგი გავიდა ქალაქში, მაგრამ ქუჩაში იესო ქრისტეს შესახვედრად გამოსული ურიცხვი ხალხის გარღვევა გაუჭირდა. ამასთანავე, რადგან იგი ტანით ძალიან დაბალი იყო, „ვერ უძლო ხილვად“ იესოსი. ზაქემ სძლია თავის პატივმოყვარეობას, არ იუკადრისა და, როგორც პატარა ბავშვმა, წინ გაუსწრო ქუჩაზე მიმავალ უფალ იესო ქრისტეს. ზაქე აცოცდა ლეღვსულელის ანუ სიკომოროს ხეზე, რათა როგორმე ამგვარად მაინც დაენახა მაცხოვრის სახე. ზაქეს საქციელს თბილად უპასუხა მაცხოვარმა: „ზაქე, ისწრაფე და გარდამოხედ, რამეთუ დღეს სახლსა შინა შენსა ჯერ-არს ჩემი ყოფაი“. მაცხოვრისა-

გან ამგვარ ყურადღებას და ამგვარ პატივს, ცხადია, ზაქე არ მოელოდა. მეტიც, იგი აზრადაც ვერ დაუშვებდა გონებაში, რომ იესო ქრისტე ღამეს გაათევდა მის სახლში.

ვინც ეძიებს, იგი პოულობს, ვინც ითხოვს, იგი ღებულობს, – გვასწავლის წმიდა წერილი. ზაქე ბავშვივით გულუბრყვილოდ და თავგამოდებით ეძიებდა იესო ქრისტეს ხილვას, და მას დაუფასდა ეს გულანთებული სურვილი – ზაქემ არათუ იხილა უფალი, არამედ იგი უფლის მასპინძელი შეიქნა. ზაქეს სახლეულში მაცხოვრის სტუმრობამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იერიქოს მაცხოვრებლებში. ისინი დრტვინვიდნენ და იტყოდნენ, ვითარმედ: „ცოდვილისა კაცისა თანა შევიდა დადგრომად“ (ლკ. 19,7). იესო ქრისტეს სტუმრობით აღფრთოვანებულმა ზაქემ გულით და გონებით შეიცნო უფლის წინაშე საკუთარი უღირსება და დიდხანს არ უფიქრია – უფლის მიერ დაშვებულ დიდ წყალობას, სინანულით უპასუხა. მან თავისი მომხვეჭელი წარსული შეინანა და უფალს შეჰპირდა, რომ ნაშრომ-ნაპოვარის ნახევარს დაურიგებდა ღარიბ-ღატაკებს, ხოლო მათ კი, ვისაც რაიმე გამოსძალა, ყოველივეს ოთხწილ მიავებდა. ამგვარად, უფალ იესო ქრისტესთან შეხვედრით, ზაქემ საკუთარი ცოდვილი თავი შეიცნო და სინანულში ჩავარდა.

სინანულის განცდით, უდიდესი ნეტარება დაეუფლა მეზვერის გულს, რადგან მან თავის სიცოცხლეში ალბათ პირველად განიცადა ჭეშმარიტი ადამიანური სიყვარული და შეიცნო საკუთარ ცოდვათაგან ხსნის გზა, მიანდო რა თავი მხსნელსა და მაცხოვარს, იესო ქრისტეს. ზაქემ ამით ხსნის გზაზე დააყენა არა მარტო საკუთარი თავი, არამედ მისი ოჯახის ყოველი წევრი, როგორც უფალი იესო ქრისტე ბრძანებს: „დღეს იქმნა ცხოვრებაი სახლსა ამის... რამეთუ მოვიდა ძე კაცისაი მოძიებად და ცხოვრებად წარწყმედულისა“ (ლკ. 19,9-10). ქრისტეს გზას შედგომილ მეზვერე ზაქეს და მის სახლეულს ამგვარად დაუდგა უდიდესი სასწაულის დღე, დღე მისი ცოდვილი ცხოვრების ხსნისაკენ შემობრუნებისა, რადგან ზაქე და მისი სახლეული, მისი შვილები, ქრისტესთან მისვლით იქმნენ ღვთის შვილები.

ღმერთმა აპოვნინოს ეს გზა ყოველ გზააბნეულ ქართველს და საქართველოს მოქალაქეს, ხოლო მას, ეს გზა ვინც იპოვა, ღმერთმა მეზვერე ლევისა და ზაქეს სულიერი ნიჭი მიმადლოს! ამინ!

~ PATRIARQEBI _ ERIS SULIERI WINAMZRVREBI...~

(საუბარი ნექტარიოს იანგსონთან)

ჰავაის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მირონმდინარე ხატი, როგორც მისმა მცველმა ნექტარიოსმა აღნიშნა, „თავის სამშობლოში ჩამობრძანდა“ და საქართველოს მრავალი ტაძარი და მონასტერი მოიარა. ხატის მიმოსვლის განაწესში სამთავროს დედათა მონასტერი არ შედიოდა. მიუხედავად ამისა, ღვთისმშობელმა ინება და მირონმდინარე ხატი წმიდა ნინოს დედათა სავანეში მობრძანდა. როგორც ხატის ერთ-ერთმა თანამხლებმა პირმა, მამა პავლემ (ზაქარაია) განმარტა: „ხატი თვითონ გვატარებს და შეიძლება მოულოდნელად მოვხვდეთ ისეთ ადგილას, სადაც არც კი ვფიქრობდით მისვლას“.

ღვთისმშობლის მირონმდინარე ხატის მფლობელი, ნექტარიოს იანგსონი, როგორც დეკანოზმა პაღე ზაქარაიამ აღნიშნა, ღვთისმშობელმა გამოირჩია და იგი რუსეთის საზღვარგარეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაადგინა ხატის მცველად; რაც, მისი თქმით, მიგვანიშნებს, რომ 1997 წელს მოკლული იოსებ მუნიოსის გზა ნექტარიოს იანგსონს უნდა გაეგრძელებინა, დაკარგული მონრეალის ივერიის ღვთისმშობლის ხატის ნაცვლად, ჰავაის ივერიის ღვთისმშობელს უნდა დაელოცა ხალხი.

მირონმდინარე ხატმა მრავალი ეკლესია-მონასტერი მოიარა აშშ-სა და კანადაში; მამა პავლეს თქმით, საქართველო პირველი მართლმადიდებელი ქვეყანაა, სადაც ჰავაის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი ჩამობრძანდა.

ჩვენ გვქონდა პატივი, გავსაუბრობოდით ხატის მცველს, ბატონ ნექტარიოსს, რომლის ჩანაწერსაც ვთავაზობთ მკითხველს:

• • •

„რამდენიმე წელია, ჰავაისად წოდებული მირონმდინარე ხატის საქართველოში ჩამობრძანებას ვცდილობთ. ყოველთვის დიდ წინააღმდეგობას და დაბრკოლებას ვხვდებით. ეს ხატი მონრეალის ღვთისმშობლის ხატის პირია, რომელიც წარმოუდგენლად სასწაულმოქმედი იყო. მისგან მირონი ისე ჭარბად მოედინებოდა, რომ იატაკზეც კი იღვრებოდა. საქართველოში მობრძანდა მონრეალის ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლი – ფოტოპირი, რომელიც 1999 წელს მამა ანატოლმა (ლიოვინი) მისახსოვრა. 2007 წლის ოქტომბერში. მუნიოსის მკვლელობიდან 10 წლის შემდეგ, მონრეალის ხატის ასლმა მირონდენა დაიწყო. გაოგნებული ვიყავი, არ ვიცოდი რა გამეკეთებინა – წავაბრძანე ტაძარში და ეპისკოპოსს გადავეცი. მაშინ ჩემმა სულიერმა მოძღვარმა, მამა სვიმონმა გააკვირვებით მითხრა: – რა გააკეთე, ღვთისმშობელი მიატოვე?! – შემეშინდა, ვერ ვიაზრებდი რა ხდებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ ხატი დავიბრუნე. სულიერმა მამებმა მაკურთხეს და მითხრეს, რომ მე უნდა ვყოფილიყავი ამ ხატის მცველი



ჰავაის ივერიის ღვთისმშობლის მირონმდინარე ხატი სამთავროს ტაძრის საკურთხეველზე.

და რომ მისი თანხლებით უნდა მოგველოცა: საქართველო, რუსეთი, უკრაინა და სხვა მართლმადიდებელი ქვეყნები. ღვთის მადლით, ღვთისმშობელმა ინება და კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის და ნიუორკის მიტროპოლიტ ილარიონის კურთხევით, უღამაზეს, პატარა კუნძულ ჰავაიდან ეს წმიდა ხატი საქართველოში ჩამობრძანდა. ხატმა აშშ-ს 1000-ზე მეტი



ჰავაის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი ხელთ უპყრია მცველს, ნექტარიოს იანგოსონს.

მართლმადიდებლური ტაძარი მოიარა, უამრავი სასწაული აღასრულა, მაგრამ პირველი შემთხვევაა, როდესაც ხატი მართლმადიდებელ ქვეყანაში ჩამობრძანდა. ჩვენი ვიზიტი საქართველოში კანადის ქართულ ეკლესიაში მოღვაწე დეკანოზმა პავლემ (ზაქარაია) მოაწყო.

„ჰავაისად“ წოდებული ივერიის ღვთისმშობლის ხატი მართალია, არ არის ფერწერული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში, არამედ იგი ძალიან უბრალო ხატი-რეპროდუქციაა, მაგრამ ეს წმიდა ხატი ღვთისმშობელმა გამოირჩია და თავისი მოწყალებით, მონრეალის ხატის მსგავსად, სასწაულმოქმედების ძალა მიანიჭა. ხატიდან მირონი უხვად მოედინება, ხშირად, მისი ჩასადები ბუდეც კი მთლიანად სველდება. ღვთისმშობელმა განაბრწვინა ეს ხატი, თუმცა კი ყველა ხატს თავისი ინდივიდუალობა აქვს, თავისი ორიგინალობა და დიდებულება. ხატების მეშვეობით ღვთის მადლი მოქმედებს. ყველა მათგანი შეიძლება გახდეს მირონმდინარე. ხატი ხომ სარკმელია სასუფეველში. ეს ხატი ის სარკმელია, რომელიც ღია დარჩა. ჰავაის ღვთისმშობლის წმიდა ხატმა მრავალი კურნება აღასრულა, რომელთაგან ერთ ასეთ შემთხვევას გავიხსენებ:

ერთხელ, სპორტული ტრამვის შედეგად დაბრმავებულმა 16 წლის ბიჭმა, როგორც კი ემთხვია ამ სასწაულმოქმედ ხატს, ღვთისმშობლის სახე იხილა და მას შემდეგ მთლიანად აღუდგა მხედველობა. დღეს იგი მორჩილია არიზონას შტატის ერთ მონასტერში, რომელსაც ათონელი

ბერი, მამა ეფრემი განაგებს.

მაგრამ მთავარი მაინც სულიერი ფერისცვალებაა. ამერიკელი ხალხი სულიერად ძალიან უძღურია; საზოგადოების მაღალი ფენა გადაგვარებულია – ის რაც ადრე ამორალურად და ცოდვად მიიჩნეოდა, ახლა – მორალურია და სწორი. ბევრი მათგანი ვერც კი იაზრებს ამას. დღეს ჩვენ გემართებს, თავი დავიცვათ და სული გადავარჩინოთ.

ამერიკაში 2000-ზე მეტი მართლმადიდებელი ეკლესიაა და ბევრ მათგანს ვეწვიეთ. ღვთის მადლს საოცარი მიზიდულობა აქვს და ყველგან, სადაც კი ღვთისმშობლის ხატი მივაბრძანეთ, ეკლესიები ხალხით გაივსო. ბევრი მათგანი ცნობისმოყვარეობის გამო მოდიოდა; მრავალს კი სურდა უფალი ეპოვა. ადამიანმა უნდა ეძიოს და ჰპოვოს უფალი; გული უნდა გაუხსნას უფალს და მიიღოს; კაცმა სიმართლის მარცვალი უნდა დათესოს და შეიმეცნოს ქვეყნიერების შემოქმედი. ადამიანი მხოლოდ მართლმადიდებელ ტაძარში იპოვის უფალს მთელი დიდებულებითა და ჭეშმარიტებით.

ერთხელ, არიზონის შტატის ერთ-ერთ ეკლესიაში ერთი ახალგაზრდა მოვიდა. მთელი სხეული ტატუირებული ჰქონდა, ხელები და სახე კი დემონური სიმბოლოე-



ნექტარიოს იანგოსონი, ბერი ნიკონი (პრავოტაკისი), დეკანოზი იოანე (საროხკა).

ბით დაეფარა. იგი ცნობისმოყვარეობით უყურებდა ხატს და ამ დროს ღვთისმშობლის ხელიდან მირონის დიდი წვეთი ჩამოიღვენთა და ჩამოიღვარა. მოულოდნელად ეს ახალგაზრდა მუხლებზე დაემხო ხატის წინაშე და ცრემლები წასკდა – იგი სინანულს მიეცა; რა თქმა უნდა, ის არ იყო მონათლული, მაგრამ მან ქრისტე იპოვა და მისი გული შეიცვალა – ის უფლის მისაღებად განემზადა. ვფიქრობ,



ბერი ნიკონი (პრავოტაკისი), დეკანოზი გაბრიელი (კობახიძე), დეკანოზი იოანე (საროჩკა).

ამაზე დიდი სასწაული არ არსებობს. საოცარია ფიზიკური და სულიერი სნეულებებისგან განკურნება, მაგრამ ასეთი ცოდვილი ადამიანის მოქცევა, ყველაზე დიდი სასწაულია. ადამიანი როცა ემთხვევა მირონმდინარე ხატს, მამა გაბრიელის წმიდა ნაწილებს და სხვა სიწმიდეებს, როცა გულით შეჰღადადებ უფალს, მაშინ გეძლევა შესაძლებლობა, გადაწყვიტო შეუდგე ქრიტეს – დაიცვა მარხვა, ილოცო, აღიარო ცოდვები და ეზიარო ქრისტეს სისხლსა და ხორცს. სინანული საჭიროა რათა უფალმა შეგვიწყალოს. ვფიქრობ, ყველაზე დიდი სასწაული, რაც კი დედამიწაზე აღესრულება, არის პურის და ღვინის გადაქცევა ქრისტეს სისხლად და ხორცად.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან შეხვედრამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ვიგრძენი რომ უწმიდესი და უნეტარესი ილია II განსაკუთრებული მლოცველი და მმარხველი ადამიანია და ამ ქვეყნის მორწმუნეთათვის ცოცხალი მაგალითია. ჩემი აზრით, ილია II წმინდანია; წმიდა ადამიანი იყო სერბეთის პატრიარქი პავლეც და რუსეთის პატრიარქი ალექსი II-ც. ამ უკანასკნელის ღვაწლი აღსანიშნავია, რადგან ალექსი II-მ სქიზმისგან განკურნა რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესია; მოსპო ის სიძულვილი, რაც არსებობდა რუსეთის საპატრიარქოსა და რუსეთის ემიგრანტულ ეკლესიას შორის. როგორც ცნობილია „ბოროტი განყოფს, უფალი აერთებს“. პატრიარქები ერის სულიერი წინამძღვრები არიან; ღმერთს უყვარს ეს წმიდა ადამიანები. ამ რთულ სულიერ ეპოქაში ისინი ძალიან დიდ როლს ასრულებენ ერთიანობისთვის, მთლიანობისთვის. პატრიარქები უფალთან მიახლოებაში შეგვეწევიან. დღეს სულიერად ძალიან გვიჭირს და ამ

ქვეყნად მათი მეოხება გვჭირდება. უფალს კვლავაც ვუყვარვართ, წინამძღოლად ასეთ ადამიანებს რომ გვიგზავნის.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მირონმდინარე ხატი ჩაბრძანდეს ყველა მართლმადიდებელ ქვეყანაში: რუსეთში, საბერძნეთში, უკრაინაში, სერბეთში. გვინდა, ღვთისმშობელმა დალოცოს მართლმადიდებელი ქვეყნები, რათა ძმური სიყვარული სუფევდეს ჩვენს შორის, რადგან მართლმადიდებელი ეკლესია ერთია და ჩვენ ყველანი ამ ეკლესიის შვილები ვართ. ამდენად, ღვთისმშობლის ხატი წაბრძანდება ყველგან, სადაც და როცა ინებებს. ის ფაქტი, რომ ამჟამად ხატი ამ მონასტერში ბრძანდება, ნიშნავს რომ სწორედ აქ ინება დედა ღვთისამ მობრძანებულები. ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა ღირსი გაბრიელ ბერის წმიდა ნეშტი ტაძარშია დაბრძანებული. დიდება უფალს, რომ მივემთხვიეთ ამ სიწმიდეს.

ღვთისმშობლის ხატის საქართველოში ჩამობრძანება ორმაგი კურთხევაა – ღვთის წყალობით, ვმოგზაურობთ თქვენს ქვეყანაში (ვიყავით ბოდბეში, ალავერდში) და ხატით ვლოცავთ ხალხს; ამავდროს, ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა, მივემთხვიოთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სიწმინდეებს, როგორცაა წმიდა ნინოს საფლავი, წმიდა მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას საფლავები, ღირსი გაბრიელის წმიდა ნეშტი და სხვა. ეს ნამდვილად ღვთის დიდი წყალობაა ყველა ჩვენთაგანისათვის.

საქართველოში უძველესი ეკლესიამონასტრებია, მათ შორის არის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი. ჩვენთან კი 100 წლის ეკლესიას ვუწოდებთ უძველესს. თქვენ გაქვთ ტაძრები, ხატები და სხვა სიწმიდეები, რომლებიც უფრო ძველია, ვიდრე ჩვენი სახელმწიფო (აშშ). თქვენს ქვეყანაში ყოფნით და უძველესი სიწმინდეების თაყვანისცემით, ჩვენ არაჩვეულებრივ გამოცდილებას ვიძენთ. ხოლო თქვენ თაყვანისცემთ ახლა სიწმინდეს, რომელიც ათი წლისაგ კი არ არის... ასე გადასცემს და განავრცობს უფალი თავის მადლსა და წყალობას დასაბამიდან დღემდე, რათა შეგვაგონოს და განაძლიეროს ჩვენი მართლმადისარებლობა.

დიდება და მადლობა უფალს!“

საუბარი ჩაიწერა და ინგლისურიდან თარგმნა მონოზონმა ნონამ (ჯავაშვილი)


WMIDA MEFE MIRIANIS BAZILIKA

წმიდა მირიანის, ამ პირველი ქრისტიანი ქართველი მეფის მიერ აგებული ეკლესია, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს¹ მიხედვით, ქალაქ მცხეთის გარემოში, „მაყვლოვანში“ იყო საძიებელი. მის ლოკალიზაციას კი „მოქცევაჲ“ თვითონვე ახდენს: „და შექმნა სახს ჯუარისაჲ“ (წმიდა ნინო, ქართველთა განმანათლებელმა) ნასხლევისაჲ, და მუნ დაადგრა და ილოცვიდა. და ადგილი იგი იყო ზღუდესა გარეგან. ხოლო მათ მაყუალთა ადგილი არს ზემოდა ეკლესიისა საკურთხეველისა ადგილი“ („მოქცევაჲ“ შატბ., 84).

აქ, ამ ადგილის ყველა სახის განმარტება იყრის თავს: საქალაქო (ზღუდესა გარეგან), და ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ აქ საქალაქო ზღუდე, ანუ საფორტიფიკაციო სისტემის ერთ-ერთი მონაკვეთი იგულისხმებოდა; სიმბოლური – „მაყუალთა ადგილი“, ანუ „მაყვლოვანი“ ანუ ის არე, სადაც წმ. ნინო ხანგრძლივი დროის მანძილზე დაფუძნებული და ქმნის დასაწყისი პერიოდის ქართულ ქრისტიანულ სიმბოლიკას. ამას გარდა მაყვალსაც და, შესაბამისად, „მაყვლოვანსაც“, ქრისტიანულ სიმბოლოთა კომპლექსში, საკუთარი, დამოუკიდებელი დატვირთვაც აქვს (ჭელიძე 1985, 106-107). ვფიქრობ, რომ „მაყვლოვანი“, ტექსტობრივი, დაფარული აზრის გადმოსაცემად განკუთვნილ მნიშვნელობასაც შეიცავს. საკმე ისაა, რომ „მოქცევაჲ“-ს ერთ მახასიათებელს უნდა მიეკცეს აქ ყურადღება და კერძოდ იმას, რომ იგი თითქმის არსად იხსენიებს (ერთადერთი შემთხვევის გარდა) საკერპეს, ანუ წარმართულ ტაძარს და ეს გასაგებიცაა – მას წმ. ნინო ღვთის სახლად არ მიიჩნევს, მაგრამ ყველა მისთვის საყურადღებო ადგილს მცხეთასა და მის შემოგარენში „მოქცევაჲ“ გადაჰფარავს ხოლმე ტერმინებით: „ბორცვი“, „სამოთხე“, „მაყვლოვანი“... ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ პუნქტებში ქრისტიანობის ქადაგება განსაკუთრებული მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო მძლავრი, წარმართული საკულტო სისტემებისა და ორგანიზაციის გამო?

¹ წინამდებარე წერილი ეყრდნობა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს როგორც შატბერდულ, ასევე ჭელიშურ ვერსიას, ამდენად ტექსტში შესაბამისად – „მოქცევაჲ“ შტბ; „მოქცევაჲ“. ჭელ.

² ეს ამჟამად არქეოლოგიურად დასტურდება, თუნდაც „სამოთხეში“, ანუ სამეფო ბაღში, სადაც ეხლა სვეტი-



სამთავრო (ტაბ.1)

რაც შეეხება წყაროსმიერ კიდევ ერთ განმარტებას – „ზემოდა“, იგი ქართული გეოგრაფიული ტერმინია და კონკრეტდება მდინარით, ანუ „ზემო“ სათავისაკენ მიმართებას აღნიშნავს, „ქვემო“ კი საპირისპიროს, შესართავისაკენ და, მართლაც, პირველ ხის ეკლესიასთან მიმართებაში, რომელიც „სამოთხეში“ აღმართეს მეფემ და განმანათლებელმა, „ზღუდესა გარეგან“ და „მაყუალთა ადგილი“, მართლაც „ზემო“-ა, მდ. არაგვით განსაზღვრული (ნახ. I).

როცა „მოქცევაჲ“-ს ციტირებული მონაკვეთი იწერებოდა, მცხეთის საქალაქო სივრცეს საგრძნობი ცვლილებები ჰქონდა განცდილი და ყველა ნიშნით (წყაროთა მონაცემები, არქეოლოგია) იგი ვახტანგ გორგასალს უკავშირდება: „მოელოდა იგი სპარსთა მეფისა მოსვლასა: – ამავრება ციხეთა და ქალაქთა“, (ჯუანშერი, ცხოვრება, 178), ანდა „... ვახტანგ განაძლიერნა ციხენი ქალაქისანი“ (ჯუანშერი, ცხოვრება, 179), და მცხეთის მიმართ ვახტანგ გორგასალის ქმედებების შედეგი, ჯუანშერის მიხედვით,

ცხოვლის XI ს-ის გუმბათოვანი ტაძარი დგას. იგი დაშენებულია V ს-ის, მეფე ვახტანგ გორგასალის მიერ აგებულ ბაზილიკაზე (იხ. Цинцадзе 1989, 25-40), რომელმაც თავის მხრივ დაფარა წმ. ნინოსა და მეფე მირიანის მიერ აღმართული ხის ეკლესიის ნაშთები. ხის ეკლესია კი, ყველა ნიშნის მიხედვით, წარმართული ტაძრის ნანგრევებზე ჩანს დაფუძნებული. აქ მიკვლეული ახ. წ. II ს-ის კორინთული კაპიტელები, მონუმენტური, ანტიკური ხანის ნაგებობის ნაშთია (ყოფიანი, 1998, 61-64).

სრულიად აშკარაა: „... ცნეს სპარსთა, ვითარმედ დამძიმდა ვახტანგ წყლულებისაგან, მოაოკრეს ტფილისი და არმაზი ქართლი, ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს, გარნა რომელი ზღუდესა გარეგნით იყო მოაოკრეს, რომელი იგი მუხნარით და არაგუსა ხერთვისსა იყო“ (ჯუანშერი, ცხოვრება... 202).

ჯუანშერთანაც გამოჩნდა გამოთქმა „ზღუდესა გარეგნით“ და ცხადია, რომ აქ ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული სასიმაგრო კედელი იგულისხმება. ეს სასიმაგრო კედელი და მცხეთის ჩრდილოეთის კარიბჭე, კარგა ხანია, არქეოლოგიურად გამოვლენილია მცხეთის ჩრდილოეთ უბანში, სამთავროს დედათა მონასტრიდან (ანუ მაცველოვანიდან) სამხრეთით, 100-დე მ-ის დაშორებით (ილ. II, 2). მონასტერსა და კარიბჭეს შორის ხევი მოედინება, რომელიც არაგვს ერთვის.

ჩრდილოეთის კარიბჭის გათხრისას (მკვლევარებმა ის შეცდომით მცხეთის არაგვის კართან გააიგივეს³), კარგად გამოიკვეთა ის, რომ ეს ნაგებობა აუქმებს ინტენსიურ, III-IV სს-ის დასახლებას. ისედაც, თუ ჯუანშერის ცნობას კარგად ჩაუვკვირდებით, მისთვის ზღუდის გარე მხარე ჯერ კიდევ მაინც მცხეთაა ნაწილობრივ – „მცხეთა ვერ დაიპყრეს, გარნა რომელი ზღუდესა გარეგნით იყო, მოაოკრეს“, ე. ი. მცხეთა-ციტადელი ვერ აიღეს, თორემ მის გარეთ რაც მცხეთა იყო, მოაოხრეს.

რაც შეეხება კარიბჭეს, ამ საფორტიფიკაციო სისტემის საკვანძო ნაგებობას, იგი მთლიანად სასანური სქემის გამეორებაა (ილ. II, 1). ბერძნულ კარიბჭეთა სისტემა, როცა ქალაქის კარი ერთმანეთისადმი დისპროპორციულად განთავსებული კოშკებითაა დაცული, ან თუნდაც რომაულ კასტელუმთა კარიბჭეები – სიმეტრიულად განთავსებულ კოშკებს შორის დიობები, თითქმის სავსებით უარყოფილია სასანური ფორტიფიკაციის მიერ. უმეტეს შემთხვევაში აქ კარიბჭეები იქმნება კედლიდან

გამოზიდული კოშკის ცენტრალურ არეში შექმნილი დიობით (ილ. III)⁴.

ასე რომ, მისი გეგმარებითი სახეც ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის დროისა ჩანს. ე. ი. სპარსთა შემოსევების მოლოდინში ვახტანგ გორგასალი ქმნის ციტადელს, აჩარჩოებს ქალაქის ცენტრს სასიმაგრო კედლებით, ქალაქის ჩრდილოეთის ხევს ბუნებრივ თავდაცვით წინაღობად იაზრებს და მის პარალელურად მიმართავს სასიმაგრო კედელს (ილ. II, 2)⁵.

ამდენად, მეფე მირიანის დროინდელი მცხეთის ჩრდილოეთის უბანი, „მოქცევაჲ“-ს ავტორისათვის უკვე „ზღუდესა გარეგან“-აა, ანუ გარეუბანია.

მეფე მირიანის მიერ აგებული ეკლესიის შესახებ („გარეუბნის ეკლესია“, „ზემო ეკლესია“), „მოქცევაჲ“, თუ მისი თხრობის შეკუმშულ და ლაკონურ სტილს გავითვალისწინებთ, ყოველსომცველიც კია: „და წარავლინა მირიან მეფემან და ითხოვნა საბერძნეთით ქვისა მთელნი და კირით ხურონი, და მოსცა მეფემან... და ესრეთ მოვიდეს მცხეთად, და იწყო მეფემან შენებად ქვითა ეკლესიისა გარეუბნისასა“ („მოქცევაჲ“ ჭელ., 86-87).

მრავალმხრივ საინტერესო ცნობაა, რომელსაც ლეონტი მროველი კიდევ უფრო აკონკრეტებს: „იწყეს ხუროთა შენებად ეკლესიისა გარეგნივ ზღუდესა, მაყუალთა მათ ზედა, საყოფელსა წმიდისა ნინოსსა, სადა აწ არს ეკლესია საეპისკოპოსო“ (ლეონტი მროველი, 111-112).

ჯერ ერთი, ჩანს ამონარიდებიდან, რომ მეფე საეკლესიო არქიტექტურის კონცეფციას თხოულობს. ისიც სრულიად აშკარაა, რომ „ზემო ეკლესიის“ შენებას, კონსტანტინე I-ის მიერ, მირიანის თხოვნის შედეგად ქართლში ჩამოსული ხუროები იწყებენ, და ეს მას მერე, რაც მეფემ და წმიდა ნინომ უკვე აღმართეს

³ ჯერ ერთი, არაგვის კარში მდინარის ფონის საპირისპირო კარი უნდა ვიგულისხმოთ და ასეც გამოიკვეთა 1998 წელს მცხეთის ანტიოქიის მრავალსამშენებლო ფუნდანი ეკლესიის გათხრისას (ყიფიანი 1999, 18-25, ტაბ. IX-XIV), ამას გარდა მცხეთას სამი კარი ჰქონდა და ეს „მოქცევაჲ“-ში არაერთგზისაა აღნიშნული – მაგ. „სამთავე კართა ქალაქისათა...“ („მოქცევაჲ“, ჭელ. გვ. 139), და მისი გეოგრაფიული მდებარეობა სხვა შესაძლებლობას (ე. ი. უფრო მეტი, ან ნაკლები კარიბჭისას), არ იძლევა, გავისხენოთ, რომ იგი მდინარეთა ხერთვისში შეჭრილ სამკუთხა ნახევარკუნძულზეა განფენილი და ბუნებრივია, რომ მისი სამივე კუთხე კარიბჭით აღეჭურვათ – არაგვის კარი, ანუ აღმოსავლეთისა, ჩრდილოეთის კარი, რომელსაც ამჟამად მოვიხილავთ და დასავლეთისა, ეკლესია გეთსიმანის მიდამოებში, (ყიფიანი 2004, 22 და შმდ.). ე. ი. თუ ჩრდილოეთის კარს არაგვის კარად წარმოვიდგენთ, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული, მცხეთის მესამე კარს უბრალოდ ვედარსად ვივარაუდებთ.

⁴ იხ. კარიბჭეები ტახტ-ესულიმანის მახლობლად ტახტი ბელკიში, ბიშაპურში, ფირუზაბადში და ა. შ. (Naumann 1977, 116-119, სურ. 100; Huff 1953, 53 სურ. 31; Huff 1974, სურ. 2). კარიბჭეთა გამართვის ამ სისტემას მოგვიანებით ომანიდებიც წარმატებით იყენებდნენ. მაგ.: კარიბჭე ჯებულ სა-ის სიმაგრეში (Sauraget 1939, 239-256. სურ. 3).

⁵ ამ პერიოდის მცხეთის „ციტადელის“ რეკონსტრუქცია გიორგი ლეჟავას მიერ შესრულებული, არქეოლოგიურ, თუმც გამოუქვეყნებელ მასალაზეა დაფუძნებული და სავსებით სარწმუნოა (ლეჟავა 1978, ტაბ. LIII). სამწუხაროდ, საკუთრივ ჩრდილოეთის კარიბჭის მისივე რეკონსტრუქცია დამაჯერებლობას რამდენადმე მოკლებული ჩანს. საქმე ისაა, რომ რეკონსტრუქციაზე ქალაქის კარს აკონტროლებს კურტინადან გამოზიდული ორი, კვადრატის გეგმის მქონე კოშკი. ამ ფორმის კოშკებს კი, ფორტიფიკაციის ისტორია უბრალოდ არ იცნობს (ლეჟავა, ტაბ. LIV-LV).

სამოთხეში ხის ეკლესია „წმიდა წმიდათა“, ქალაქის ცენტრში, ყოველგვარი ქრისტიანული არქიტექტურული კონცეფციის გარეშე და კიდევ ერთი და განსაკუთრებულიც: მეფე იმპერატორს თხოვს მშენებლებს (ხურობებს), აქ, ცხადია, ხუროთმოძღვარიც უნდა ვიგულისხმოთ, ანუ არქიტექტურული კონცეფცია, რადგან მისი გადატანა მხოლოდ არქიტექტორს ხელეწიფება (Рапопорт, 1989, 141-142), მაგრამ თვით ხუროების მოთხოვნა რაღაც პროცესზე მინიშნებას გვაძლევს. საქმე ისაა, რომ მშენებლები ქართლს არასოდეს აკლდა, მთელი იბერიის წინარექრისტიანული ხუროთმოძღვრება, ფაქტობრივად, მონუმენტური სატაძრო არქიტექტურაა, გარდა ამისა, მას ემატება საინჟინრო თვალსაზრისით ურთულესი საფორტიფიკაციო სისტემები (უფლისციხე, არმაზციხე, წიწამური, სარკინე), და აქედან გამომდინარე, ქვეყნის ქალაქმშენებლობითი მოღვაწეობა.

მირიან მეფის თხოვნაში (ხუროების მოწვევა), მე მგონი პირდაპირ მეფის ოპოზიცია ჩანს და თანაც ქურუმთა კასტების მხრიდან: იბერია, და მით უმეტეს მისი დედაქალაქი, რთული პოლიტიკური სპექტრით ხასიათდება: – არმაზი და მისი პანთეონი და მისგან დამოუკიდებლად ზადენ-კერპი; მოგუთა, ქართლის მეხუთე მეფის ფარნაჯომის დაარსებული, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მთა ქართლის ძირში – ტრადიციული ზოროასტრული დეთისმსახურების ცენტრი; ბაგინნი (ჰურიათა); წარმართული სატაძრო არე „სამოთხეში“, და ბუნებრივია, რომ ამ სამყაროში ტაძართა მშენებლობა ქურუმთა კასტების ხელში იქნებოდა.

სულ სხვაა მონოთეისტური, ოფიციალური, საიმპერატორო პოლიტიკის გამტარებელი რელიგია. იგი სრულიად სხვა რამეს თხოულობს და კერძოდ, სატაძრო მშენებლობის ცენტრალიზაციას, ანუ ქურუმთა კასტების პრეროგატივა ახლა მეფისა უნდა გახდეს, მაგრამ ამ კასტების დაძლევა არც ისე იოლი საქმე ჩანს, მშენებლებიც ხომ მათ სისტემაში შემავალი ჯგუფებია. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ მირიანიდან მეშვიდე მეფის, არჩილის დროსაც კი, „მოგუნი მოგუეთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედა“ („მოქცევაჲ“ შტბ. 92). ასე რომ, რომიდან იმპერატორის მიერ მირიანისათვის მშენებელთა გაგზავნა, ქართლისათვის გარედან გაწეული პოლიტიკური ხასიათის დახმარებაც იყო.

ისედაც, როცა ხის „ქვემო ეკლესია“ შენდება, „წმიდა წმიდათა“, მეფის პრობლემები აშკარაა, ჯერ ერთი, კონცეფციის თვალსაზრისით და შემდეგ მშენებლობისაც. ლეონტი მროველთან დაცული ცნობები


მრავლისმოქმედია: მირიანი ჩქარობს – „... და მუნ აღვაშენო სახლი ღმრთისა სალოცველად ჩუენდა, ვიდრე მოსლვადმდე მღვდელთა საბერძნეთით“ და შემდეგ: „... და მეყსეულად მოილო ძალი (მეფემან) და ასწავებდა ხუროთა“. უბრალოდ ესენი პროფესიული მშენებლები არ იყვნენ, თორემ მეფის „შეძახილები“ მათ არ დასჭირდებოდათ. შემდეგ კი „... და აღმართეს ექუსნი იგი სუეტნი თვს-თვსად, ხოლო სუეტი იგი უდიდეს, რომელი საკურველ იყო ხილვითა, საშუალ ეკლესიისა შესაგდებლად განმზადებული ვერ შეუძლეს აღმართებად მისა“ (ლეონტი მროველი, 111-112).

„მოქცევაჲ“-ს მიხედვით კი: „და რაჟამს საკმარ იქმნა აღმართებად სუეტისა მის დიდებულისა, ებრძოლეს შუდელსა ერთსა მეფემან და სპათა მისთა ყოვლითავე მანქანითა...“ („მოქცევაჲ“ ჭელი., 138).

ცხადია, რომ ლეონტი მროველი რომელიც „პროტომოქცევაჲ“-თ სარგებლობს ამ სცენის აღწერისას, თორემ შვიდსვეტიანი ტაძრის მოდელს იგი საისტორიო წყაროსათვის ვერაფრით ვერ შექმნიდა. ე. ი. წყაროთა მიხედვით („მოქცევაჲ“-ს ჭელიშური ვერსია ლეონტი მროველის განვრცობილი თხრობის შეკუმშული ვარიანტია, მასზე ადრეული, რა თქმა უნდა, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ მას წინ უსწრებდა „მოქცევაჲ“-ს ჩვენთვის უცნობი ვარიანტი, რომლითაც ლეონტიმ ისარგებლა). აღმართეს ექუსი სვეტი, მაგრამ ვერ აღმართეს ეკლესიის ცენტრალური („საშუალ“) სვეტი, ანუ „შესაგდებელი“: წყაროსმიერი ნაგებობა, ჯერ ერთი, რომ ხისაა (მე მგონი, ხის ნაგებობებში იმ დროის, დღევანდელი ჩვენი ტერმინოლოგიით, ალიზის ნაგებობა იგულისხმება, რადგან მისი კონსტრუქციული სქემა ანუ კარკასი ხისაა. უბრალოდ, არქეოლოგიურად, უფრო მეტად ალიზი, ან მისი ნაშალი ცნობიერდება, ვიდრე გამქრალი ხე. შებრუნებულია აქმა, რა თქმა უნდა, წყაროსათვის), ამავე დროს, იგი კარვისებურიცაა და დაფუძნებულია ექუს-კუთხედის (ტოლგვერდა ან ოქროს კვეთის ექუსკუთხედის) გეომეტრიულ პრინციპზე. ამდაგვარი ეკლესია კი, ვერაფრით მიეკუთვნება ქრისტიანული არქიტექტურის ვერანაირ კონცეფციას თავის ადრეულ ფაზაზე. უბრალოდ, მეფე მირიანი აქ ქმნის, მისთვის ნაცნობ სქემაზე დაფუძნებულ ნაგებობას, ისევე ექუსკუთხედზე დაფუძნებულს, როგორც აღმოჩენილია არმაზციხეზე – ახ. წ. IV ს-ის დასაწყისით დათარიღებული წარმართული ტაძარი⁶.

„მოქცევაჲ“ გვაუწყებს, რომ მეფე მირიანი (და ერთი წლის მერე დედოფალი ნანაც), სწორედ მისსავე აგებულ „ზემო ეკლესია“-ში დაი-

⁶ ყიფიანი 1999, 32-36; საეჭვოა, რომ ამ ტაძარს როდესმე ემოქმედოს, იგი დანგრეული და განადგურებული ჩანს მის საბოლოო გასრულებამდე.



ტაბ.1 ბ

მარხა „... და მოკუდა მირიან მეფედ და დაეფლა საშუვალსა სუეტსა სამხრითსა ჩრდილოდთ კერძო“ („მოქცევაჲ“ შტბ. 91). „მოქცევაჲ“-ს ავტორი ამ ეკლესიის არქიტექტურული ტიპის აღწერას საგანგებოდ არ ცდილობს, მაგრამ რაც გვაუწყა (მეფის დამარხვა), მხოლოდ და მხოლოდ ბაზილიკაში შეიძლება რომ მომხდარიყო, რადგან „საშუვალ სვეტი“, ეს ცენტრალური სვეტია, რაც ბუნებრივია, რომ კიდურა სვეტებსაც გულისხმობს. ამავე დროს, ეს ცენტრალური სვეტი ერთადერთია ამ რიგში, რაც ნიშნავს იმას, რომ სვეტნარში მათი რაოდენობა კენტი რიცხვით გამოიხატება (ვთქვათ, სამი ან ხუთი სვეტი). გამოთქმა „საშუვალ სვეტსა სამხრითსა“ კი პირდაპირ გვაუწყებს, რომ ეკლესია შეიცავს „საშუვალ სვეტსა“ ჩრდილოეთისასაც. ეს კი უკვე უყოყმანოდ ბაზილიკური გეგმარებითი სქემაა – ბაზილიკური სიგრიძობა.

ეკლავ „მოქცევაჲ“-ს ცნობა, – ფრაგმენტი მირიან მეფის მონოლოგიდან: „და აღვაშენე ზემოდ ეკლესიად თავისა ჩემისა[ა]თუს და ერისა სიმრავლისათუს...“ („მოქცევაჲ“ ჭელ., 160). ეს გამოთქმა – „ერისა სიმრავლისათუს“ გარკვეულ არქიტექტურულ მასშტაბზე პირდაპირი მინიშნებაა. ნაგებობა მოზრდილია და „მრავალს“ იტევს, ანუ ისაა, რაც „ეკლესია“ – ანუ ნაგებობა-შესაკრებელი, თავისი თავდაპირველი და ახალი რელიგიის მიერ თავდაპირველობა – გაზიარებული მნიშვნელობით.

წყაროთა ეს არსებითი ხასიათის მონაცემები საქართველოს პირველი ქრისტიანული ბაზილიკის შესახებ, მკვლევართა ნაწილის მიერ საეჭვოდ იყო მიჩნეული (შესაძლოა, მომავალში აღმოჩნდეს ქრისტიანული ბაზილიკა, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებდეს მირიანის ქმნილებას, მით უმეტეს, რომ წყაროთა მონაცემებით, ქართლი წმინდა ნინომდევ, რაღაც დონით ნაზიარები იყო ქრისტიანობას, მაგრამ აქ საქმე გვაქვს ბაზილიკის მშენებლობასთან, როგორც სახელმწიფო

ნების გამოხატულებასთან, ამდენად „პირველ ქრისტიანულ ბაზილიკაში“ ახალი, ოფიციალური კულტისადმი მიძღვნილი ნაგებობა იგულისხმება). წყაროთა მონაცემების გაზიარებას ხელს უშლიდა უპირველესად წინასწარ შემუშავებული, საქართველოში არქიტექტურის განვითარების კონცეფცია, რაც უთუოდ იძულებითი ნაბიჯი იყო თავის დროზე, და ქართული არქიტექტურის ისტორიის კვლევის პირველი, წინასწარული მოდელი. ცხადია, რომ საისტორიო წყაროს კრიტიკულად უნდა მივუდგეთ, ე. ი. იგი უნდა შეჯერდეს, რომელიმე მეზობელი რეგიონის პარალელურ წყაროსთან და, საბოლოოდ, წყაროთა მონაცემები არქეოლოგიურ მსჯავრს უნდა დაექვემდებაროს. ასეთი ინფორმაციული პარალელური წყარო არ ჩანდა. არქეოლოგია დუმდა და თვით მაყვლოვანს, რომელსაც ახლა სამთავროს გუწოდებთ (სამთავარებისკოპოსო?), მინიშნებასაც კი არ იძლეოდა საიმისოს, რომ აქ, XI ს-ის გუმბათოვანი, ფერისცვალების სახელობის ტაძრისა (ტაბ. I) და დედათა მონასტრის სხვა, სხვადასხვა დროს წამომართული ნაგებობების გარდა, რაიმე კიდევ შეიძლება მდგარიყო.

მიუხედავად ამისა, მკვლევართა და ქართული ხელოვნებით დაინტერესებულ პირთა დიდი ჯგუფი, დაჟინებით მოითხოვდა გადასინჯულიყო სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრებანი ქართული არქიტექტურის განვითარების საწყისი პერიოდის შესახებ და, მათი აზრით, „მოქცევაჲ“-ზე დაყრდნობით, ეს მიმართულება სწორედ „მაყვლოვანით“ უნდა დაწყებულიყო (ზ. კიკნაძე, ბ. მჭედლიშვილი, თ. მირზაშვილი და სხვ., იხ. კიკნაძე, მირზაშვილი 1985, 50 და შმდ.).

2002 წელს, ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით გადაწყვიტა, რომ სამთავროს დედათა მონასტრის ფერისცვალების სახელობის გუმბათოვანი ტაძრის შიდა სივრცისათვის, მისი თავდაპირველი (XI ს-ის) სახე დაებრუნებინა. საქმე ის გახლავთ, რომ ტაძრის ინტერიერი, მისი მთლიანი ტექსტურა, „საფუძვლიანად“ იყო შეცვლილი XIX ს-ში, საქართველოში რუსული ეგზარქატის მმართველობის დროს. შეღწევის სქელი ფენა ფარავდა კედლებს, ბურჯებსა და კამარებს, ხოლო იატაკი, 40-50 სმ-ით იყო ამადლებული XI ს-ის დონესთან შედარებით და, თავისთავად, ტაძრის ქვედა სტრუქტურის არსებითი ხასიათის დეტალებიც იფარებოდა (ტაბ. II). ამიტომ სამთავროს გუმბათოვანი ტაძრის მოხილვისას, ერთგვარი არქიტექტურული „გაორება“ იგრძნობოდა, ანუ შიდა და გარე მასების არცთუ ჰარმონიული

ურთიერთობა. ამას მე მგონი გამოცდილი თვალი ანაზომებზეც შეამჩნევს, რომელიც ქალბატონ რენე შმერლინგის მონოგრაფიას ახლავს თან.⁷

ტაძრის საფასადე სიბრტყეებიც მრავლად შეიცავს „არქეოლოგიურს“. აღნიშნოთ, თუნდაც მისი ჩრდილო „გალერეა“ (არქეოლოგიურად ამ სივრცის შესწავლა ვერ მოხერხდა, იგი მომავლის საქმეა), აღმოსავლეთის საფასადე სიბრტყეში ჩართული რელიეფი – ანთროპომორფული, წარმართული „თილისმის“ გამოსახულება (ტაბ. I,2), სიბრტყეზე ჩაკვეთით მიღებული და საკმაოდ „სივრცობრივიც“. ასეთ კერპ-თილისმათა გამოსახულებანი საკმაოდ მრავლადაა დადასტურებული ქრისტიანულ აღმოსავლეთში (Bell 1913, 8. Fig. 4), ისედაც მათი იკონოგრაფია საუკუნეთა მანძილზე, როგორც ჩანს, ნაკლებად განიცდიდა ცვლილებებს⁸.

ამას გარდა, საინტერესო სურათი იკითხება ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის ქვედა რიგზე. ესაა ქვიშაქვის საპირე ფილების ზედაპირზე ნაკაწრებით გამოსახული (ფარგლის მონაწილეობით) მთელი სერია X-XI სს-სათვის დამახასიათებელი, ორნამენტულ სახეთა სქემებისა. აქვე იკითხება ტაძრის მოდელის გრაფიკული მონახაზიც და თითქოს კორექტირებულიც კი (ტაბ. III). ან ამ ქვიშაქვათა ზედაპირები გამოყენებულია არქიტექტორის მიერ, იმისათვის, რათა ოსტატებისათვის მიეცა გარკვეული პროგრამა, თუნდაც ორნამენტული წნულების შემთხვევაში, ღეროთა ამოკვეთის რიგის შესახებ, ან შეიძლება მათზე გამიზნული იყო ორნამენტთა დატანა და მშენებლობის პროცესში შეიცვალა გეგმა.

უპირველესად მოსახსენელი იყო ეგზარქატის მმართველობის დროს დაგებული იატაკის მასივი, რათა დადგენილიყო XI ს-ის იატაკის დონე. თავიდანვე გაირკვა, რომ მთელს შიდა ფართობში სრულფასოვანი არქეოლოგიური გათხრების ჩატარება აუცილებელი გახდებოდა, მაგრამ მოსაძებნი იყო განსხვავებული მეთოდიკაც საამისოდ, რადგან ტაძრის ბურჯებსა და კედლებზე ფრიად საშიში ხასიათის ბზარები დაფიქსირდა შედეგილობის მოხსნის შემდგომ. ტაძრის ვერტიკალური საყრდენები დიდად იყო შესუსტებული. ამდენად, ტაძრის მთელ ფართობზე მასიურ (თუნდაც გეგმაზომიერ) დაღრმავებას, ანუ XI ს-ის სტრუქტურისათვის პორიზონტალური დატვირთვების უგულვებელყოფას, შეიძლებოდა ტაძარში კატასტროფული

შედევები გამოეწვია. გადაწყდა, რომ მოისინჯებოდა საკვანძო ადგილები, და შესაბამისად, თუ საითკენ მიგვანიშნებდა სიტუაცია, იმის მიხედვით გვემოქმედა.

XIX საუკუნის იატაკის მასივი შედგებოდა (ზემოდან ქვემოთ) რომბულ-ჭადრაკულად ნაგები, კვადრატული შავი და თეთრი მეთლახის ფილებისაგან, რომელიც სქელ კირსნარში იყო ჩასმული; რიყის ქვის ფენილისაგან, და შევსებისაგან – „სამშენებლო ნაგავი“ და კირსნარი. აი, ამ შევსებაში აღმოჩნდა დიდი რაოდენობის მომწვანო ფერის ქვაში გამოკვეთილი, და ყველა ნიშნის მიხედვით, XI ს-ის კანკელის ფრაგმენტები (ტაბ. IV), იმდენად დაქუცმაცებული, რომ მისი საერთო სახის წარმოდგენა შეუძლებელია.

ეს ყველაფერი, ანუ XIX ს-ის იატაკის მასივი ეფუძნებოდა XI ს-ის იატაკს – კირსნარის კარგად ნიველირებულ და 4-5 სმ-ის სისქის ფენას.

ტაძრის მთელი შიდა ფართობი დატვირთული იყო სამარხებით. გვიანდელ სამარხთა რიგში ყველაზე ადრეული ედემონ მთავარეპისკოპოსის სამარხია, რომელიც ვახტანგ VI მმართველობის (ჯანიშინობის) დროს მოღვაწეობდა (გარდაცვლილა 1700 წელს) და დაუკრძალავთ ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ არეში. მის გვერდით (სამხრეთით), მარმარილოს საფლავის ქვა გვაუწყებს, რომ 1853 წლის იანვრის ხუთს, 45 წლის ასაკში გარდაცვლილა ოდიშის თავადის ხიტუ ფაღავას ასული. სამხრეთით, დაახლოებით ცენტრალურ არეში, დაკრძალულია მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვრის აღმასრულებელი, მონაზონი ნისიმე (გარდაცვლილა თიბათვის 5-ს, 1906 წ-ს). ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ არეში განისვენებს ბარბარე იაკინთეს ასული ალექსიევი-მესხიევი, ხოლო ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, ქართველი სწავლულის, პლატონ იოსელიანის მეუღლე, ნიკოლოზ ბაგრატიონ-მუხრანსკის ასული, „მოლოზანი ანნა“ (გარდაიცვალა 1913 წ-ს, 15 დეკემბერს). მის სიახლოვეს ასვენია 1919 წელს გარდაცვლილი გრიგოლ ილარიონის ძე გრძელიშვილი (იხ. სქემა ილ. IV).

სამთავროს გუმბათოვანი ტაძარი, ფერისცვალების სახელობისა, ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა, მისი ქართული სახესხვაობა – სადაც გუმბათის ყელი ეყრდნობა დასავლეთის ორ, თავისუფლად მდგარ ბურჯს, ხოლო მისი აღმოსავლეთის საყრდენები შეთავსებულია საკურთხევლის აბსიდის კედლებიდან წინგამოზიდულ „ნახევარბურჯებს“ (არქიტექტურული არსით ისინი ანტებიან). ამასთანავე, ტაძარმა საკმაოდ ცვლილებები განიცადა XV ს-ის პირველ ნახევარში. მიწისძვრის შედეგად დარღვეული გუმბათი აღდგა, მაგრამ

⁷ Шмерлинг 1942, 49 და შმდ.; ძველის ანაზომები შესრულებულია ა. სარქისოვის, ე. ტერ-ოვანოვის, მ. ჩხიკვაძისა და ვ. წილოსანის მიერ.

⁸ შდრ. თუნდაც ბრინჯაოს I ათასწლეულით დათარიღებულ თილისმას ჩრდილო-ოსეთიდან. იხ. Доманский 1984, 73.

მისმა ოსტატმა, როგორც ჩანს, ვერ გაიაზრა არქიტექტურული მასშტაბი, გუმბათის იერი და ტაძრის ძირითად მასებთან მისი ნაკლებშეთანხმებულობა ცოტათი აბნევს მნახველს.

როგორც გაირკვა, XV ს-ის სამუშაოები მარტო გუმბათის აღდგენით არ შემოფარგლულა: XIX ს-ის იატაკი ამ პერიოდის ქმედებებსაც ფარავდა და გამოიკვეთა, რომ XV ს-ში, ტაძრის პერიმეტრისათვის ერთსაფეხურიანი სინთრონონიც შემოუყოლებიათ და ბემის წინ, გუმბათქვეშა კვადრატის საზღვრებში შეჭრილი, წინგაზიდული, გეგმაში სწორკუთხა ამბიონიც გაუმართავთ (ტაბ. V, 3). სინთრონონისა და ბემის შემადგენელ კვადრებს აშკარად ეტყობათ, რომ ისინი მეორადი გამოყენების შედეგად მოხვდნენ აქ და რომელიღაც წინამორბედი ნაგებობის კუთვნილნი იყვნენ თავდაპირველად.

XIX ს-ის იატაკი XI ს-ის ტაძრის ბურჯთა და ნახევარბურჯთა ორსაფეხურიან ბაზისებსაც ფარავდა და, ბუნებრივია, რომ ისინი ადრეულ ანაზომებზე ვერ აისახა.

XIX ს-ის იატაკის მოხსნა ტაძრის დასავლეთი ნაწილიდან დაიწყო და თანდათანობით არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ მისი მთელი შიდა ფართობი მოიცვა. თავდაპირველად ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ქვიშაქვის თლილი ქვებით ნაგები სწორკუთხა ბურჯი გამოიკვეთა (ტაბ. VI, 1), რაც XI ს-ის ტაძრის წინამორბედი ნაგებობის კუთვნილია, ასეთივე ბურჯის ფრაგმენტი გამოვლინდა ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ არეში (ილ. V 1, 2. ტაბ. VI, 2), ისინი დასავლეთის კედლიდან გამოზიდულ ნახევარბურჯებსა და თავისუფლად მდგომ ბურჯებს შორის მდებარეობენ.

ჩრდილოეთ რიგში, კიდევ ერთი ამდაგვარი ბურჯიც გამოჩნდა, რომელსაც ზემოდან სანახევროდ XI ს-ის ჩრდილოეთის ბურჯი ფარავს (ტაბ. VII, 3 ილ. VI, 2). ასეთივე ადრეული ბურჯი უეჭველად უნდა არსებულებოდა სამხრეთითაც და მასაც, ნაწილობრივ, XI ს-ის სამხრეთის ბურჯი დაფარავდა, მაგრამ მას აღმოსავლეთიდან ედემის ეპისკოპოსის ტახტი, საფეხურებიანი და ქვიშაქვის ორნამენტირებული კედლებით შემოსაზღვრული (აღბათ XV ს-ის დანამატი), თუმცა ბაზალტის საფეხურები 1970-ანი წლების რემონტის იერს ატარებს. ამ „ნაგებობამ“ უკვალოდ გააქრო აქ ადრეული ბურჯის ფრაგმენტი და შესაძლოა არა მარტო მან. ადრე აღინიშნა, რომ სინთრონონი (XV ს-ის დანამატი) მეორადად გამოყენებული კვადრებითაა ნაგები. სამაგიეროდ, ამავე რიგში, ანუ ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ არეში, ბურჯსა და ნახევარბურჯს შორის, დაფიქსირდა ადრეული ბურჯის კვალი,

შედგენილობითა და კონსტრუქციით ანალოგიური ზემოთ აღნიშნულ ბურჯთა ნაშთებისა (ტაბ. VIII, 1, 2; ილ. V, 3).

სამწუხაროდ, განადგურებულია ჩრდილოეთის რიგის ადრეული ბურჯიც. ამ ადგილას ევდემონ მთავარეპისკოპოსის სამარხია გამართული, უფრო ადრე კი, აქ ქვაყუთიც შექმნილა (შესაძლოა XIV-XV სს-ში).

შთაბეჭდილება ისეთია, რომ XV ს-ის ამბიონის კვადრები ქმნიდნენ ოდესღაც ამ ბურჯის ფუძეს – ზომებითა და ქვის დამუშავების სტილით, ისინი ბურჯის ქვებს სავსებით შეესაბამება.

ე. ი. ნაკლული სახით, მაგრამ სრული უეჭველობით, XI ს-ის ტაძრის შიდა სივრცეში წინამორბედი ნაგებობის ბურჯთა ორი რიგი, ანუ სამი წყვილი ბურჯით დანაწევრებული სივრცე დადასტურდა (ილ. II). ერთი ფრიად საინტერესო დეტალიც გამოვლინდა აქ, და კერძოდ ის, რომ XI ს-ის ხუროთმოძღვარს⁹ სულაც არ მოუსპია მისი წინამორბედის შემოქმედების კვალი. მან ადრეულ ბურჯთა ნაშთები არ გადაჰფარა (და ცხადია, რომ არ მოსპო). იატაკის დონიდან 10 სმ-ის სიმაღლეზე ამოზიდულნი, მან ისინი შეინარჩუნა გუმბათოვანი ტაძრის სივრცეში (ილ. V, 1; VI, 1).

დადგინდა ამ ადრეულ ბაზისთა თანადროული იატაკის დონეც – იგი 17-18 სმ-ით დაბლაა გამართული XI ს-ის იატაკის დონესთან შედარებით (ილ. VI, 1). ბაზისთა ფუძეები სხვადასხვა დონეზეა გამართული, ისინი გრუნტზე არიან დაფუძნებულნი, გრუნტი კი, მთელს სამთავროს ველზე წარმოადგენს, დელუვიური დაშრეებისაგან წარმოქმნილი პლასტების ერთობლიობას, და ბუნებრივია, საკმაოდ არამყარ სუბსტრუქციას.

⁹ მხოლოდ სუბიექტურად და გამთხრელის უშუალო შეგრძნებაზე დაფუძნებული მოსაზრება მინდა გამოვთქვა. XI ს-ის არქიტექტურაში ქვეშეცნეულად ვგულისხმობ არსუკის ძეს, XI საუკუნის სევეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ხუროთმოძღვარს. იდენტური სურათი ამ ორი ძეგლის (სამთავრო და სევეტიცხოველი) სამშენებლო დინამიკაში ნამდვილად ჩანს: ბაზილიკის სტრუქტურაზე გუმბათოვანი ტაძრის დაფუძნება, ბაზილიკური გეგმარებითი სქემიდან ტიპოლოგიურად სხვა სქემის მიღება, ახალი ნაგებობის აღმოსავლეთისაკენ წაგრძელება, განის უცვლელობა, ბაზილიკის ცენტრალურ ბურჯებზე გუმბათის ძირითადი საყრდენების დაფუძნება, გუმბათის ყელის მიახლოება საკურთხეველის აბსიდასთან და, ფაქტობრივად, ბემის უარყოფა, მოცემულობის (წინამორბედი ნაგებობის ნაშთების), როგორც სუბსტრუქციის ერთგვაროვანი გააზრება მთლიანობაში და მრავალი სხვ. აღარაფერს ვამბობ კამარათა და საბრჯენ თაღთა სისტემებზე და პროფილირებაზე და, საერთოდ, არქიტექტორის გამომსახველობით შესაძლებლობაზე. ეს ყველაფერი ცალკე ძიების საგანია და ამ პერიოდის არქიტექტურის ისტორიკოსის საკვლევი.

ადრეულ ბაზისთა თანამედროვე იატაკი, ასევე კირხსნარის ფენა, ოღონდ გაცილებით თხელი, 1,5 სმ-ი სისქისა. ზოგიერთ ადგილას, მაგ. ჩრდილოეთის ცენტრალურ ბურჯთან, იატაკის ფუძეს, რიყის ბრტყელი ქვების ფენა წარმოადგენს (ტაბ. VII, 3).

მოხერხდა XI ს-ის ტაძრის საკურთხევლის აბსიდის ფართობის არქეოლოგიური შესწავლა და მის სივრცეში გამოიკვეთა წინამორბედი ტაძრის აბსიდა, გარე კონტურით მრავალკუთხა და არქაული თავისი იერ-სახით (ტაბ. IX, ილ. VIII). იგიც გრუნტზეა დასმული და ორსაფეხურიან ცოკოლსაც შეიცავს (ილ. VIII, 2). გრუნტი აქ გაცილებით დაბლაა, ვიდრე ბაზისთა დაფუძნების არეებში. ყველა ნიშნის მიხედვით, როცა აქ ბაზილიკა შენდებოდა (ეხლა კი, შეგვიძლია უკვე ვთქვათ, რომ XI საუკუნის ტაძარი უშუალოდ ბაზილიკის ნაშთზეა დაფუძნებული), ტერიტორია, ანუ სამშენებლო მოედანი „ბორცვს“, მცირე შემადგენას წარმოადგენდა.

XI ს-ის ხუროთმოძღვარმა წინამორბედი ეკლესიის სივრცე უცვლელი დატოვა, უშუალოდ მის კედლებს დააფუძნა ახალი სტრუქტურა და სულ ოდნავ, 1 მ-ით დააგრძელა იგი აღმოსავლეთით, უფრო ზუსტად, გაცილებით უფრო ღრმა საკურთხევლის აბსიდა შექმნა და მისი შიდა კონტური ორსაფეხურიანი პრესბიტერიუმითაც აღჭურვა.

ერთი შეხედვით, თითქოსდა უმარტივესი სქემა მივიღეთ – სამი წყვილი სვეტით დანაწევრებული სივრცე, შვერილი, მრავალკუთხა აბსიდით. საბედნიეროდ, საშუალება მოგვეცა სამკვეთლოშიც გაგვეგრძელებინა კვლევა. სამკვეთლოსა და ძირითადი სივრცის გამმიჯნავი კედელი, ასევე ძველი (ბაზილიკის) კედლის ნაშთზეა დასმული და ჩანს ისიც, რომ თვით სამკვეთლოს მასები, გარდა მისი ღრმა აბსიდისა, წინამორბედი ეკლესიის სათავსოს ემთხვევა, ამას გარდა ამ სათავსოს იატაკი მოგებული ყოფილა კერამიკული ფილებით (35X35 სმ-ი, 35X25 სმ-ი; 35X15 სმ-ი), (ტაბ. X).

არქეოლოგიური მასალა, რომელიც მეტ სიცხადეს შეიტანდა არქეოლოგიურ-არქიტექტურულ „ველში“, მოსალოდნელი ნაკლებად იყო, რადგან ბუნებრივია, რომ როცა ძველი ნაგებობის ნაშთებს ეფუძნება ახალი ნაგებობა, უპირველესად, სუფთავდება სამშენებლო მოედანი, იგი უბრალოდ, ყოველგვარი ნაშთისაგან თავისუფლდება. ისედაც სიღრმე ფენისა, სადაც ადრეული ბაზილიკის კუთვნილი არქეოლოგიური მასალა შეიძლება რომ გამოვლენილიყო, 18 სმ-იანი შრეა. ანუ ბაზილიკისა და გუმბათოვანი ტაძრების იატაკებშორისი შუალედი; და მაინც, ასეთი არქეოლოგიურ-არქიტექტურული ნაშთები მიკვლეულ იქნა.

უპირველესად, „მცირე არქიტექტურული ფორმის“ დეტალი უნდა აღვნიშნოთ, იგი ნამდვილი ბაზისია (ტაბ. V, 1, ილ. IX, 1; X), თუმცა კონკრეტულად რისი, ძნელი სათქმელია (სტელის? წარმართული საკურთხევლის?)¹⁰.

იგი მიკვლეულ იქნა გუმბათქვეშა კვადრატის გარეთ, ტაძრის დასავლეთ არეში. ესაა საკმაოდ მოზრდილი ქვიშაქვის ფილა (112X96X17 სმ), რომლის შუაგულში ამოკვეთილ სწორკუთხა ბუდეში, ასევე, კარგად გათლილი ფილაა ჩასმული (52X41X16 სმ-ი), მათი ურთიერთკავშირი კირხსნარითაა განმტკიცებული, მასში კერამიკული ფხვნილიც შეიმჩნევა (opus caementicum?). ზედა ფილა (უფრო ზუსტად „სვეტის“ ფუძე), 6 სმ-ით სცილდება ქვედას ზედაპირს. მის ცენტრში შექმნილ ბუდეში ჩანს „პირონის“ (რკინის ვერტიკალური სამაგრი) ნაშთი, რომელიც ბუდეში, თავის დროზე, გამდნარი ტყვიით ჩაუმაგრებიათ. ეს ბერძნული სამშენებლო საქმის გამოვლინებაა და ადრეუზაუკუნეების არქიტექტურაც კვადრატის ურთიერთგადაბმის ამ წესს, არცთუ იშვიათად მიმართავდა. ასე რომ, სამშენებლო საქმის აქ დადასტურებული ეს მეთოდი, ბაზისის თარიღისათვის არაფერს იძლევა. არაფერს გვაძლევს მისი აღმოჩენის სიტუაციაც, რადგან იგი XIX ს-ის იატაკში ელემენტარულ შემავსებლად იყო გამოყენებული და სად მიაკვლიეს მას თავის დროზე, ვეღარასოდეს გავიგებთ. მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება აქ დარწმუნებით, და კერძოდ იმისა, რომ ეს დეტალი ხანგრძლივი დროის მანძილზე ღია ცის ქვეშ იმყოფებოდა, მისი ზედაპირი მეტყველებს იმას, რომ ნალექისეული წყლები დიდხანს მოქმედებდნენ მასზე და მას გამოქარვის პროცესიც ზედ დართვია.

შიდა სივრცეში, ბაზილიკის იატაკის ღონეზე, აღმოჩნდა კედლის შელესილობის ფრაგმენტები, იგი ორფენოვანი ყოფილა; კირხსნარისა და წვრილი ქვების მასივი მოსწორებულია კარგად განლექილი კირითა და ბზის შენარევით (ტაბ. XI, 2) და ეს გლუვი ზედაპირი, მუქი წითელი ფერითაა შეღებილი (caput mortum), ყავისფერში გარდამავალით, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო, რადგან ეს ფერი უპირველესად ქრისტესმიერ ვნებებზე მიმანიშნებელია და გოლგოთაზე დაღვრილი სისხლისაც (Cooper 1986, 51-52; ოქროპირიძე 1998, 46 და შმდ.).

ბაზილიკის ჩრდილოეთი კედელი 4-4,5 მ-ის

¹⁰ საქმე ის გახლავთ, რომ ანტიკურ ხანაში (თუ ბაზისი ამ პერიოდს განეკუთვნება (?), ერთი და იგივე ფორმები თანაბარი წარმატებით გამოიყენებოდა, როგორც საკურთხევლის, ასევე ქანდაკების პედესტალად და მთ სხესა და პროფილირებაში განსხვავებანი თითქმის არ იყო (Yavis 1949, 157-8).

სიმაღლეზეა შემორჩენილი (ეს შელესილობის იმ ფენის ჩამოსხნის შემდგომ გამოიკვეთა, რომელიც ეგზარქატის ქმედებებს უკავშირდება) და, ჩანს ჯერ ერთი ის, რომ უშუალოდ მასზეა დაშენებული XI საუკუნის ტაძრის კედელი (ტაბ. II, 1); გარდა ამისა, საკედლე ქვების ხასიათი და წყობის მანერა უთუოდ თხოულობდა შელესილობის სქელი ფენით მის დაფარვას.

განსაკუთრებით საყურადღებოა საფანჯრე მინის ფრაგმენტის (ტაბ. XI, 1) აღმოჩენა, ასევე ბაზილიკის იატაკის დონეზე, ტაძრის ცენტრალურ არეში. იგი საფანჯრე მინების იმ ტიპოლოგიურ ჯგუფში ექცევა, რომელიც III-IV სს-ებითაა დათარიღებული. ასეთი მინის დამახასიათებელია გრძივი ბუშტულები, ამის მიზეზი კი ისაა, რომ საფანჯრე მინის მცირე მასა, სიბრტყეზე საგორავით ბრტყელდებოდა. დიდი ფართობის მინა ამდენად აქ ვერ მიიღება, და ისინი დატვირთულ ფანჯრებში ჩასასმელად იყო გამოიზნული, გვიანრომაულ და ადრექრისტიანულ ბაზილიკებში (Baatz 1991, 4-13).

და კიდევ, რაც ყურადღებას იმსახურებს, ესაა კრამიტები, როგორც ბაზილიკის იატაკის დონეზე დადასტურებული, ასევე იატაკის ქვემოთაც აღმოჩენილი. იატაკის ქვემოთ რომ კვლევა გვეწარმოებინა, ამის აუცილებლობა გათხრების პროცესში წარმოიშვა და დადასტურდა, რომ ბაზილიკა წინა ქრისტიანული მონუმენტური ნაგებობის ნაშთებზეა დაფუძნებული (ამის შესახებ ქვემოთ). ამორი მომიჯნავე პერიოდის კრამიტები, გვიანრომაული და ადრექრისტიანული (ტაბ. XII, 3, 4; ტაბ. XI, 3), როგორც კერამიდები, ასევე კალიპტერები, ტიპოლოგიურად¹¹ ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდება, და ეს ბუნებრივია, რადგან რადიკალურად შეიძლება შეიცვალოს ახალ რელიგიურ მოთხოვნასთან დაკავშირებით ღვთის სახლის ტიპი, მაგრამ სამშენებლო ტექნოლოგიების ცვლილებებს მრავალი ათეული წელი სჭირდება. მათ შორის განსახვავება მათ შეფერილობაში გვაქვს: ბაზილიკის იატაკზე დაფიქსირებული კრამიტები შედებილია იმ ფერით, როგორც კედლის შელესილობის ფრაგმენტებზე დადასტურდა, ანტიკური კრამიტები კი – ტრადიციული, მკვეთრი წითელი საღებავით.

ტაძრის ცენტრალურ არეში სამარხი იყო გამართული, ყველა ნიშნის მიხედვით გვიანდელი. მასში გამოყენებული იყო დარღვეული ქვაყუთის ფილები, ხოლო ნაკერები შევსებული იყო XIX საუკუნის

აგურებით, ისეთივეთი, როგორითაც ამავე პერიოდის სამარხთა აკლდამები იყო აგებული. მას ჩაკვეთილი ჰქონდა როგორც XI საუკუნის, ასევე ბაზილიკის იატაკი და ჩაკვეთა კირის მასით ფორმირებული ავზი, რომელიც ბაზილიკის იატაკზე იდო (ტაბ. V, 2). მისი რეკონსტრუქცია შესაძლებელია მხოლოდ მისი გადარჩენილი სიმაღლის დონეზე (ილ. IX, 2). შესაძლოა, აქ ემბაზის („საბანელი“) ფრაგმენტთან გვეკონდეს საქმე, რომ არა მისი შედარებით მცირე ზომები, თავისი მოყვანილობის მიხედვით, შეგვეძლო იგი უადრესი, სირიული ტაძრების ბემას ქვედა, დეფორმირებულ ნაწილადაც კი მიგვეჩინა.

თანდათან მტკიცდებოდა აზრი, წერილობითი წყაროების და არქეოლოგიურ-არქიტექტურულ მონაცემთა ურთიერთშეჯერებით, რომ ჩვენს წინაშე სწორედ მირიანის ბაზილიკა უნდა ყოფილიყო და, ბუნებრივია, რომ განსაკუთრებული ყურადღება მისი სამხრეთის მხრის ცენტრალურ არესაკენ იყო მიმართული, რადგან: „და მოკუდა მირიან მეფე და დაეფლა საშუვალსა სუეტსა სამხრითსა ჩრდილოდთ კერძო... და მეორესა წელსა მოკუდა ცოლი მისი ნანა და დაეფლა დასავლით კერძო მასვე სუეტსა, სადა მირიან მეფე დამარხულ იყო“ („მოქცევაჲ“ შტბ. 91).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბაზილიკის სამხრეთის ცენტრალურ ბურჯს ფარავს XI ს-ის ბურჯი და ფარავდა მას ნაწილობრივ, მაგრამ ეს ნაწილიც განადგურდა, როცა აქ საეპისკოპოსო ტახტი გაიმართა.

დავდაბლდით სამხრეთის ბურჯის, როგორც ჩრდილოეთით, ასევე დასავლეთ მხარეს და აქ მართლაც აღმოჩნდა პრიზმული ჩაღრმავება, შევეულკედლებიანი. ბუნებრივია, რომ მას მთლიანად ვერ ამოვასუფთავებდით, რადგან XI ს-ის ბურჯს ამით უბრალოდ საყრდენი გამოეცლებოდა, მაგრამ შეიქმნა ჭრილი დასავლეთის მხრიდან – ჩაღრმავების კედლები ორი სანტიმეტრის მკვერივი კირ-ხსნარითაა შელესილი და მთელი ეს სივრცე ამოვსებულია ქვა-ღორღითა და სამშენებლო ნარჩენებით (ტაბ. XIII, ილ. VI, 3). ე. ი. XI საუკუნის ხუროთმოძღვარს აქ სიცარიელე დახვდა, იგი ამოავსო ქვა-ღორღით და შექმნა სუბსტრუქცია ბურჯისათვის, თუმცა, როგორც ჩანს, ეს ხელოვნური მომზადება არამყარი გამოდგა და მისმა რღვევამ ბურჯის სტრუქტურაზეც გადაინაცვლა. ბაზილიკა მართლაც მირიან მეფის ძალისხმევით აგებული ნაგებობაა, რომელზეც „მოქცევაჲ“ დაჟინებით მიგვითითებს და სამხრეთის ბურჯის ირგვლივ (ჩრდილოეთი და დასავლეთი) ჩაღრმავება მეფე-დედოფლის პირველსაკრძალავია, ასევე წყაროთი მინიშნებული და არქეოლოგიურად დაკონკრეტებული. მეფე-დედოფლის

¹¹ იბერიულ კრამიტთა შესახებ იხ. ციციშვილი 1948, 517-524; აფაქიძე 1963, 44-77; Дзaneladze 1988, 5 და შმდ.; ყიფიანი 1991, 34 და შმდ.

გადასვენება აუცილებელი გახდებოდა ბაზილიკის ახალ არქიტექტურულ მოდელად გარდაქმნის პროცესში, თუმცა აქვე მინდა კატეგორიულად აღვნიშნო, რომ მეფე-დედოფლის წმინდა ნეშტი ტაძრის შიდა სივრცეს არ გასცილებია. ამდენად, ტაძარში აღმართული მემორიალი, რომელიც წმინდა საფლავებზე მიაწინებს, სავსებით მართლზომიერია.

არქეოლოგიურად და არქიტექტურულად დიდი ინფორმაციის შემცველი აღმოჩნდა სიტუაცია, დაფიქსირებული სამხრეთ-აღმოსავლეთის ბურჯთან (ტაბ. VIII, ილ. XI). ამ ადგილის შესწავლისას დადგინდა, რომ ბაზილიკის იატაკი, ნაწილობრივ მაინც, დაფუძნებული იყო ალიზის აგურის მძლავრ ნაშაღ ფენაზე. სამწუხაროდ, მთლიანი აგურის გამოცალკევება ვერ მოხერხდა (ტაბ. XII, 1). ამავე ფენაში იქნა მიკვლეული კალიპტერის ფრაგმენტები, მკვეთრი წითელი საღებავით დაფერილნი, რომელიც ზემოთ მოვისხენიეთ, და გარდა ამისა, აქ კირქვის არქიტექტურული პლასტიკის ნაშთებიც აღმოჩნდა – პალმეტის გამოსახულებანი, წითელი და შავი ფერებით გამაფრებულნი (ტაბ. XII, 2-4) და უყოყმანოდ წინარექრისტიანული ხანის კუთვნილნი, და რაც მთავარია, თვით წარმართული ნაგებობის ნაშთიც გამოვლინდა. იგი გეგმაში მრგვალია, ე. წ. თოლოსია და შეიძლება მას, გვიანანტიკურობის გამო, როტონდაც ვუწოდოთ (ილ. VII). მისი მასშტაბი გრანდიოზულია, რადიუსი 15 მ-ს აღწევს. მრგვალი ნაგებობების დიამეტრის ზრდის ტენდენცია რომაულ სამყაროში ნამდვილად შეინიშნება, გვიანკლასიკურ და ელინისტურ პერიოდებთან შედარებით¹², და სამთავროს ეს თოლოსიც სწორედ რომაული სულისკვეთების გამოხატულებაა. ამასთანავე იგი საქართველოში მე-3 მრგვალი შენობაა, ვანის ორი, ელინისტური ნაგებობის შემდგომ¹³.

ანტიკური ხანის მრგვალი ნაგებობის ცოკოლი ქვიშაქვის კვადრებითაა ნაგები, და

¹² ეპიდავროსის ფიმელა (თოლოსი) – 360-230 წწ. დიამეტრი 21, 82 მ რადიუსი – 10, 91 მ; ფილიპეონი – ოლიმპია, ფილიპე II ხერონესთან გამარჯვების (338 წ.) აღსანიშნავად აგებული სტილობატის დიამეტრი 14 მ-ია; ათენას აგორას თოლოსი თითქმის 20 მ-ის დიამეტრისაა; სამოთრაკია – არსინეონი (281 წ.), გარე დიამეტრი 19 მ-ია; ტიბური – სიბილას ტაძარი, ძვ. წ. I ს-ის დასაწყისი – დიამეტრი – 14 მ. პანთეონის შიდა დიამეტრი 43,5 მ-ია (118-128 წწ.); ტრაიანეს ტროფეუმის დიამეტრი 27 მ-ია (109 წ.); ტიბური – ადრიანეს ვილა, მრგვალი ნაგებობის ე. წ. ნიმფეონის დიამეტრი 44 მ-ია (118-138 წწ.); ავგუსტუსის მაგზოლუმის დიამეტრი 89 მ-ია (რადიუსი 44,5 მ.) და ა. შ. იხ. Robertson 1971, შესაბამისი გვერდები.

¹³ ლორთქიფანიძე, 1972, 70-71; ყიფიანი, 1993, 68-70; ფირცხალავა, ყიფიანი, 1986, 53. სურ. 33-34. ვგულისხმობ ცალკე მდგომ მრგვალ ნაგებობებს და არა საფორტიფიკაციო სისტემის მრგვალ ან ნახევრად მრგვალ კოშკებს.

მათში შეინიშნება ისეთი ქვათლილები, რომელნიც მეორადი გამოყენების შედეგად არიან წყობაში მოხვედრილნი. ზოგიერთ მათგანზე, ჰორიზონტალური გადაბმისათვის შექმნილი, მერცხლისკუდისებური სამაგრის ბუდე იკითხება. ნაგებობა, რა თქმა უნდა, დარღვეულია, მაგრამ არა მთლიანად, მისი ცოკოლი შეინარჩუნეს იმ დონეზე, რა დონეზეც გადაწყვიტეს ბაზილიკის იატაკის გამართვა (ტაბ. VIII, ილ. XI).

ხიტუ ფაღავას ასულის საფლავის ქვის გადაადგილების შემდგომ, რომელიც ისედაც გადაადგილებული აღმოჩნდა, გამოიკვეთა ამ მრგვალი ნაგებობის კარის ღიობის ჩრდილოეთის პილონიც და თოლოსებისათვის დამახასიათებელი შიდა პილონიც (Huselberger, 1979, Abb. 19), და საერთოდ, მისი კარის ღიობიც გამოიკვეთა მთლიანად: იგი ხუთი მეტრის სიგანისაა, ანუ საზეიმო მასშტაბისაა და, ცხადია, აქ მისი არქიტრაველი გადახურვა წარმოუდგენელია, იგი თაღოვანი უნდა ყოფილიყო.

ბაზილიკის შემორჩენილი ბურჯები, როგორც აღინიშნა, დამუშავებული ქვიშაქვებითაა ნაგები, მაგრამ აქ ეჭვს იწვევდა ის, რომ მათი ურთიერთმიჯრის არეები დიდი შუალედების შემცველია და სიცარიელები თიხითაა შევსებული. შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ არც ერთი ქვა, არც ერთი ბურჯისათვის საგანგებოდ გათლილი არ იყო. სარესტავრაციო სამუშაოებმა მოითხოვა და, ისედაც, ინფორმაციის შემცველი უნდა ყოფილიყო ეს ქმედება, მოვახდინეთ სამხრეთ-დასავლეთის ბაზისის დემონტაჟი. აღმოჩნდა, რომ ისინი არქიტექტურული დეტალებია და ბაზილიკამდელი, გაუქმებული ნაგებობის კუთვნილი უნდა ყოფილიყო. მათი წინა მხარეები სხვადასხვა კუთხით დახრილი სიბრტყეებია (ნახ. XII), თვით დეტალები კი, თაღის შემადგენლებია. თაღის მრუდში მათ აღვიღეს საზღვრავს არა დახრილი სიბრტყეები, არამედ მათი უკანა, მოპირდაპირე წახნაგები, რომლებიც ან ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ მდგომარეობაში უნდა იყვნენ. მათი ადგილი, ამდენად, ისახება თაღის თარგში (ილ. XIII) და გამოდის, რომ თაღი 2,5 მ-ის რადიუსისა უნდა ყოფილიყო და სავსებით შეესაბამება მრგვალი ნაგებობის კარის ღიობის სიგანეს – 5 მ-ს.

გადაჭრით, ამ უზარმაზარი მრგვალი ნაგებობის ფუნქციის შესახებ რაიმეს თქმა ძალიან ძნელია, მაგრამ მე მეგონი მაინც იქითკენ უნდა გადავიხაროთ, რომ საქმე საკულტო ნაგებობასთან გვაქვს. წმიდა ნინოს მოღვაწეობა აქ მარტოოდენ ბუქჩნარისა და მაყვლის სიმბოლური დატვირთვით არ იქნებოდა განპირობებული, სამთავროს ველი,

დაახლოებით 500 მ-ის სიგრძეზე, მთლიანად მაყვლოვანია და არა მხოლოდ ეს ბორცვი. მრგვალი, წარმართული ნაგებობა შეიძლება თავდაპირველად გააზრებული ყოფილიყო ადრექრისტიანული სიმბოლიკის შესაბამისად, როგორც საყოველთაო შესაკრებელი: მოგვიანებით ეს თემატიკა (წრიულობა, როგორც ქრისტიანული სიმბოლო), კედლის მხატვრობაშიც აისახა პიზაში, Campo Santo-ს ეკლესიაში, პიერო დი პუჩიოს შემოქმედებით (ილ. XIX, 1).

კვლავ ბაზილიკას უნდა დავუბრუნდეთ. ადრე აღინიშნა, რომ დადასტურდა ბაზილიკის კუთვნილი, გარე მასებში არსებული მრავალკუთხა აბსიდა, მის შიდა სივრცეში კი დადგინდა როგორც ბაზილიკის, ასევე გუმბათოვანი ტაძრის აბსიდის იატაკთა დონეები. ბაზილიკის აბსიდის იატაკი 25 სმ-ითაა ამადლებული დარბაზის იატაკთან შედარებით, ხოლო XI საუკუნის ტაძრის აბსიდა 30 სმ-ითაა ამადლებული მისი ძირითადი სივრციდან, და კიდევ ერთი, XI საუკუნის აბსიდა შიდა მხრიდან ნახევარწრიული ნიშებით ყოფილა აღჭურვილი, რასაც ასევე შელესილობის სქელი ფენა ფარავდა, და, ცხადია, ქალბატონ რენე შმერლინგის მიერ გამოქვეყნებულ გეგმაზე ვერ აისახა.

ბაზილიკის აბსიდა ზემოთ განვსაზღვრეთ, მისი პოლიგონალურობის გამო, არქაულად და აქ ზოგადად სიძველეს არ ვვულისხმობდით, არამედ გარკვეულ კონკრეტულ სიტუაციას მთლიანად ადრექრისტიანული სამყაროსათვის. საქმე ისაა, რომ ამდგავარი ფორმის აბსიდები ჩნდება, როგორც პირველი (ან ერთ-ერთი პირველი) ქრისტიანული არქიტექტურული ელემენტი, მაშინ, როცა ქრისტიანული არქიტექტურა თავისი ფორმირების საწყის ეტაპზე იმყოფება, ანუ მაშინ, როცა ის მასიურად ითვისებს ეკლესიებად წარმართულ ტაძრებსა და სამლოცველოებს, და აი, პოლიგონალური აბსიდაა ის პირველი დანამატი, რომლითაც ხდება აღმოსავლეთიდან ამ ნაგებობათა აღჭურვა. ასეთი მაგალითები მრავლადაა (ილ. XIV)¹⁴.

მარტოოდენ არქაული აბსიდით არ იწურება ბაზილიკის აღმოსავლეთი მხარის არქიტექტურული თემა. როგორც აღინიშნა, XI საუკუნის სამკვეთლო დაშენებულია ბაზილიკის კუთვნილ სწორკუთხა კამერაზე. სადიაკონეში კვლევის წარმოების საშუალება არ მოგვეცა, მაგრამ ტაძრის სამხრეთის საფასადე სიბრტყის ქვემოთ გაშიშვლებულია ცოკოლის დონე და ჩანს, რომ ძველი

სტრუქტურა (ანუ ბაზილიკის დროინდელი), აღმოსავლეთისაკენ დაგრძელებულია სწორედ იმ მანძილით, რაც ინტერიერში გამოიკვეთა (ტაბ. XIV). ასე რომ, მივიღეთ საკუროთხევლის აბსიდა, ფლანკირებული კოშკებით, და მთლიანად ბაზილიკის ერთ-ერთი უადრესი ტიპი (თუ ყველაზე ადრეული არა).

მივიღეთ პასტოფორიუმის გეგმარების მიხედვით, თითქოსდა ჩრდილოეთ სირიული, უადრესი ბაზილიკის ტიპოლოგიური სურათი – შვერილი აბსიდა კოშკებით ფლანკირებული. ეს არქიტექტურული თემა სირიაში IV-VI სს-ებში საკმაოდ პოპულარულია (Glück 1916, taf. III), მაგრამ რამდენად სარწმუნო იქნება ის აზრი, რომ რომის იმპერატორის ბრძანებით, საქართველოში საეკლესიო ხუროთმოძღვრების დასაფუძნებლად სირიული მოდელი მოემართება? სირია კი, იმ დროს მხოლოდ ნაწილობრივად რომის იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ აქ ქრონოლოგიურ შეუსაბამობას ვღებულობთ. ამავე „ტიპის“ სირიული ბაზილიკების ყველაზე ადრეული ნიმუშებიც კი, ბაბიშკას ბაზილიკა (390, 401, 403 წ.წ.) – სხვადასხვა აზრია სამეცნიერო ლიტერატურაში მისი თარიღის შესახებ (Beyer 1925, 40 და შმდ.), ან ფეფირტინის ბაზილიკა (372 წ. Beyer 1925, 94-97) დიდად შორდება კონსტანტინეს ეპოქას. არადა, ამ სისტემის გენეზისიც თითქოსდა დადგენილია – მას აპირობებს სირიული წინარექრისტიანული არქიტექტურა, როგორც საერო, ასევე საკულტო (Amy 1950, 82 და შმდ.).

მირიანის ბაზილიკას, რა თქმა უნდა, ჰქონდა რაღაც საწყისი მოდელი: ხუროთა და მღვდელთა ჯგუფს უპირველესად ხომ მოდელი მოაქვს საქართველოში, თვით მეფის თხოვნისა, და იმპერატორის ამ თხოვნაზე თანხმობის შედეგად, და ეს მოდელი სირიულ ქრისტიანულ ბაზილიკებზე ადრე უნდა წარმოშობილიყო სადღაც, თუნდაც მისი ელემენტარული, ან არა ბოლომდე ჩამოყალიბებული ასახულობით.

ამასთანავე, ყურადღება უნდა მიექცეს, მე მგონი, ბურჯების (სვეტების) რაოდენობასაც (რაოდენობაში მარტივად ნაგებობის სიგრძე ან სიგანე არ უნდა ვიგულისხმობთ, არამედ რომელიღაც პროპორციაზე დაფუძნებული სქემა). საქმე ისაა, რომ ადრეული სირიული ბაზილიკების (IV-VI სს-ები), არც ერთი ნიმუში არ გვაქვს ისეთი, სადაც შიდა სივრცე 3 წყვილი სვეტით ნაწევრდება. უფრო მეტად, ესაა გრძივი, 6 წყვილი სვეტით (ფეფირტინი, ბაბიშკა, ბასუფანი, დირ ტერმენინი და სხვ.) დანაწევრებული სამნავიანი სივრცეები და არსად გვხვდება კუთხოვანი (გარე ასახულობაში) აბსიდები (Beyer 1925, 62).

¹⁴ ათენის თესეონი, ტაძარი ასოსის აგორაზე, ბაალბეკის დიდი ტაძარი, ზევსის ტაძარი უზუნ ბურცში და სხვა (Deichman 1939, 105 და შმდ.).

ჯერჯერობით, ერთადერთ ძეგლს ვფლობთ ისეთს, რომელიც შეიძლება მივიღოთ მოდელად მეფე მირიანის ბაზილიკისათვის. ესაა IV ს-ის დასაწყისით დათარიღებული (და ბუნებრივია, კონსტანტინეს მმართველობის პერიოდისა), მერიამლიკის კლდოვანი ბაზილიკა კილიკიისა და კაბადოკიის საზღვარზე მდებარე (ილ. XV, 1). საყურადღებო ისიც არის ალბათ, რომ კილიკიაც და კაბადოკიაც საიმპერატორო პროვინციები იყო. ეს ძეგლი, ვფიქრობ, ყველა ნიშანს ფლობს საიმისოდ, რომ იგი მოდელად, და მხატვრული კანონის ჩამოყალიბების გზაზე, საწყის ნიშნად მივიღოთ. ისედაც, ალბათ უფრო რეალურია ვიფიქროთ, რომ იმპერატორი მშენებელთა ჯგუფს საქართველოში თავისი აღმოსავლური პროვინციებიდან გაგზავნიდა და არა საიმპერიო ცენტრებიდან (წმ. ნინოც ხომ კაბადოკიელია).¹⁵

მერიამლიკის კლდოვან ბაზილიკაში სახეზე გვაქვს შვერილი აბსიდა, „კამერებით“ ფლანკირებული და სივრცე დანაწევრებული სამი წყვილი სვეტით. სვეტები სწორკუთხა ბაზისებს ეყრდნობოდა (ეფიქრობ, რომ ჩვენს შემთხვევაშიც ასეთივე სურათი უნდა გვქონოდა) და, გარდა ამისა, მისი პროპორციებიც თითქოს მირიანის ბაზილიკის ანალოგიურია, თუმც მასთან შედარებით მომცრო ზომებით გამოირჩევა.¹⁶

რაღა თქმა უნდა, შვერილი აბსიდის გარე მოხაზულობა კლდოვან სტრუქტურაში ვერ აისახებოდა.

მირიანის ბაზილიკის სიგანე 17 მ-ია, სიგრძე კი 24 მ. ამ რიცხობრივ გამოსახულებებს არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ. საქმე ისაა, რომ მათით ასახულია სისტემა, რომელიც გამოსახება სწორკუთხედის გვერდების ისეთ ურთიერთშეფარდებაში, როგორც $1:\sqrt{2}$ – ანუ კვადრატის გვერდის შეფარდება მის დიაგონალთან ($=1,414$), რაც ტოლია $0,7$ -ისა. (Хембридж 1936, 34; 61). ამ სისტემის არითმეტიკული რიგი ხასიათდება იმით, რომ ერთმანეთს ენაცვლება მასში, მარტივი მთელი და ირაციონალური რიცხვები. მაგ. $3:4, 249:6:8, 495:12:16, 985:24:33, 936:48...$ ან და, $1,0:1,414:2,0:2,828:4,0:5,656$ და ა. შ.

რიგში მოცემული რიცხვების ურთიერთ-

¹⁵ საყურადღებოა, რომ ივრის სიონი, რომელიც ერთ-ერთი უადრესი, IV ს-ის ქართული ქრისტიანული ძეგლია, მრავლად შეიცავს სწორედ კაბადოკიისათვის დამახასიათებელ არქიტექტურულ ელემენტებს (იხ. ყიფიანი 2000, 97-100).

¹⁶ ჩემი აზრით, მერიამლიკის ბაზილიკის სიგანე 9,8 მ-ია, სიგრძე კი 14 მ. სამწუხაროდ, ნაშრომი (Herzfeld, Guyer 1930) ჩემთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა და, ამდენად, ესარგებლობ შტანცლისა და კრაუტჰაიმერის შრომებში გამოქვეყნებული გეგმებით. იხ. Stanzl 1979. tab. 3. Fig. 2.; Krautheimer 1979. სურ. 61).

შეფარდება საკმაო სიზუსტით, მარტივი მთელი რიცხვების შეფარდებითაც მიიღება. მაგ.: $5:7$ ან $7:10$, ან $12:17$ და სხვ.

პროპორცია $1:\sqrt{2}$ ანუ პირველი დინამიური სწორკუთხედის გვერდების შეფარდება, რომელიც კვადრატის ჰარმონიული განვითარების შედეგადაა მიღებული, განსაკუთრებით პოპულარული სწორედ გვიანანტიკურ ხანაში გახდა. ამით აიხსნება რომაული არქიტექტურის შედარებით დამჯდარი პროპორციები (Messel 1936, 68-69). ე.ი. რომაულ პერიოდში პროპორცია $1:\sqrt{2}$ დაუპირისპირდა „ოქროს კვეთის“ პროპორციას. ბუნებრივია, რომ ერთ-ერთი უადრესი ქრისტიანული ეკლესია, პროპორციათა სისტემით, რომაულ მემკვიდრეობას დაფუძნებოდა (ილ. XVI).

როგორც აღინიშნა, განხილული პროპორცია მარტივი მთელი რიცხვების ურთიერთშეფარდებითაც ისახება, მაგ. $7:10=0,7$; $17:24=0,7$. ჩანს გარკვეულ მეტროლოგიურ ზღვარზე დაქვემდებარების პრინციპიც – 17 მ. ტაძრის სიგანე უდრის 57 რომაულ ტერფს, რომაული ტერფი უდრის 0,296-ს, შედარებით დაზუსტებული მონაცემებით 0,3083 მ-ს, ორივე ეს განზომილება საკმაო სიზუსტით გადმოგვცემს ამ ტერფის პრაქტიკულ ზღვარს – 0,3 მ-ს. სიგრძე კი, 24 მ, 80 ტერფის ტოლია ($57:80=0,7$). თავისთავად. გამოიკვეთა ტაძრის მოდულიც – 2,4 მ., რადგან სიგანე $17:7=2,4$ მ, ისევე როგორც სიგრძე 24 მ., გაყოფილი 10-ზე უდრის 2,4. 2,4 მ. კი 8 რომაული ტერფია, ანუ მოდულია ბაზილიკისათვის. გამოდის, რომ რომის იმპერიიდან ქართლში შემოტანილი ეკლესიის მოდელი, მარტოოდენ სქემის მნიშვნელობით არ ისახლვრება, იგი თავისთავაში შეიცავს სისტემასაც და მეტროლოგიასაც.

თუ მართლაც დაფუძნებთ, რომ მოდელი შემოდის ქართლში კაბადოკია-კილიკია-კომაგენას საზღვრებიდან, ანუ მერიამლიკიდან, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მირიანის ბაზილიკა – მისი შემდგომი სრულყოფა და ჩამოყალიბებაა.

იგივე პროპორციისაა ნუბიაში, დონგოლას ბაზილიკაც (VII ს.), რომელიც ტიპოლოგიურადაც ძალიან ახლოა ჩვენს ძეგლთან და მოდულური სისტემითაც იგივე კანონზომიერებას ექვემდებარება (ილ. XV).

კიდევ ერთი, სრულიად აუხსნელი მოვლენა მინდა აღვნიშნო მირიანის ბაზილიკისა – ესაა მის სამხრეთ-დასავლეთის კუთხესთან, დასავლეთის კედლის წაკვეთილი ნაწილი. ეს არ გაუპირობებია წინარექრისტიანულ ნაგებობას, მაგრამ ბაზილიკის გეგმამ ასეთივე კუთხე წარმოშვა გუმბათოვან ტაძარში. ძალიან ძნელია აქ არქიტექტორის მიზანი ნათლად გამოჩნდეს – ვითომ გააადვილა

მლოცველთათვის სვლა? მაგრამ რაღა ნაგებობის ხარჯზე, შეეძლო დასავლეთით რელიეფი მოეშინდაკებინა. უცნაური „დამთხვევაა“, თუ ეს მართლაც დამთხვევაა; უნდა აღინიშნოს, და კერძოდ ის, რომ მერიამლიკის კლდოვანი ბაზილიკის სწორედ სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან, დასავლეთის კედელი, ასევე „წაკვეთილია“, და ჩემთვის აქაც უცნობია ამ მოვლენის ობიექტური მიზეზი. ისღა მრჩება ვიფიქრო, რომ მირიანის ბაზილიკის ხუროთმოძღვარმა მოდელის სრულად გამეორება გადაწყვიტა (იხ. რეკონსტრუქცია, ილ. XVII; ილ. XIX, 2).

ბაზილიკის სივრცეში გვიანდელი სამარხების გარდა, ქვაყუთებიც მრავლად დაფიქსირდა. ჩვენ გვესმოდა ქართული ეკლესიისა, რომ იგი დიდად მოწადინებული ვერ იქნებოდა ქვაყუთებში დასვენებულთა მყუდროების დარღვევისა, მით უმეტეს, რომ ქრისტიანულ სამარხებში ინვენტარის თითქმის არარსებობის გამო, მიცვალებულთა იდენტიფიკაცია თითქმის შეუძლებელია, და მაინც, ჩვენ ერთი, ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის არეში არსებული სამარხი გაგხსენით: ორი მიცვალებული (მამაკაცები), და მცირე ზომის ანთიმონის ორი ბაღთა (ტაბ. XV). ამ ბაღთათა თარიღი ზოგადად ადრეშუასაუკუნეებია, მეტისმეტად მცირეა ინფორმაციულობა მათი, მაგრამ ამ სამარხმა რაღაც მაინც დაადასტურა (ამაზე მოგვიანებით).

ბუნებრივია, რომ დაისვას შეკითხვა: რამდენ ხანს იარსება ამ ბაზილიკამ. ჩემი აზრით, მცირე ხანს, მაგრამ ამ „მცირესაც“ დაკონკრეტება სჭირდება, და ვფიქრობ, რომ მისი არსებობის დროის განსაზღვრაში საისტორიო წყაროები და არქეოლოგია ერთმანეთს ავსებს.

„და შექმნა სახს მჯუარისაჲ ნასხლევისაჲ, და მუნ დაადგრა და ილოცვიდა. და ადგილი იყო ზღუდესა გარეგან, ხოლო მათ მაყუალთა ადგილი არს ზემოხსა ეკლესი(ი)სა საკურთხეველისა ადგილი“ („მოქცევაჲ“ შტბ.) ან „და აწ მათ მაყუალთა ადგილი ზემოხსა ეკლესი(ი)სა საკურთხეველი არს“ („მოქცევაჲ“, ჭელიშ. გვ. 84).

რას ნიშნავს ეს ბოლო ფრაზა ორივე შემთხვევაში? „...არს ზემოხსა ეკლესიისა საკურთხეველისა ადგილი“. გამოდის, რომ როცა ეს მინაწერი გაკეთდა, ორივე ვერსიაში, თვით ეკლესია დანგრეულია და შემორჩენილია მხოლოდ საკურთხეველი? სულ სხვა საკითხია, რა უნდა ვიგულისხმოთ საკურთხეველში, პასტოფორიუმების არე, თუ რაიმე სხვა კომბინირება ტაძრის ცენტრალურ სივრცეში.

მეფე არჩილის, მირიანიდან მეშვიდე მეფის დროს, ბაზილიკა მაყვლოვანში ფუნქციონირებს, რადგან: „და მას შემდგომად მეფობდა არჩილ და მთავარეპისკოპოსი იყო იონა

და მაშინ დაეცა ქუემოდ ეკლესიაჲ. და იონა მიიცვალა გარეუბნისა ეკლესიისა. და სუეტი იგი ცხოველი თანა წარმოიღო. და მისზე აზნაურთა სტეფანეწმიდაჲ აღაშენეს არაგუსა ზედა“. („მოქცევაჲ“, შტბ. 92). „დაეცა“ კარგად ასახავს ხის ეკლესიის ჩაქცევის ფაქტს, მაგრამ განადგურებული ჩანს ბაზილიკა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ვახტანგ გორგასლის მეფობის ბოლო პერიოდში, სპარსთა შემოსევების შედეგად, და როგორც ჩანს, XI საუკუნემდე მას აღარავინ გაჰკარებია, და ესეც ბუნებრივად გამოიყურება. თვით მცხეთაც კინდება ამ დროიდან: „მაშინ მცხეთა ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა“ („მოქცევაჲ“ შტბ. 95). და ისედაც, „სპარსნი უფლობდეს ქართლს“ (იქვე), და მით უმეტეს, მცხეთის გარეუბნის ნანგრევები სავსებით უყურადღებოდ დარჩებოდა მანამ, სანამ გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოებრივმა ნებამ მცხეთას ფუნქცია არ აღუდგინა.

არქეოლოგიურად კი, შემდეგი სიტუაცია ჩანს. ჯერ ერთი, ზემოთ აღინიშნა, რომ ქვიშაქვის ფილებით შედგენილ ბაზისზე ნალექისეული წყლების მოქმედებისა და გამოქარვის აშკარა კვალი შეინიშნება, რაც იმას მიანიშნებს, რომ ძალიან დიდი ხნის მანძილზე იგი ღია ცის ქვეშ იმყოფებოდა, და კიდევ ერთი: ბაზილიკის იატაკი არავითარ კვალს არ ატარებს საიმისოს, რომ იგი ოდესმე განეახლებინოთ. გავიხსენოთ, რომ იგი 1,5 სმ-ის სისქის კირხსნარია. შედარებით ხანგრძლივი დროით ფუნქციონირებისას, მას უთუოდ უნდა დაფენოდა კირხსნარის ახალი ფენა.

ადრეშუასაუკუნეების სამარხი, სადიაკვნეს წინ, როგორც აღინიშნა, მასალის მიხედვით ნაკლებადინფორმაციულია, მაგრამ დასტურდება, რომ ტაძრის ძირითადი სივრცე საუკუნეების მანძილზე გადაუხურავი იყო. სამარხში ბუნებრივია, რომ დადასტურდა „სამარხეული მტვერი“, მაგრამ ტალახად ქცეული, მისთვის დამახასიათებელი „ბზარებით“, რაც მისი გაშრობისას წარმოიშვება ხოლმე.

რომ გათხრილიყო ტაძრის ეზოც, მისი მიმდებარე ტერიტორია, ინფორმაცია გაცილებით მეტი იქნებოდა, რადგან სამშენებლო ნარჩენები, როგორც ბაზილიკისა, ასევე წინარექრისტიანული მრგვალი ნაგებობისა, სამშენებლო მოედნის გარეთ გადაიხვეტებოდა. მისი გათხრა მომავლის საქმეა.

ვინ უნდა იყოს ბაზილიკის არქიტექტორი? ცხადია, იგი შედის იმ ჯგუფში, რომელიც საქართველოში პირველ ეკლესიებს აგებს, და თანდათანობით მოიწვევს მცხეთისაკენ, ანუ იმ ჯგუფში შემავალი ოსტატია, რომელიც მეფე მირიანმა გამოითხოვა კონსტანტინესაგან. არავითარი პირდაპირი მოწმობა ჯერჯერობით არ გავაჩნია საიმისოდ, რათა უყოყმანოდ

ვისმეს მივაწეროთ მისი არქიტექტურა და სამშენებლო საქმე, მაგრამ ვინ უნდა იყოს მისი ამგები, თუ არა ავრელიოს აქოლისი, მცხეთის ხუროთმოძღვარი და მხატვართუხუცესი? მართალია, მისი სახელი, როგორც ქნი თინათინ ყაუხნიშვილი აღნიშნავს, არ ნიშნავს მის უცხოურ წარმოშობას მაინცდამაინც (ყაუხნიშვილი 2000, 230, 256), მაგრამ მცხეთაში, ეკლესია „ანტიოქიაში“, 1998 წელს აღმოჩენილმა წარწერამ (ყაუხნიშვილი 1998, 6-7), სხვაგვარად დააყენა საკითხი ამ მოღვაწის შესახებ. ეს ბერძნული წარწერა ადრექრისტიანულ ხანას განეკუთვნება – IV-V სს. იგი ქრისტეს მიმართ აპელაციით იწყება: „მე ვარ ანი და ჰოე“ (იოანეს გამოცხადება 1,8:21,6) და გარდა იმისა, რომ აქ იგი უკვე კონკრეტულად რაღაც მშენებლობასთან დაკავშირებით იხსენიება (და, უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ „ანტიოქიის“ უადრესი სამშენებლო ფენა იგულისხმება), გვაძლევს კიდევ ორი ოსტატის სახელსაც: ესაა წარჩინებული მშენებელი (ეპიტონ ტექტონ), ვინმე აქილევსი (ასევე ბერძნული სახელის მატარებელი), და უშუალოდ წარწერის ამომკვეთი, ირანული სახელის მატარებელი არსპაკორესი (ყაუხნიშვილი 1998, 6-7). ეს მთელი ბრიგადაა და ამ ბრიგადაში თანამდებობრივი იერარქიაც გამოსჭვივის (ხუროთმოძღვარი, წარჩინებული მშენებელი, ოსტატი). როდის ჩამოვიდოდნენ ესენი საქართველოში? შემადგენლობაც (ეროვნული), საკმაოდ ჭრელი ჩანს და სავსებით შეესაბამება რომის იმპერიის უკანასკნელი პერიოდის აღმოსავლეთის პროვინციების მოსახლეობას. საიდან გაჩნდებოდნენ ისინი მცხეთაში, თუ არა მირიანის დაუბნებული მოთხოვნის შედეგად.

თუ გრაფიკულად ავსახავთ მასების ურთიერთდაფენას (ბაზილიკაზე გუმბათოვანი ტაძრისას), გამოჩნდება რომ XI ს-ის არქიტექტორს სხვა გზა არა აქვს, მან სადღაც უნდა გადაიტანოს პირველი ქრისტიანი მეფე-დედოფლის საფლავები (იხ. ილ. XVIII).

არქეოლოგიურმა გათხრებმა სავსებით დაადასტურა, უწერილეს დეტალებშიც კი, უძველესი ქართული საისტორიო წყაროს სანდოობა. ისედაც არქიტექტურული ძეგლი წყაროში, როგორც არაერთხელ დადასტურებულა (თუმცა არ აღნიშნულა), წყაროსათვის და მისი შემდგომი ანალიზისათვის „მყარი წერტილებია“. წყაროში მათი არც ჰიპერბოლირება გვხვდება, და არც მიკუთვნება მისი რომელიმე ისეთი მმართველისადმი, რომელსაც მის შემქმნაში მონაწილეობა არ მიუღია.

თვით ბაზილიკის ზომები, ტიპოლოგია, სამშენებლო საქმე და თვით ფაქტი მისი გამოვლენისა, დიდად შორდება მარტოოდენ ქართულ მნიშვნელობას. ვფიქრობ, რომ ამ ბაზილიკას ზოგადქრისტიანული არქიტექ-

ტურული მნიშვნელობა აქვს, ქრისტიანული აღმოსავლეთის არქიტექტურულ კონცეფციებში წვდომის თვალსაზრისით მაინც.

სრულებით არ იქნება გასაკვირი ის, რომ საქართველოდან მოხდეს ბევრი რაიმეს ასხნა დანარჩენი აღმოსავლური და, ნაწილობრივ, ბიზანტიური სამყაროსათვის. დეპუტაცია ხომ მარტოოდენ ნიმუშით არ ჩამოდის, არამედ სისტემითაც. IV ს-ის დასაწყისში, ქრისტიანულ არქიტექტურაში, ანუ მის საწყის საფეხურზე, ესოდენ დაკრისტალებული პროპორციული სახე ეკლესიისა, ძალიან ძნელი მოსაძებნია. მთავარი მაინც ისაა, რომ საქართველო (ქართლი), ერთ-ერთ წარმომშობად ისახება, როგორც ქვეყანა და სახელმწიფო, ახალი ღვთის სახლის მოდელისა. მთელი შემდგომი მმართველების მოღვაწეობა, იმ დინამიკის განვითარებაა, რომელსაც საფუძველი მეფე მირიანმა დაუდო:

„და შემდგომად მისსა ამან ბაკურ მეფემან, ძემან რვეისამან, დაიწყო წილკნის ეკლესია...“;

„თრდატ... რუდსთვისა რუე გამოიღო და ეკლესიისა საფუძველი დადგა და მას ზევე ნეკრესს კახეთისასა ეკლესიად აღიშენა განსრულებით“.

„და შემდგომად მისა დადგა ვარაზ-ბაკურ მეფედ... და მას ზე აღაშენეს აზნაურთა წმიდად იგი ეკლესიად მცხეთას...“

„და ამას შემდგომად მეფობდა ბაკურ, ძმ თრდატისი... და ამან აღაშენა ეკლესიად ბოლნისს...“























„და მისა შემდგომად მეფობდა არჩილ... და მისა ზე აზნაურთა სტეფანე-წმიდად აღაშენეს არაგუსა ზედა...“


„... შემდგომად მისსა მეათე მეფობდა ვახტანგ გორგასალი... და აღაშენა ქუეპოდ ეკლესიად ვახტანგ მეფემან“ და ა. შ. და ა. შ.

ავტორის გარდა არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობდნენ მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები: არქეოლოგები ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ედუარდ გავაშელი, გელა გიუნაშვილი, დოდო ლეკაშვილი, მზია რჩეულიშვილი, ლაბორანტი ირინე მადრაძე, მოწვეული კოლეგები, საპატრიარქოს არქეოლოგიური დეპარტამენტის სპეციალისტები, ასპირანტები და სტუდენტები. გათხრების მიმდინარეობას კოორდინაციას უწევდა აკადემიკოსი ანდრია ავაქიძე.

ავრელიოს აქოლისის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ იხილეთ გურამ ლორთქიფანიძის სტატია „AYPHLIOC AXOLIC – რომის მოქალაქე“ კრებულში „ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში“, თბ., 2004, 151-158.

გურამ ყიფიანი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი





ლიტერატურა:

1. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. უღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით. თბ., 1963.
2. ჯუანშერ ჯუანშერიანი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I. თბ., 1955.
3. ლეონტი მროველი, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I. თბ., 1955.
4. ავაქიძე ანდრია, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბ., 1963.
5. კიკნაძე ზურაბ, მირზაშვილი თენგიზ, „რას მოგვითხრობს მირიანის წიგნი“, ჟურნ. „კრიტიკა“. თბ., 1985, №6.
6. ლეჟავა გიორგი, ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები. თბ., 1978.
7. ლორთქიფანიძე ოთარ, „ძველი კოლხეთის კულტურა“. თბ., 1972.
8. ოქროპირიძე ასმათ, „ქრისტიანული სახის-მეტყველებისათვის“. ჟურნ. „სპექტრი“. თბ., 1998, №1.
9. ფირცხალავა მარინე, ყოფიანი გურამ, ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-1981 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები. კრებული „ვანი“, XIII. თბ., 1986.
10. ყაუხჩიშვილი თინათინ, „ახალი წარწერა მცხეთიდან“, მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის II სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 1998.
11. ყაუხჩიშვილი თინათინ, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, II. თბ., 2000.
12. ყოფიანი გურამ, „ნიშნთა ფუნქციის შეცვლისათვის კოლხურ და იბერიულ კრამიტებზე“. თბ., 1991.
13. ყოფიანი გურამ, საქართველოს ანტიკური ხანის არქიტექტურული ძეგლები. თბ., 1993.
14. ყოფიანი გურამ, კედლის ბურჯთა კორინთული კაპიტელები. ჟურნ. „ნარკვევები“, III. თბ., 1998.
15. ყოფიანი გურამ, მცხეთის „ანტიოქია“, ძირითადი სამშენებლო პერიოდები, მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 1999.
16. ყოფიანი გურამ, დიდი მცხეთის ხუროთმოძღვრება. კრებული „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“. თბ., 1999.
17. ყოფიანი გურამ, წმიდა ნინო და ძველი საქართველოს დედაქალაქი. თბ., 2004.
18. ციციშვილი ირაკლი, მცხეთის ანტიკური კრამიტის შესწავლისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IX, №8. თბ., 1948.
19. ჭელიძე ედიშერ, „უჩინო და ცხადი“. ჟურნ. „კრიტიკა“. თბ., 1985, №6.
20. Amy R., Temples a Escaliers, „Syria“, T. XXVII. P. 1950.
21. Baatz D, Fensterglastypen, Glasfenster und Architektur, „Bautechnik der Antike“, Mainz am Rhein, 1991.
22. Bell G. L., Churches and Monasteries of the tyr ‘Abdin and Neighbouring Districts, Heidelberg, 1913.
23. Beyer H. W., Der Syrische Kirchenbau, B. 1925.
24. Cooper J. C., Lexikon Alter Symbole, Lpz. 1986.
25. Deichman Fr. W., Frühchristliche Kirchen in Antiken Heiligtumern, Jahrbuch des Deutschen archaologischen Instituts, B. 54, B. 1939.
26. Gartkiewicz Pr. M., The Cathedral in old Dongola and its Antecedents, „NUBIA“, I, Dongola 2, Warszawa, 1990.
27. Cluck H. Der Breit und Langshausbau in Syrien, Heidelberg, 1916.
28. Herzfeld H., Guyer S., Meriamlik und Korykos, Manchester, 1930.
29. Huff D., An Archaeological Serwy in the Area of Firmzabad, Fars, in 1972. „Proceedings of the Iind Annual Symposium on Archaeological Reserch in Iran“. Tehran, 1974.
30. Huff D., Architectur Sassanide, „Splendeur des Sassanides, Bruxelles“, 1993.
31. Huselberger L., Der Paldorygos von Naussa am Parros, „Archaeologisches Anzeiger“, B. 1978. H. B.
32. Krautheimer R., Early Christian and Byzantine Architecture, N. Y. 1979.
33. Naumann R. Ruinen von Tacht-e Suleiman und Zendan-e Suleiman und Umgebung, B. 1977.
34. Robertson D., Greek and Roman Architecture, Cambridge, 1971.
35. Sauvager Y., Les Ruines Omeyyades du Djebel Seis „Syria“, T. XX, 3, P., 1939.
36. Stanzl G., Langsbau und Zentralbau als Grundthemen der Frühchristlichen Arhitektur, Wien, 1979.
37. Yavis C., Greek Altars, Origin and Typology, Saint Lonis, Missouri, 1949.
38. Дзnelадзе М. С., Керамические строительные материалы античной Иберии – Картли (рукопись). Тб., 1988.
39. Доманский Я, В., Древняя художественная бронза Кавказа. М., 1984.
40. Мессель Э., Пропорции в античности и в средние века. М., 1936.
41. Рапопорт П. А., Внешние влияния и их роль в истории древнерусской архитектуры, „Византия и Русь“. М., 1989.
42. Хембидж Д., Динамическая симметрия в архитектуре. М., 1936.
43. Цинцадзе В., О некоторых особенностях базилик раннехристианской Грузии (архитектура базилики V века Свети-Цховели в Мцхета), IV საერთაშორისო სიმპოზიუმი მიძღვნილი ქართული ხელოვნებისადმი, ტ. II, თბ., 1989.
44. Шмерлинг Р., Самтавро – памятник XI века, „ქართული ხელოვნება“, I, თბ., 1942.

ASKETIKIS RAMDENIME TERMINIS ISTORIIDAN

ყოველ გონიერ ქმნილებაში, გინდ მამაკაცი იყოს ის და გინდ ქალი, არის ძალა სიყვარულისა, რომლითაც ადამიანებს უნარი აქვთ, მიემთხვიონ სიყვარულს ღვთისასაც და კაცისასაც.

წმიდა ანტონ დიდი

თავდაპირველად ტერმინ „ასკეტის“ სემანტიკას შევეხებით: ესაა ბერძნული სიტყვა და ანტიკური ეპოქის ლექსიკაში „მებრძოლს“, „მორკინალს“, „ათლეტს“ ნიშნავდა. ძველი დროიდანვე მისი აზრობრივი დატვირთვა კიდევ უფრო ფართოდაც იყო წარმოდგენილი, კერძოდ, ჰქონდა:

1) ფიზიკური (სხეულის ვარჯიში), 2) ზნეობრივი (გონებისა და ნებისყოფის წვრთნა) და 3) რელიგიური მნიშვნელობები.

ქრისტიანობისათვის, რა თქმა უნდა, არსებითი „ასკეტის“ რელიგიური სემანტიკა გახდა, რადგან ბერძნულ-სლავურ ცხოვრების წესს დაუკავშირდა, თუმცა მისი არც პირველი ორი შინაარსი უარუყვია, მაგრამ ისინი ანტიკურობისაგან განსხვავებული, სახეცვლილი ფორმით გამოიყენა: ფიზიკური გაგება („მებრძოლი“, „მორკინალი“) ქრისტეს სათნო მხედრის, ხოლო გონებისა და ნებისყოფის წვრთნის აზრობრივი დატვირთვა – ქრისტიანული ზნეობრიობისა და მოსაგრეობის იდეალებს შეარწყა.

ასკეტიზმი ადამიანის სარწმუნოებრივი სრულყოფისკენ, სულისა და სხეულის შინაგანი და გარეგანი ჰარმონიულობისაკენ მიმავალი გზაა; მისი მთავარი მიზანი არის უფალთან მიახლება, შეძლებისდაგვარად უხრწნელი ცხოვრებისაკენ სწრაფვა უბიწოების, მოთმინების, მარხვისა და ღოცვის დაცვითა და აღსრულებით.

ქრისტიანობის ასკეტური მსოფლმხედველობა მაცხოვრის ქადაგებით სახარებიდანვე განისაზღვრა: „რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უარ-ჰყავნ თავი თვისი, და აღიღენ ჯუარი თვისი, და შემომიდეგინ მე“ (მათ. 16. 24; მარკ. 8. 34; ლუკ. 9. 23). აქ გაცხადებულია ასკეტიზმის არსი: ცხოვრება ქრისტეში, ქრისტესთან ერთად და ქრისტესთვის. ამიტომ სწამთ ღვთის მოსაგრეებს, რომ არა მხოლოდ ისინი ატარებენ იესო ქრისტეს ჯვარს, არამედ იესო ქრისტეს ჯვარიც ატარებთ მათ.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოში სხვადასხვა დროს შემოვიდა და გავრცელდა ასკეტური მოწესების სამი ფორმა: ანტიოქიური, პალესტინური და ბიზანტიური. მათ

ტიპიკონთაგან მიღებულ და გადამუშავებულ წეს-განგებათა შედეგად ჩამოყალიბდა ქართული ქრისტიანული კულტურისათვის დამახასიათებელი ბერძნულ-სლავური ფორმა, რომელიც არა მხოლოდ ხელოვნებაში (ხუროთმოძღვრება, ქვის რელიეფები, კედლის მხატვრობა, ხატწერა, ჭედურობა, ტიხრული მინანქარი, ხელნაწერთა დასურათება, ნაქარგობა), არამედ ლექსიკაშიც აისახა, რაც იმის დადასტურებაა, რომ ქართული ქრისტიანული კულტურის ხორცშესხმა ენაში ბიზანტიურ სამყაროსთან ყოველთვის ძალიან მტკიცე, რეალური და კონკრეტული ძაფებით იყო დაკავშირებული.

ქვემოთ, სტატიაში, წარმოდგენილია ასკეტიკის სამი ძირითადი ტერმინი: **ბერი** – **მონაზონი ენკრატისი**. ზოგადად უნდა ითქვას, რომ არაერთი სპეციალური სიტყვის მნიშვნელობა, როგორც ზემოთაც გამოჩნდა, სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული იყო. ზოგიერთს არ იღებდა ლექსიკა, ზოგი მათგანი ნაწილობრივ იცვლიდა დედნისეულ აზრობრივ დატვირთვას, ან სულაც სხვა შინაარსის მატარებელი ხდებოდა, ზოგჯერ კი მათი მნიშვნელობა ფართოვდებოდა. ვნახოთ, ამ კუთხით, რა ვითარებაა დასახელებული სამი ტერმინის, განსაკუთრებით კი **ენკრატისის** შემთხვევაში.

იოანე მოსხის „ლიმონარიდან“ მოყვანილ ციტატაში - „ძლით დავარწმუნეთ მათ, რადთა... შეიმოსონ სქემა **ენკრატისთა**“- სიტყვა **ენკრატისს** ილია აბულაძე **მონაზონქლად** განმარტავს¹; ზურაბ სარჯველაძეს „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ **ენკრატისობის** ახსნა „მცირე სჯულისკანონის“ მიხედვით აქვს წარმოდგენილი: „მონაზვნობა. დედანი, რომელთა **ენკრატისობის** წესი მიიღონ და მონასტერსა შინა დაეწესნენ, ყოველადვე ნუმცა გამოვლენ მონასტრისაგან“².

რაც შეეხება ისტორიოგრაფიულ თხზულებებს: ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის

¹ იოანე მოსხი, ლიმონარი, გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1960, გვ. 117

² მცირე სჯულისკანონი, გამოსცა ე. გიუნაშვილმა, თბ., 1972, გვ. 53.

ცხოვრებაში” მეფე ვახტანგის ისტორიიდან ასეთი ეპიზოდია გადმოცემული – ბიზანტიის წინააღმდეგ ერთ-ერთი ლაშქრობის შემდეგ გორგასალმა ტყვეები იგდო ხელთ, მათ შორის, სასულიერო პირებიც; მან „განავლინა ქადაგნი, რათა ყოველნი მოწესენი გამოვიდენ სამალაუთაგან მათთა, და ტყუენი განუტევენენ, და სადაც ენებოს, წავიდენ. და გამოვიდა სიმრავლე მღვდელთა და დიაკონთა, **მოწესეთა მონაზონთა და ენკრატისტთა**, ქუაბებით”³. ამ ციტატაში მოწესე მონაზვნებში მამაკაცი, ხოლო **ენკრატისტებში** ქალი მოსაგრეები იგულისხმებიან.

ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს სამეფოს აღწერაში” აღექსანდრე II კახთბატონის (1574-1605 წ.წ.) დის შესახებ წერია: „ყო და აღექსანდრესი, რომელსაც აღერჩია **ენკრატისტობა** და სცხოვრებდა ალავერდსა”⁴. აქაც **ენკრატისტობა** განმარტებულია **მონაზონ ქალობად**, ხოლო **ენკრატისი** – **მონაზონ ქალად**.

Enkratis-ის მნიშვნელობები ე.ა. სოფოკლეს „რომაული და ბიზანტიური პერიოდების ბერძნულ ლექსიკონში” ასეა წარმოდგენილი: **თავდაჭერილი, თავშეკავებული, უბიწო, უმანკო**. ასევე ანტიკური ხანის ავტორებთან, მაგალითად, ქსენოფონტესთანაც; ქრისტიანულ ეპოქაში კი ის **ასკეტის, განდევნილის** აზრობრივ დატვირთვასაც იძენს (ირინეოს ლიონელი, ათანასე დიდი, კირილე იერუსალიმელი)⁵ და ბერმონაზვნობის ტერმინოლოგიაში იკავებს ადგილს.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „**ენკრატისი** დედათ მოწესე, ყოვლად მომჭირნეა”, ქვემოთ, სხვადასხვა ხელნაწერის მიხედვით, ამ სიტყვის მნიშვნელობა უფრო დაზუსტებულია: „დედათა ეწოდების, ყოველთა საქმეთა მომჭირნეთა, – **ენკრატისი**, ხოლო მამათა – **მონაზონი (მონაზანი)**. დედათა ყოველთა საქმეთა მომჭირნესა ეწოდების **ენკრატისი**, ხოლო მამათა – **მონაზონი**. დედათ **მონაზონია** ყოვლის საქმისა მომჭირნე”⁶. შესაბამის ბუდეებში მონაზონს სულხან-საბა **ვაჟ მოწესედ** განმარტავს, **მონაზონას** კი – **ქალმოწესედ**, ხოლო **ბერის** მნიშვნელობას მხოლოდ **ხან-მრავალკაცად** წარმოადგენს.

ლიტერატურასა და მეტყველებაში **ქალ**

მოწესეს მონაზონს უწოდებენ, **მამაკაც მოწესეს** კი იმავე სიტყვა **მონაზონს** ან **ბერს**; თუმცა **ბერი სულიერი ჰასაკის** სისრულეს მიღწეული **მონაზონია**, რომელიც სულიერი გამოცდილებით მოძღვრავს და ასწავლის. მას სხვა მონაზვნებისგან მოხუცებულობა გონებისა გამოარჩევს (ბერძნულ ენაში ბერის შესატყვისია Gerontas, Geron, რუსულში – Сmapeй)⁷.

ანტიოქიურ-სირიული ტრადიციით, მოსაგრე მამაკაცებსა და ქალებს კი **ძენი აღთქმისა** და **ასულნი აღთქმისა** ეწოდებათ (წმიდა მამები აფრაატ სპარსი, ანტონ დიდი, პახუმი დიდი)⁸.

„ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში” შეტანილ არცერთ ტექსტში სიტყვა **ენკრატისი** გამოყენებული არ არის. რაც შეეხება **ბერს** - ის სასულიერო პირად, მონაზონადაა განმარტებული და, ბუნებრივია, ძალიან ხშირად გვხვდება, განსაკუთრებით კი **ცხოვრებითი** ჟანრის თხზულებებში. **ბერია** ის, ვინც **აღჭურვილია ჯვრით, მარტოდმყოფია, დაყუდებით ცხოვრობს, მოხუცებულია** (იგულისხმება გონებით მოხუცებულობა), **ყავს მოწაფეები, მორჩილები, ნავთსაყუდელია, ხელთა ღმრთისათა შევედრებულ არს, ღვთის მეცნიერება აქვს, სულიერ სიტყვებს წარმოთქვამს, სასწაულებს ადასრულებს, წმიდა-ყოფს კონკრეტულ ადგილს (მაგ. მთას), სიყვარულის მცნებას ნერგავს, გარეული ცხოველები ემორჩილებიან** და მისგან **მოელიან მფარველობას** და ა. შ.⁹

ამგვარ პირთა სულნი ანუ **სულნი წმიდათანი** „**ხელთა შინა ღვთისათა არიან**“.

დასკვნის სახით ვიტყვით: ქართულმა სასულიერო და სალიტერატურო ენამ **ქალმოწესის** აღსანიშნად არც **ენკრატისი** მიიღო და არც **მონაზონა**, არამედ **მონაზონი**, რომელიც **აღთქმის ძეს** ნიშნავს თუ **აღთქმის ასულს**, კონტექსტის მიხედვით ირკვევა; რაც შეეხება **ბერს** და **მონაზონს**, აუცილებელია მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა, რადგან **ბერი** – **ბერობა**, **მონაზონი** – **მონაზვნობისგან** განსხვავებით, **მოწესე მამაკაცის** სრულიად სხვა სულიერ მდგომარეობას (გონებით მოხუცებულობას) გამოხატავს.

გიორგი ალიბეგაშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი

³ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გამოსცა ს. ვახუჩიშვილმა, თბ., 1955, გვ. 163.

⁴ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გამოსცა ს. ვახუჩიშვილმა, თბ., 1973, გვ. 580.

⁵ რომაული და ბიზანტიური პერიოდების ბერძნული ლექსიკონი, შეადგინა ე. ა. სოფოკლემ, ლონდონი, 1914 (ინგლისურ ენაზე).

⁶ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წიგნი I, თბ. 1966, გვ. 236.

⁷ ბერი ეფრემ ფილოთეველი, მამობრივი დარიგებანი, თბ. 2012, გვ. 8

⁸ ს.ს. ავერინცევი, სოფია-ლოგოსი, კიევი, 2001, გვ. 39 (რუსულ ენაზე).

⁹ ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, ტ. I, თბ. 2005, გვ. 79-82

OSKIS WMINDA NINO

მრავალათასწლოვანი ქართული კულტურის ისტორიაში წმინდა ნინოს მსახურება შეუცვლელია. წმინდა ზაბულონისა და სოსანას კეთილი ნერგი სიყმაწვილითვე აღივსო მაცხოვრისადმი მხურვალე ვედრებით, რათა ღირსი გამხდარიყო იმ ადგილის ხილვისა, სადაც განისვენებდა უფლის კვართი. შეისმინა მისი ვედრება ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა და მოიხსენა ქვეყანა ქართველთა, რომელი იყო მისი წილხვდომილი, განამზადა ღირსი ნინო მოციქულად და გადასცა ვაზის ჯვარი, რითაც უნდა ეძლია ყოველი საქმე ეშმაკისა და ექადაგა ჭეშმარიტება. იერუსალიმის პატრიარქმა იუბენაღმა დალოცა წმინდა ნინო, რომელიც სულიერ სიბნელეში მყოფ საქართველოში წამოემართა “ვითარცა მამაკაცი სრული”. მრავალი დევნის მიუხედავად, იწროების დათმენითა და მხურვალე ღოცვით, წმინდა ნინომ სრულიად შეცვალა წარმართული ქართლი, დაამხო კერპები, მოაქცია მეფედედოფალი—მირიანიდანანა. კაბადუკიელი ქალწულის უმაგალითო მოსაგრეობის შედეგად, უფალმა გამოაბრწყინა მეორედ მოსვლამდე დაფარული კვართის ადგილი და მასზე აღმართული ცხოველსმყოფელი სვეტი, რომლიდანაც მომდინარე უწყვეტი მადლი მთელი სამყაროს მასაზრდოებელი წყაროა დღესაც და ვიდრე ჟამის აღსასრულამდე.

ბუნებრივია, რომ წმინდა ნინო იწოდება ქართველთა განმანათლებლად, მოციქულთასწორად. იგი გახდა სიმბოლო საქართველოს ეკლესიისა. მას არაერთი უძველესი წყარო თვით “დედოფლადაც” კი სახელდება, რადგან “დედოფალი” სახელია ეკლესიისა, ვითარცა “სძალი უფლისა”.

ქრისტიანულ სამყაროში მრავალგზის გვხვდება წმინდა ნინოს გამოსახულებანი. ქართველთამიერ საუკუნეთა განმავლობაში უდიდესი სიყვარულით იქმნებოდა ხატწერული, ფრესკული, რელიეფური, ჭედური, მინიატურული, ოქრონაქარგი სახეები. რა თქმა უნდა, დრომ ბევრი წარხოცა, მაგრამ ის, რაც გადარჩა, ქმნის შთამბეჭდავ სურათს გამოსახულებებისა,

რომლის ხილვა და გააზრება სიხარულს მოუტანს მკითხველს.

ოშკის რელიეფი

ჟამთა სიავეში ჩვენამდე მოღწეული უადრესი სახე წმინდა ნინოსი, ოშკმა შემოგვინახა. ეს დიდებული კათედრალი ისტორიულ ტაოს ტერიტორიაზე, თორთუმის ტბის დასავლეთით მდებარებს. ბანასთან ერთად იგი იყო არამხოლოდ სამონასტრო, არამედ ამ კუთხის ხელისუფალთა ადმინისტრაციული ცენტრიც. ოშკის ტაძარი, ისევე როგორც სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სხვა ნაგებობანი, ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრული მეტყველების ბრწყინვალე ძეგლია. მასში შერწყმულია მაშინდელი საქართველოს როგორც საეკლესიო-სამონასტრო, ისე



ოშკი X საუკუნე.

საერო-სამეფო დიდებულება. ამ ორი საწყისის ძალდაუტანებელი სინთეზი ბუნებრივად წარმოაჩენს აგრეთვე ღირსეულ დიალოგს ბიზანტიისა და მართლმადიდებლური აღმოსავლეთის წამყვან სულიერ ცენტრებთან.

ოშკის კათედრალი 963-76 წლებში აგებულია ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა და დავით მაგისტროსის (დავით დიდი კურაპალატის) მიერ. იგი გეგმარებით ე.წ. “ტრიკონქის” ტიპისაა და დასაბამს აძლევს ამავე სივრცითი კომპოზიციის შემდგომდროინდელ კათედრალებს – ქუთაისის ბაგრატის ტაძარსა და ალავერდს. ამდენად იგი უმნიშვნელოვანესი ეტაპია ზოგადად ქართული ხუროთმოძღვრების

განვითარების გზაზე. იმთავითვე აგებული წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელზე, იგი იყო დედაეკლესია მონასტრისა, რომლის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩა სხვადასხვა ნაგებობანი: ორი სამლოცველო, სემინარია-სატრაპეზო და სკრიპტორიუმი-ბიბლიოთეკა. აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა არაერთი თვალსაჩინო მწიგნობარი, ღვთისმეტყველი, ჰიმნოგრაფი თუ სახელმწიფო მოღვაწე. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც გრიგოლ ოშკელი, სტეფანე დიაკონი, იოანე ჩირაძე, წმინდა იოანე-თორნიკე ყოფილი, რომელმაც მონასტრის სკრიპტორიუმს დაუკვეთა ბიბლიის უადრესი და ყველაზე სრული რედაქცია (978 წ.), რომელიც ამჟამად ათონის მთაზე ივირონის მონასტერშია დაცული. ოშკის ლავრაშივე მოღვაწეობდა უდიდესი ჰიმნოგრაფი – მიქაელ მორეკილიც.

ოშკის ტაძარი, ჩვენი ავბედითი ისტორიისა თუ სულიერი დაკნინების გამო, დღეს ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ აგებისას იგი იმდენად ბრწყინვალე და შემკული იყო, რომ ის, რაც დროს გადაურჩა მაინც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს. იგი არა მხოლოდ ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუშია, არამედ მნახველზე ტოვებს გრანდიოზული სკულპტურის შთაბეჭდილებას, რომლის ყოველი დეტალი ქრისტიანული სახისმეტყველების სიღრმითა და თითქმის მრგვალ ქანდაკებამდე მისული ძლიერი პლასტიკური კვეთით გამოირჩევა.

სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია, რომ წმინდა ნინოს უძველესი რელიეფი ჩვენს დრომდე სწორედ ამ უძლიერესმა ძეგლმა შემოგვინახა. და მაინც, სად და როგორ?

ოშკის ხუროთმოძღვარმა კათედრალის სამხრეთ-დასავლეთით ააგო ბრწყინვალე კარიბჭე, უხვად შემკული ფიგურული თუ მცენარეული ორნამენტით. სამ სვეტზე დაყრდნობილი მძლავრად ნაძერწი თაღნარით, მლოცველი სამხრეთიდან შედის კარიბჭის შიგნით, სადაც ასევე სამ სვეტს ეყრდნობა ოთხი გუმბათისებური კამარა, მორთული სხვადასხვაგვარად. ასევე ნაირგვარადაა შემკული სვეტებიც. განსაკუთრებულ ყურადღებას კი იპყრობს დასავლეთით მდგომი რვაწახნაგა, ქანდაკებებით უხვად შემკული მეშვიდე სვეტი, რომლის სახისმეტყველებაც მთელი ტაძრის შემკულობის საზრისის ლაკონური გადმოცემაა.



ოშკის წმიდა ნინოს ბარელიეფი X საუკუნე

სვეტი ერთიანად დაფარულია სიმეტრიულად შეწყვილებული მსხვილი პალმეტის ორნამენტით და მთლიანად “განედლებულ-აყვავებულა”. მასში ჩართულია უამრავი ადამიანის პატარა ფიგურა. სამწუხაროდ, მათი იდენტიფიკაცია დღეს ვერ ხერხდება. სვეტის დასავლეთ სიბრტყეზე, კაპიტელის ქვეშ გამოსახულია “ვედრება” – ფრონტალურად ფეხზე მდგომი მაცხოვარი მაკურთხეველი მარჯვენითა და გრავნილით მარცხენაში (წარწერა აღარ განირჩევა). მის მარჯვნივ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელია გაშლილივე გრავნილით, ხოლო მარცხნივ – მავედრებელი იოანე ნათლისმცემელი – ოშკის ტაძრის პატრონი. მიმდებარე წახნაგებზე (ჩრდ.-დას. და სამხ.-დას.) რელიეფურად ამოზრდილი ხატებია წმინდა მკურნალთა – კოზმან და დამიანესი. “ვედრების” ჩამოსწვრივ, წინამორბედის ფერხით ორმესამედში, მუხლმოყრით მდგომი გრიგოლ ოშკელია – ზედამხედველი ტაძრის აშენებისა. მაცხოვრის ჩამოსწვრივ კი პალმეტებშივე ჩართულია გოლგოთის ჯვარი, რომლის მიღმაც ძლივს განირჩევა მთელი ტანით მდგომი გვირგვინოსანის ფიგურა. „ვედრების” ზევით მძლავრი, მოცულობითი კაპიტელის რვავე წახნაგზე განფენილია ზეციურ ძალთა უფლის მადიდებელი ცხრა დასი და სვეტის სივრცეს, “ვედრებასთან” ერთად კონტექსტში, უფლის მიერ შექმნილი სამყაროს მთლიანობას წარმოგვიდგენენ. მთლიანად სვეტს კი კაპიტელითურთ ხელაპყრობით მლოცველი სვიმეონ მცირე მესვეტის ფიგურა ეფუძნება. აქ ოსტატმა ფუნქციურად საყრდენი სვეტი სახისმეტყველებითად წმინდა მესვეტის

გამოსახულებას დაუკავშირა და პირიქით – მესვეტის ხატება დააფუძნა რეალურ სვეტზე.

წმინდა ნინოს რელიეფი ჩართული იყო სწორედ სვეტის ხილვის ამ მთავარ მხარეს, ჩრდილო-დასავლეთ წახნაგზე, უშუალოდ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის გადმოსწვრივ, ხელ-აპყრობით მლოცველი მოციქულთასწორი, თანმხლები განმარტებითი წარწერით “წმინდა ნინო”. სამწუხაროდ, გაურკვეველ გარემოებებში, ჩვენი ისტორიის ეს უნიკალური ნიმუში სვეტის მორთულობიდან გაქრა და დღეს მასზე მხოლოდ ფოტოებითა და მეცნიერთა ჩანაწერებითა თუ ვიმსჯელებთ.

წმინდა ნინოს ოშკისეული გამოსახულება მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, როგორც ქართველთა განმანათლებელის უადრესი სახე. იგი გამოსახულია ოშკის რელიეფებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ტიპაჟით და პლასტიკური ძერწვის მანერით. სახე მრგვალია, ბაგე-თხელი, თვალები – ფართოდ გახედილი და სულიერი ძალით აღსავსე. სულიერი ძალითვეა გამსჭვალული ზეაპყრობილი, პროპორციულად ოდნავ გადიდებული, მავედრებელი ხელებიც. კაბადუკიელი ქალწულის სხეული და თავი მოცემულია ერთიანი მაღალი რელიეფით, რომელსაც ძალა და ამასთანავე პლასტიკური სირბილე ახლავს. კაბისა და მაფორიონის ნაოჭები მკაფიოდ რიტმული და გამომსახველია, მაგრამ – რბილი და ძალდაუტანებელი, რაც მთლიანობაში, მსგავსად სხვა ფიგურებისა, ქმნის მდიდარ და გამომსახველ პლასტიკურ სახეს. თითქოს ძუნწი პლასტიკური ელემენტები, ამასთანავე, ინფრამაციულად საგულისხმოა. გულისპირზე მაფორიონი და მის ჩამოსწვრივ ოლარი გვიჩვენებს, რომ ოსტატს აქ ე.წ. „დედათლიაკონი“ “ღიაკონისა” გამოუსახავს – ადრექრისტიანული ხანის ტაძრის მსახური ქალი, რომლის აღუმატებელი პროტოტიპიც თავად ყოვლადწმინდა ღვთისმშობელია. ამ გზით, ეს პატარა რელიეფი წარმოგვიდგენს წმინდა ნინოს როგორც ღვთისმშობლის “საკუთარ მოწაფეს”, მისი მისიის აღმასრულებელს და “სიტყვისა ღმრთისა მსახურთა თანამოსაგრეს”. ამითვე აიხსნება მოციქულთასწორის უშუალო დაკავშირებაც “ვედრების” დედაღვთისასთან.

განსაკუთრებულ კონტექსტს პოულობს ხელაპყრობითი ღოცვა. საქმე ის არის,

რომ უძველესი წყაროების შეჯერებით, კაბადუკიელი ქალწული სწორედ ამგვარად ღოცულობდა. მოვიყვანოთ მრავლობით მაგალითს: სინური ხელნაწერი: –“და დადგა ნეტარი იგი და განეპყრნეს ჳელნი ცად მიმართ და თუალნი ღმრთად და ითხოვდა, რადთა არა დაუბრკოლოს საქმე ესე, რომელსა წარმართებულს არს მეფე”; შატბერდის კრებული: –“და დადგა წმიდა ნინო და განიპყრნა ჳელნი თვისნი ცად მიმართ, და თუალნი ღმრთისა მიმართ, ილოცვიდა და ევედრებოდა...”; “...და წმიდა ნინო დგა ჳელ-აპყრობილ”. არსენი ბერი: –“და ვითარცა განიღვიძა ჩვენებისა მისგან, აღდგა და აღიპყრნა ხელნი ჳეცად მიმართ და მყუარ ჟამ ილოცვიდა”; “წარვიდა უკვე მეორედ განშორებულად და აღიპყრნა ხელნი ჳეცად და ცრემლით ევედრებოდა...”; “ხოლო ნეტარი ნინო დადგა ღამესა მას მახლობელად სვეტისა მის... და განიპყრნა ხელნი აღმოსავალით და ილოცვიდა მყუარ ჟამ ცრემლითა მხურვალითა”; უცნობი ავტორი: –“წარვიდა მცირედ და დადგა კლდისა რაისმე ძირსა და აღიპყრნა ხელნი ჳეცად და ილოცვიდა და იტყოდა...”; “მათ მაყვალთა შინა შევიდა ღირსი ნინო და აღიპყრნა ხელნი და მადლობაი შეწირა ღმრთისა და ილოცა”.

ამგვარად, ოშკის ოსტატი უდაოდ წერილობით მონაცემებს ეფუძნებოდა, როდესაც წმინდა ნინოს გამოსახავდა. ამ მხრივ, უახლოეს პირველწყაროდ იკვეთება ე.წ. “შატბერდის კრებული” რომელშიც სხვა მრავალ მნიშვნელოვან თხზულებასთან ერთად, შეტანილია “მოქცევაჲ ქართლისაჲ”. კრებულის გადამწერი –“ცოდვილი და უნარჩვევისი ყოველთა მოწესეთაჲ, იოვანე ბერაჲ”, აღზრდილი “შატბერდს საყოფელსა წმიდისა ღვთისმშობლისასა” – სავარაუდოდ, იყო დისწული “ღმერთმემოსილი მიქაელ მოდრეკილისა”. ბუნებრივია, რომ შატბერდში შედგენილი კრებული კარგად უნდა სცოდნოდა ოშკის მოღვაწეთა გუნდს. მითუმეტეს, რომ კათედრალიცა და კრებულიც თითქმის სინქრონულად შეიქმნა. ამ მიმართებას არაჩვეულებრივ კონტექსტსა სძენს თავად გადამწერის ანდერძ-მინაწერი, რომლითაც განსრულდება შატბერდისეული “მოქცევაჲ ქართლისაჲ”:

“წიგნი ქართლის მოქცევისაჲ, რომლითა ღმერთმან ნათელი გამოაბრწყინვა, დასაბამი წმიდათა ეკლესიათა გამობრწყინებისაჲ [ძალთა ჳეცისა მგალობელთა

გუნდთა ყუავილად უბიწოდ სარწმუნოებად შეუძრავი კედელი ქრისტესსა. ესე ჩუენისა ცოდვისა კსნაი და მარგებელ სულისა, ვითარცა ტალანტი, წინამძღუართაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთ” (ტექსტი აღდგენილია ი. აბულაძის მიერ). ბოლო სიტყვების თანახმად, ქართლის მოქცევის მონუმენტური ისტორია დიდხანს დაკარგული ყოფილა (აღბათ, არაბთა ბატონობის გამო). იგი X საუკუნის შუა წლებში ხელახლა აღმოუჩენიათ (ოდნავ უფრო აღრეულია სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერი). ამ აღმოჩენამ, აღბათ, შეძრა წმინდა გრიგოლ ხანძთელის მიერ დაფუძნებული სამონასტრო სივრცე. რეაქციამაც არ დააყოვნა: იგი მსწრაფლ აისახა ოშკის კათედრალის სახისმეტყველებაში. იგივე მინაწერი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ წმინდა ნინოს ეს რელიეფი უადრესია, რადგან შესაბამისი ავთოგრაფიული ტექსტი მანამდე დაკარგული ყოფილა.

შატბერდისეული “მოქცევა ქართლისაჲ” გასაღებს იძლევა ოშკის წმინდა ნინოს რელიეფის სახისმეტყველებითი კონტექსტისათვის. სვეტი, რომელზედაც გამოსახული, კვართზე დამყარებული ცხოველსმყოფელი სვეტის სემანტიკური ანალოგიაა. იგი უმაგალითოდ “აყვავებულ-განედლებულია”. მის თავზე “ვედრება”, ტრადიციულ საზრისთან ერთად, გაცხადებაა საქართველოსათვის ღვთისმშობლის მეოხებისა. ამიტომაცაა მასთანვე ახლოს ხელაპყრობილი მოციქულთაწორი. სირიელი წმინდა მკურნალნიც – კოზმან და დამიანე ცხოველსმყოფელი სვეტის მაკურნებელი მადლის გამომხატველნი არიან; “ვედრების” ქვეშ, გოლგოთის დიდი ჯვრის უკან მყოფი გვირგვინოსანი, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი დავით მეფსაღმუნედ მოიაზრებს, ზოგიც კი – კონსტანტინე დიდად, აღბათ, უფრო მირიან მეფედ უნდა მივიჩნიოთ, როგორც ქრისტიანული ქართლის პირველი გვირგვინოსანი, ხოლო მცენარეულ ორნამენტში ჩართული თავები – მართალი ერის სიმრავლედ. თვით სვეტის კაპიტელზე მფრინავ ზეციურ ძალთა დასები, საღვთო იერარქიის გამომხატველნი, ამასთანავე გვიჩვენებენ ცხოველსმყოფელ სვეტს, როგორც მიწიდან ცად ამყვანებელს. ნიშანდობლივია რიცხვითი სიმბოლიკაც. წმინდა მეფე მირიანმა ხომ პირველი ტაძრისათვის შეამზადა შვიდი სვეტი,

რომელთა შორის მთავარი და უდიდესი იყო კვართზე ამოსული კვიპაროსისაგან განმზადებული. ანალოგიურად ოშკის კარიბჭის შვიდ სვეტს შორის ზომითაც და მორთულობითაც სწორედ დასავლეთისა გამოირჩევა, რომლის წახნაგთა რიცხვი რვა მისტიკური მერვე დღის საზრისის მატარებელია. კარიბჭის სიმრუდეში სინგურის, ლაჟვარდის, ოქროსა და ფირუზის ფერის უნივთო ნათლით გაბრწყინებული სვეტი პირველი წარმოდგებოდა დასავლეთიდან შესული მლოცველის თვალს. სვეტი, მრავალათასწლიანი ქართლის ცხოვრების საზრისის მომცველი, რომლის სულიერ სივრცეშიც ხელაპყრობილი ღოცვით სწორედ წმინდა ნინოს შევყავდით.

ასმათ ოქროპირიძე ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორი

ბიბლიოგრაფია

1. შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გივინიშვილმა და ე. გიუნაშვილმა. “მეცნიერება”. თბ., 1979 წ. ძველი ქართული მწერლობის ძეგლები I.
2. ვახტანგ ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. “ხელოვნება”, 1974 წ. ოშკი. გვ. 50, 51; 131-132
3. Аладашвили, Н. А. «Монументальная культура Грузии». «Искусство». 1977. ст. 117-135
4. არსენ ივალთოელი. ცხოვრება და მოქალქეობა და დვაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩვენისა ნინოსისა, რომელმან ქადაგა ქრისტე ღმერთი ჩვენი ქვეყანასა ჩრდილოისასა და განანათლა ნათესავი ქართველთა. “მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში”. 80 ტომეული. “ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები”.
5. უცნობი ავტორი. ნინოს ცხოვრება. “ქართული პროზა”. ტ. I. გვ. 187-213
6. ვახტანგ ჯობაძე. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში. თბ., 2007
7. ექვთიმე თაყაიშვილი. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბ., 1960. გვ. 32-58.
8. ზაზა სხირტლაძე. წმინდა ნინო და ძველი ქართული სახვითი ხელოვნება. გვ. 330-351. წმინდა ნინო. სამეცნიერო კრებული. I. თბ., 2008
9. D. Winfield, Some Early Medieval Figure Sculpture from North – East Turque. Journal of Warburg and Courtauld Institutes, Vol. XXI, London, 1968, pp. 33-72

EVROKONSTITUCIIS QRISTIANULI ANALIZI

აღმაშფოთებელია მაგრამ ნამდვილად ასეა! – ევროკონსტიტუციის 448 გვერდიან ტექსტში, რომლის სულისჩამდგმელები (ათეისტი და ანტიქრისტიანი „განმანათლებლების“ ღირსეული მემკვიდრეები) შესავალში მაღალფარდოვნად და თვალთმაქცურად ქადაგებენ, რომ შთაგონებული არიან „...ევროპის კულტურული, რელიგიური და პუმიანური მემკვიდრეობით“, არსად არ არის ჩაწერილი და აზრდაც არ იგულისხმება სიტყვა – „ღმერთი“!

ახალმა ევროპამ არ ისურვა, რომ თავს ზემოთ ღმერთი ჰყოლოდა. არც აშშ-ს კონსტიტუციისათვის მიბაძვა ჩათვალეს საჭიროდ, თუნდაც მსოფლიოს დასანახად! არც „ქრისტესმეორი“ „თავისუფლების“, „თანასწორობის“ და „მეგობრობის“ სახარებისეული, ზოგადსაკაცობრიო ქადაგება აქციეს ევროპელი მოქალაქეების ცხოვრების საფუძვლად და გარანტიად! იგი მასონური, ფარული ანტიქრისტიანული „თავისუფლების“, „თანასწორობისა“ და „მეგობრობის“ („Liberte, Egalite, Fraternite“) „დემოკრატიული და მრავალფეროვანი „ღირებულებებითა“ და „ფასეულობებით“ შეცვალებს.

გაერთიანებული ევროპის ცნობილი და უცნობი „მშენებლები“, რომლებმაც არ გამოიყენეს უფალ იესუ ქრისტეს სიტყვა ახალი ევროპის საძირკველად და „ქვაკუთხედად“, მილიონობით ქრისტიანს, როგორც ცხვრის ფარას, ძალით მიერეკებიან ახალ (ევროპულ) ეპოქაში საცხოვრებლად.

ის, რომ ევროკონსტიტუციაში არ ჩაიწერა (სასულიერო პირების თუნდაც სუსტი და გაუბედავი პროტესტის პირობებში) ერთი უბრალო განცხადებაც კი ქრისტიანობაზე, როგორც ევროპული ფასეულობების წყაროზე და საფუძველზე, სულაც არ არის ფორმალური საკითხი. ევროკონსტიტუციიდან და ევროპის თანამეგობრობის ცხოვრებიდან ღვთის სიტყვის – იესუ ქრისტეს ამოღება და უარყოფა უადრესად მნიშვნელოვანი ფაქტია. მნიშვნელოვანია არა იმიტომ, რომ ევროკონსტიტუციის ტექსტში, უბრალოდ, არ ხდება სიტყვების – „ღმერთისა“ და „ქრისტიანობის“ – ხსენება, არამედ იმიტომ,

რომ აღიარებული ფასეულობები და ღირებულებები, რომლებიც სახარებაში იქადაგა და მოციქულების საშუალებით გადმოგვცა უფალმა იესუ ქრისტემ და რომელთა საფუძველზეც მოხდა ევროპული კულტურის, ზნეობის, სულიერებისა და პიროვნების უფლებების ჩამოყალიბება – ძალადობრივად და სამუდამოდაა უკუგდებული და ამოღებული ქრისტიანთა ცხოვრებიდან. ეს ღირებულებები და ფასეულობები შეცვლილია (რაც ყველაზე ტრაგიკულია) ვერაგი და მომწამვლელი გველის – სატანის – სიტყვით!

მოდით ვნახოთ, თუ როგორ დასტურდება ზემოთ თქმული წერილობითი ფაქტებით. ქრისტიანული სწავლებით, როგორც ამას წმიდა წერილში ვკითხულობთ, მამათმავლობა „სიბილწეა“ ღვთისათვის (ლევიტ. 18:22/20:13). ესაა ზნედაცემულობა „... ბუნებისა წესი იგი არაბუნებად“ გამოცვლილი, „ვნება იგი გინებისა“ და „სარცხვენელი“ (რომ. 1:26-27), ვნება ხორცისა – ღვთის სიტყვისა და ადამიანის სულის წინააღმდეგ მიმართული, რომელსაც მიყვავართ სულისა და ხორცის „სიძვამდე, მრუშებამდე, არა-წმიდებამდე და ბილწებამდე“ (გალატ, 5:17-20). ძირითადად ამ შეხედულებითა და სწავლებით ჩამოყალიბდა ევროპული ქრისტიანი ერებისა და ხალხების ზნეობა და კანონები. და მაინც! ახალ გაერთიანებულ ევროპაში მამათმავლობა („საიდუმლო უკანონობის“ და კარგად ანაზღაურებადი ახალი „საუნივერსიტეტო ავტორიტეტებისა“ და ე.წ. დემოკრატიული „თეორიების“ მითითებით) არის არა „გარყვნილება“ „... ზნედაცემულობა“ და „სიბილწე“, არა ადამიანის სულის წინააღმდეგ მიმართული ხორციელი ვნება, არამედ – „სექსუალური ორიენტაციის“ საკითხი და ეს ტერმინი, პირველად მსოფლიო ისტორიაში, ჩაიწერა ამგვარი მნიშვნელობის კანონში (თავი 2-81 & 1,3-118 და 3-124 & 1). იგი დაცულია, როგორც პიროვნული არჩევანი და მიჩნეულია სრულიად ბუნებრივ და ღირსეულ მიდრეკილებად!!!

მართლაც, დროა გაიგონ და გააცნობიერონ მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა, რომ ახალ ევროპას, რომელშიც მათ, მათ

შვილებსა და შვილიშვილებს აიძულებენ ცხოვრებას, არ სჭირდება არც იესუ ქრისტე და არც მისი მოძღვრება იმისათვის, რომ თავის მოქალაქეებს „კეთილდღეობა“, „მშვიდობა“ და „უსაფრთხოება“ შესთავაზოს.

მაინც რატომ ახალ ევროპაში?.. ვის სურს, რომ ოფიციალურ ემბლემად სატანური შთავონების ფრაზა – „მრავალფეროვნებითი ერთობა“ – ჰქონდეს? (იხ. ევროკონსტიტუცია, თავი „ევროკავშირის სიმბოლოები“). ვის სურს, რომ თითოეული ადამიანის „პიროვნული შეხედულებებისა“ და „ღირებულებების მიხედვით გათანაბრდეს მთელს მსოფლიოში ყველაფერი – „რელიგიები“, „ეკლესიები“, „ადმსარებლობები“, „ფილოსოფიური ორგანიზაციები“ და „არარელიგიური გაერთიანებები“? (იხ. თავები 1-52, 2-70 და 71, 2-81 და 82, 3-118, 3-124, 3-210 №1 და 3-257 &3). დაბოლოს, ვის სურს, რომ განურჩევლად ყველა სექსუალური პათოლოგია ჩაითვალოს, როგორც, თითოეული ადამიანის „სექსუალური ორიენტაციის“ არჩევანი და უფლება? (იხ. თავი 2-81 &1, 3-118 და 124 &1).

ამრიგად, ამ ახალ ევროპაში ყოველი თეორია, ფასეულობა, იდეოლოგია და სწავლება – ათეისტების, კერპთაყვანისმცემლების, ანტიქრისტიანების (ეუდუს აფრიკელი ჯადოქრების, აზიელი შამანების, პოლიტეისტების, ცეცხლთაყვანისმცემლების, ანიმისტების, სატანისტების და სხვ.), უამრავი ცრუქრისტიანის, ცრუფილოსოფოსის, ცრუწინასწარმეტყველის და ოკულტისტების, კაბალისტების, აგნოსტიკების, ასტროლოგების, მედიუმების, პარაფსიქოლოგების, ტელეპატების და ა.შ.), აგრეთვე ყველა ჯურის ფსიქონომალის და გარყვნილის (მამათმავლების, ლესბოსელების, პედოფილების, სოდომიტების, მახოხისტების, ფეტიშისტების, ნეკროფილების და სხვა) – უნდა გახდეს თანაბრად პატივსაცემი, რომ სრულიად „თავისუფლად“, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოხატონ, გაავრცელონ და ასწავლონ თავიანთი შეხედულებები (იხ. თავი 2-670, 2-71 და 2-73), არ განიცადონ არანაირი „დისკრიმინაცია“ (იხ. თავი 1-2, 2-81 &1, 3-118 და 3-124), „რასიზმი“ (იხ. თავი 3-257 &3) ან „საზოგადოებრივი იზოლაცია“ (იხ. თრავი 1-3 & 3ბ, 3-204ა, 3-210-1).

აი ასეთია საოცნებო „დემოკრატია“!..

შესაძლოა, ვინმე, ვინც ზემოთ დაწერილს

წაიკითხავს, თითქოსდა ლოგიკური შეკითხვით შეგვეწინააღმდეგოს: „კარგით, ბატონო პალეცაკის, მაგრამ ეს არის თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მათგან, რასაც ევროკონსტიტუცია სთავაზობს ევროკავშირის მოქალაქეებს? განა ამდენი საკითხის წინაშე, რომლებიც აწესრიგებენ უფლებებისა და ფასეულობების სისტემას და უზრუნველყოფენ საყოველთაო „მშვიდობას“, „კეთილდღეობასა“ და „უსაფრთხოებას“ (რაშიც თავის დროზე საბერძნეთის პარლამენტის თავმჯდომარემ ქალბატონმა ანა ფსარუდაბენაკიმ დაგვარწმუნა), სერიოზულია და შესაფერისი, რომ ევროკონსტიტუციაში ღვთის ან ქრისტიანობის შესახებ ჩანაწერის ან ჰომოსექსუალიზმის უარყოფითობის გამო ვინერვიულოთ?

პასუხი ამგვარ სავარაუდო შეკითხვაზე შეუძლებელია უფალ იესუ ქრისტესა და მისი მოციქულების სიტყვითა და სწავლებით არ იყოს გაჯერებული: არანაირი „კეთილდღეობა“, „მშვიდობა“ და „უსაფრთხოება“ არ შეიძლება არსებობდეს და არც ქრისტიანები შეიძლება მოელოდნენ რაიმეს იმ თვალისმომჭრელად გაპრიალებული, ბილწი და ღვთისმგმობი, აპოკალიფსური „უსჯულოების საიდუმლოს“ „ევროკავშირად“ წოდებული ნაგებობიდან, რომელსაც სურს არსებობდეს და ყვოდეს უფალ იესო ქრისტეს უარყოფითა და გმობით! („ხოლო პირველად ჯერ-არს მისა ფრიად ვნებად და შეურაცხყოფად ნათესავისა ამსიგან“. ლუკა 17:25). მართლაც, „... რაჟამს თქუან: მშვიდობა და კრძალულება, მაშინ მეყსეულად მოიწიოს მათ ზედა მომსრველი“ (1 თესალ. 5:3).

სხვადასხვა ქვეყნების მიერ ევროკონსტიტუციის მოწონებითა და მიღებით, ეტაპობრივად და შეუმჩნეველად აღესრულება დიდი განდგომილება ქრისტესაგან, რომლის სახელიც დღემდე ევროპის მოსახლეობის შემაკავშირებელი იყო. უკვე მოაღწია დრომ, როდესაც იესუ ქრისტეს უარყოფელი „უსჯულოების საიდუმლო“ ძალების მიერ ავანსცენაზე გამოყვანილ უნდა იქნეს მათი მიწიერი წარმომადგენელი – ანტიქრისტი! („... უკეთუ არა მოვიდეს განდგომილება იგი პირველად... გარნა ხოლო, რომელსა-ესე უპყრიეს აწ, ვიდრემდე შორს განვიდეს, და მაშინ გამოჩნდეს უსჯულო იგი“. 2 თესალ. 2:3-8). „ქვა“, რომელიც

ევროპის „მშენებლებმა“ იესუ ქრისტეს ნაცვლად აირჩიეს ევროკავშირის შენობის „ქვაკუთხედად“, ბაბილონის კედელივით დაიშლება და ჰაერში გაიფანტება (ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა;... ამისთვის გეტყვი თქვენ, ... რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განანქრიოს იგი“. მათე 21:42-44).

ჩვენ, უფლის სიტყვების შესაბამისად („რამეთუ ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურ არს“. მათე 12:33), უნდა შევიცნოთ და გავარჩიოთ ხე (ევროკონსტიტუცია), ნაყოფისაგან (ჰომოსექსუალიზმის პატივსაცემ და ცხოვრების ბუნებრივ გზად აღიარება). ნუთუ შესაძლებელია, რომ ევროკონსტიტუციისაგან, რომელიც იცავს და ხელს უწყობს სიბილწეებსა და ანომალიებს, რაიმე სიკეთეს მოელოდნენ ქრისტიანები? („ეგების-მეა, ძმანო ჩვენო, ვითარმცა ლელუმან ზეთის ხილი გამოიღო, გინა ვენახმან ლელი?“ იაკ. 3:12).

ამრიგად, ევროკავშირის შენობის საფუძველში იესო ქრისტეს უარყოფა სწორედაც რომ ყველაზე მნიშვნელოვანი და სერიოზული საკითხია! ხოლო ჰომოსექსუალიზმისა და ყოველგვარი გარყვნილების მიხნევა ცხოვრების ბუნებრივ წესად – ბოლო ჟამის ნიშანი და მაჩვენებელია.

თუკი დღეს, 21-ე საუკუნის დასაწყისში, საბერძნეთში – ქვეყანაში, რომელიც ჯერჯერობით მართლმადიდებელია – აქამდე მივედით, თუკი „უსჯულოების საიდუმლო“ ძალების სხვადასხვა ჯურის მიწიერ მსახურთა სწავლებებმა გარყვნილებისა და უზნეობის ასეთ დონეს მიაღწიეს, თუკი ჩვენი ქრისტიანული საზოგადოება მშვიდი სინდისითა და უგრძობი გულით ეგუება თითქოსდა ქრისტეს ეკლესიის მამათმავალ „მოდვრებს“, მღვდლებს(!) და მღვდელმთავრებს(!), ისევე როგორც მამათმავლების დემონსტრაციებს, მსვლელობებს, სილამაზის კონკურსებს და ერთსქესიანთა „ქორწილებს“, დაე, იმ ქრისტიანებმა, რომელთაც ჯერ კიდევ შემორჩათ მყარი რწმენა უფალ იესო ქრისტესი და ჯერ კიდევ ინარჩუნებენ პატიოსან სინდისს, გაიაზრონ: გარყვნი-

ლების, სიბილწის, უზნეობისა და თავაშვებულობის რა დონეს მიაღწევს „ახალი ეპოქის“ მსოფლიო 21-ე საუკუნის შუაწლებში. ბევრი მაშინ გაიგებს კარგად (ზოგი შესაძლოა პირველადაც), თუ რას გულისხმობდა დემერთაკაცი იესო ქრისტე, როდესაც ბოლო ჟამის ნიშნებს გვამცნობდა: „და ვითარცა-იგი იყო დღეთა მათ ნოესთა, ეგრეთ იყოს დღეთა მათ ძისა კაცისათა: ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებოდეს და განჰქორწინებდეს ვიდრე... მოიწია წყლით-რღუნაი და წარწყმიდნა ყოველი. და ეგრევე ვითარცა-იგი იყო დღეთა ლოთისთა: ჭამდეს და სუმიდეს, იყიდდეს და განჰყიდდეს, ნერგსა ასხმიდეს და აშენებდეს; და რომელსა დღესა განვიდა ლოთ სოდომით, აწვიმა ცეცხლი და წუნწუბაი ზეცით და წარწყმიდნა ყოველი. ესრეთვე იყოს დღე იგი, ოდეს ძე კაცისაი გამოჩნდეს“ (ლუკა 17:26-30).


ეს არის ქრისტიანული შეფასება ევროკონსტიტუციად წოდებული ქალაქზე დაწერილი უკანონობისა მხოლოდ ერთი – ჰომოსექსუალიზმის – კუთხით.

იმ მოდერნისტ და ნოვატორ „ქრისტიანებს“, რომელნიც ჰომოსექსუალიზმს „სექსუალური ორიენტაციის“ ერთ უბრალო და სრულიად ბუნებრივ არჩევნად აღიარებენ, გულწრფელად ვუსურვებთ კარგად იყვნენ და ექნეთ იმის ბედნიერება, როდესმე ახალი ევროპის რომელიმე მერიაში ან „ტადარში“ სიხარულით წაიყვანონ დასაქორწინებლად – მათივე თანამოაზრე ჰერმოდროდიტ მღვდლებთან თავიანთი ვაჟიშვილები – როგორც სასძლოები, და ქალიშვილები – როგორც სასიძოები, და, როგორც ბებიებსა და ბაბუებს, ეზეიმოთ თავიანთი შვილიშვილების წარმატება... მის მსოფლიო ტრანსვისტიტის ან „სუსტი უკანალის“ (არისტოფანეს მიხედვით) სილამაზის კონკურსზე.

ინგ. საიტი „HOPQODOEIA STHN EΛΛΑΔΑ KAI TON KOΣMO“

13 ივნისი 2005 წელი
ახალბერძნულიდან თარგმნა

ზურაბ ალასანიანი



QARTULI ENA

(საგალობლის ტექსტი)

ქართული ენა სამშობლოს ხმაა,
კავკასიონით ცის კამარამდე,
საქართველოა, იბერიაა –
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

ქართული ენა დედა-ენაა,
„სიტყვის კონაა“, „ანბანთქებაა“,
ათი მცნება და ნეტარებაა,
გოლგოთაა და ამადლეებაა.

ქართული ენა საღმრთო მადლია,
უფლის კვართია, მეფის ბაღია,
წმიდა ნინოს ვაზის ჯვარია,
მაყვლოვანია, ტალავარია.

ქართული ენა იავ-ნანაა,
მესხეთია და – ოშკი, ბანაა...
ოდოშია და პურის ყანაა,
ოსანაა და სულთათანაა.

ქართული ენა თვით ლაზარეა,
მიძინებული სამარეშია,
კვალად აღდგების ძლიერებითა,
ოდეს მოვალსო ქრისტე მესია.

ქართული ენა სამშობლოს ხმაა,
კავკასიონით ცის კამარამდე,
საქართველოა, იბერიაა –
ნიკოფსიითგან დარუბანდამდე.

გამომცემლობა „კოლორმა“ დასტამბა
სამთავროს წმიდა ნინოს დედათა
მონასტრის წინამძღვრის ილუმენია
ქეთევანის ლექსთა კრებული, სათაურით
– „ივერთა მზეო, ქართველთ ლხენათ“.
განმეორებით და შევსებულ კრებულში
შევიდა დედა ქეთევანის ახალი ლექსი
„ქართული ენა“, რომელიც არის ჰიმნი
დედა ენისა, ქართული სულისა.

კრებული ეძღვნება სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს,
უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს.

აღსანიშნავია, რომ ლექსის ტექსტზე
საგალობელი დაწერა კომპოზიტორმა
დავით აღიბეგაშვილმა.



~ YOVEL TATVS JAMI ARS~

წმიდა ნინოს ცხოვრების ახალი რედაქციის გამო



თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2014 წლის ნინობისთვის (27 იანვარი) ქართველმა მკითხველმა მიიღო ჩვენი განმანათლებლისა და სულიერი დედის – წმიდა ნინოს ცხოვრების **ახალი, შედგენილი რედაქცია** – „**ცხოვრება წმიდისა ნინოსის**“, რომელიც სანდო, საუკუნეებით „გამოცდილი“ მასალიდანაა ამოზრდილი. როგორც თავად გამოცემის შემდგენელი, რედაქტორი, კომენტარების ავტორი და მხატვარი **მაკა (მანანა) ჩხაიძე** წიგნის წინათქმაში გვამცნობს, ტექსტი წარმოადგენს წმიდა ნინოს ცხოვრების ხუთი უძველესი წყაროს (მოქცევაჲ ქართლისაჲ, ლეონტი მროველისეული, არსენისეული, უცნობი ავტორისა და ნიკოლოზ გულაბერისძისა) „შეჯერებულ და გაერთიანებულ ვერსიას“, ამასთანავე, გათვალისწინებულია მოციქულთა სწორისადმი მიძღვნილი საეკლესიო საკითხავები და საგალობლები.

თუმცა, „ცხოვრება წმიდისა ნინოსის“ გამორჩეულია არა მხოლოდ რედაქციულად, არამედ მხატვრობით, პოლიგრაფიულად და აკადემიურობით, რის შესახებაც მაკა ჩხაიძის წიგნის პრეზენტაციაზე ერთხმად აღინიშნა გამომსვლელთა მიერ. ამჯერად, წინამდებარე წერილში, საგანგებოდ შევჩერდები მის ენობრივ მხარეზე.

ამთავითვე უნდა ვთქვათ, რომ წმიდა ნინოს ცხოვრების ახალი რედაქციის გამოცემით, კერძოდ, მასში აღბეჭდილი ძველქართული რედაქციების მცირედადაპტირებული ტექსტით, საქართველოს ეკლესიის მრევლს მიეცა შესაძლებლობა, მისწვდეს ძველქართული ენობრივი მასალის წაკითხვის **ახალ – საეტაპო** საფეხურს, რისი მეოხებითაც იგი მიეახლება ღვთის წყალობით „შემკულ და კურთხეულ“ ქართულ ენაზე პირველქმნილ საეკლესიო-საღვთისმეტყველო ლიტერატურას.

ჭეშმარიტად: „**ყოველთათვის ჟამი არს და ჟამი ჩანს ყოვლისა საქმისა ცასა ქუეშე**“ (ეკლესიასტე 3, 1). გასული საუკუნის 70-80-იანი წლებიდან მოკიდებული, დღემდე გამოიცა საეკლესიო ლიტერატურის **ძველქართული თარგმანები**, ისე ამავე ლიტერატურული ძეგლებისა და ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა **ახალქართულენოვანი ვარიანტები** და ვერსიები (და არა – თარგმანები!). იმ დროისათვის, როცა ძველქართულ ენობრივ სამყაროში ჩაუხედავი მრევლი, გასაგებ მიზეზთა გამო, მოწყვეტილი იყო საეკლესიო ლიტერატურას, ამ სახის ახალქართულენოვან გამოცემებს განსახდგრული ფუნქცია დაეკისრა: ღვთის სიტყვას როგორმე უნდა მიეღწია ქრისტიანის გულამდე და გონებამდე, რაც აღინიშნებოდა კიდევ ხსენებული გამოცემების წინასიტყვაობაში.

ასე რომ, ამ ფუნქციით დატვირთული ახალქართულენოვანი გამოცემები უნდა ყოფილიყო მხოლოდ საშუალება და არ



უნდა გადაქცეულიყო მიზნად (მით უფრო, თვითმიზნად!) – იმ „უამამდე“, სანამ ჩვენი ეკლესია და მისი მრევლი გაძლიერდებოდა. მადლობა ღმერთს, ბოლო 15-20 წლის განმავლობაში საღვთისმეტყველო ლიტურატურის გამოცემის საქმე საგრძნობლად განვითარდა და წარმატა. ამაზე მეტყველებს მაკა ჩხაიძის მრავალწლიანი თავდაუზოგავი და კეთილგონივრული რუდუნებით გამოღებული კეთილი ნაყოფი, რომელიც ძველქართული ტექსტის მაღალოსტატური რედაქტირებითა და კონკრეტული მიზნით აღჭურვილი ადაპტირებით არის წარმოჩენილი, კერძოდ: ტექსტის ადაპტირება და რედაქტირება შემოიფარგლება ძველქართული ე.წ. „გადავარდნილი“ ასობგერების ამოღებით (ასო დ-ის გამოწაკლისი გამოყენებით), ზმნა-შემასმენლის ახალქართული მორფოლოგიური წარმოების ფრაგმენტული ჩანაცვლებით (მაგ.: ახ.ქ.წილად ხედა – ძვ.ქ.ხუდა წილით) და რამდენიმე ორთოგრაფიული ჩასწორებით (მაგ.: ახ.ქ.მღვდელი – ძვ.ქ.მღვდელი).

ამის საპირისპიროდ, თითქმის სრულადაა შენარჩუნებული ძველქართული: ა) ორთოგრაფიის უდიდესი ნაწილი (მაგ.: უშიშად, ჰყვანდა, იქმნა განდგო-

მა, წარმოემართა, ასწაონ); ბ) სახელთა ბრუნებისა და კუმშვა-კვეცის თავისებურებანი (მაგ.: ორ შვილ, წმიდამან ნინო, პატრიარქსა რომისასა, განმანათლებელად, ქალაქად იერუსალემად); გ) მსახდვრულ-სახდვრულის პოსტპოზიცია (მაგ.: მოწაფეთა მისთა, შეწვენითა ქრისტესითა, წმიდასა საფლავსა უფლისასა); დ) თანდებულები (მაგ.: პირსა ზედა თვისსა, მათ დღეთა შინა, მათ თანავე); ე) ზმნის მორფოლოგია (მაგ.: ჰრქვა, აქუნდა, მიმობიოდა, შეაერთნა ქვეყანისანი, გეყავნ შენ...); ვ) მარტივი სინტაქსური კონსტრუქციები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – ლექსიკური მარაგი, რომლის ნაწილი ტექსტის შემდგენელმა ხელთ არსებული წყაროებიდან და ლექსიკონებიდან ამოკრებილი იმ სინონიმებით ჩაანაცვლა, რომელთა მნიშვნელობა არ აბუნდოვანებს შინაარსს.

გარდა ამისა, შესანიშნავ ილუსტრაციებთან ერთად, ყურადღებას იქცევს სიმყუდროვის განცდის აღმძვრელი, საოცრად თბილი – „ქართული“ შრიფტი, რომელიც აგიოგრაფიული ჟანრის თხზულების მკითხველში სანატრელ კრძალულებას იწვევს.

ამდენად, წმიდა ნინოს ცხოვრების ახალი რედაქცია, თავისი ახალი ენობრივი სტატუსით, ქართველ მკითხველს შესანიშნავ საშუალებას აძლევს, იგემოს ის სიტკბოება და სურნელი, რომელიც დიდებული ქართველი წინაპრის ხელიდან გამოსულმა მადლმა შესძინა ჩვენს სათაყვანებელ ქართულ ენას. მიზანი კი ეკლესიის მრევლის კიდევ უფრო მეტად მიახლება ძველქართულ ენობრივ სამყაროსთან, რაც არის არა მარტო ვალდებულება, არამედ საღვთო შესაწირი და მსახურება.

მადლობა შევწირეთ უფალ ღმერთს, რამეთუ ვიხილეთ წიგნი, რომლის შემდგენელმა, რედაქტორმა და მხატვარმა – მაკა ჩხაიძემ ერთგულად აღასრულა ჩვენი სულიერი დედის – წმიდა ნინოს ანდერძი: „რათა დღითი-დღედ განმრავლდებოდის და განძლიერდებოდის სამწყსო ქრისტესი“. ამინ.

დოდო (მარიამ) დლონტი,
ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი
2014 წლის 14 თებერვალი

~ CXOVREBA WMIDISA NINOSI ~



„ცხოვრება წმიდისა ნინოსი“ – წიგნი, რომელიც ერთმა პიროვნებამ – მაკა (მანანა) ჩხაიძემ შეადგინა, დაასურათა და გამოსცა, სიყვარულითა და სიხარულით აღსავსე ნაშრომია.

ხუთი უძველესი წყაროს სიღრმისეული შეერთების, მრავალწლიანი შრომის საფუძველზე დაიბადა ეს ორიგინალური ნაშრომი, რომელშიც თხრობა ერთიანი და უწყვეტია. ენა – სრული სისავსით მომცველი, უძველესი საეკლესიო ქართულის სიღრმისეული ხედვისა და მუსიკალური ჟღერადობისა; ამასთანავე, იგი გამჭვირვალედ და მსუბუქად გვიამბობს ახალი ქართულით.

რა თქმა უნდა, ნაშრომი მკაცრად

ეფუძნება წყაროებს, მაგრამ ურთულესი იყო ვერსიათა შორის იმგვარი არჩევანი, რომ მკითხველისთვის თვალსაჩინო გამხდარიყო ის ნიუანსები, რომელთა ერთიანობამ წიგნი არსებითად ახალ თარგმანებად წარმოადგინა.

და მართლაც, ამ წიგნზე შეიძლება ითქვას, რომ იგი წმინდა ნინოს ცხოვრების სამგვარი კომენტირებაა. უპირველეს ყოვლისა, ეს არის თვით თხრობის წარმართვა, ანუ წყაროთა შერჩევა – შეჯერება. მეორე სახე კომენტირებისა ტექსტს ბოლოში აქვს დართული. მათში განმარტებულია წმინდა ნინოს ცხოვრებისა და ქართლის მოქცევის სხვადასხვა წყაროთა სივრციდან მომავალი გარკვეული კითხვები. ავტორი, რომელიც თავად ისტორიის მეცნიერებათა დოქტორია, პრობლემებს ისტორიული სიღრმითა და სიმკაცრით გადაიაზრებს, მაგრამ მკითხველს უბრალოებითა და სისადავით აწვდის მეცნიერულ სიახლეებს. მესამე, უმნიშვნელოვანესი კომენტირება აგვირგვინებს ამ წიგნის სულიერ ღირებულებებს – ეს მისი დასურათებაა. მაკა ჩხაიძე თვითონ ხატმწერი, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს თბილისის სასულიერო აკადემიის სემინარიის ხატმწერის სახელოსნოს და ბევრი ახალგაზრდა მხატვარი აღზარდა. თავად დაწერილი აქვს მრავალი ხატი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ივიროგორც მინიატურისტი და წიგნის ილუსტრატორი. აქ ყურადღება ბევრ რამეზე შეიძლება გამახვილდეს. უპირველეს ყოვლისა, საკვანძო ეპიზოდების გამორჩევა და მათი დასურათების გზით ინტერპრეტირება, ქმნის არაჩვეულებრივ სულიერ სივრცეს.

ყურადღებას იპყრობს წიგნის ფერადოვნება. შერჩეულია ფურცლოვანი ოქროს ერთიანი ჟღერადობა, რომელშიც დიდი თავშეკავებითა და გემოვნებით არის შეტანილი ძოწისფერისა და მოხეთისხილისფრო ნიუანსები. ოქრო, როგორც ფერი უხრწნელებისა,



ხატწერაში უმთავრესი დატვირთვის მქონეა. ოქროსფერის დომინირებით, მკითხველს უწყვეტად თან სდევს მარადიულობის ზეიმის განცდა. ამგვარი შერჩევით მხატვარმა არსებითად ხილულად განგვიმარტა ქართლის მოქცევის უმთავრესი საზრისი – წმინდა ნინოს მოციქულებრივი ღვაწლით დასრულდა წარმართობა (წარწყმდა ბოროტი) და დადგა უამი „ქართლის ცხოვრებისა“ (აღსანიშნავია, რომ ეს სახელდება, რომელიც შემდგომ მთელი საქართველოს ისტორიის არსის გამომხატველი გახდა, სწორედ წმინდა ნინოს ეკუთვნის). ანუ ოქროსფერი არის ცხონების სახე – სიმბოლო, ისევე, როგორც ძოწისფერი – მაცხოვრებელი მსხვერპლის გამოხატულება. ოქროსფერისავე ძალით, წიგნის რთული და მდიდარი თხრობა ერთიანდება და იძენს ზედროულობის განცდას. ამავე ფერით არის დაწერილი უამრავი პატარა ჩიტი, რომელიც წიგნის სივრცეში „დაფრინავს“. ისინი თითქოს მსახურებენ თხრობის მდინარეებს.

მთლიანობაში, „ცხოვრება წმიდისა ნინოსი“ არაჩვეულებრივად არის შეკრული. მასში ილუსტრირება იმგვარად ვითარდება, რომ მკითხველი სულმოუთქმელად გადაჰყავს გვერდიდან გვერდზე, ფურცლიდან ფურცელზე, სცენათა შორის უწყვეტი კავშირია. ამასთანავე, ყოველი მათგანი კომპოზიციურად დასრულებული

სურათია, რომელსაც მკითხველი ამბის მისტიკურ სიღრმეში შეჰყავს.

განსაკუთრებით მეტყველია სახეები. ტიპაჟი ზოგადია, მაგრამ ყოველი პერსონაჟი კონკრეტულ ეპიზოდში განსხვავებული სულიერი მდგომარეობითა და ემოციით იფერება. უპირველეს ყოვლისა, ეს ჩანს თვით წმინდა ნინოს სახეზე: იგი სრულიად მინდობილი და ანთებულია ყოველადწმინდა ღვთისმშობლის წინაშე; შემოფოთებული, მაგრამ მტკიცეა, როდესაც პატრიარქი იუბენალი აკურთხებს გზის დასაწყისში; მოულოდნელობით შეძრული, მაგრამ ამასთანავე სრულიად მორჩილი, მაცხოვრის წინაშე მუხლმოყრილი, როდესაც იღებს „ათ სიტყვას“. რამდენადმე ტრანსცედენტულია მისი მზერა საკვირველი ჩვენებისას, მტკიცე და მკაცრი – მაყვლოვანში ლოცვისას. პიროვნებათა გამომეტყველებაში ჩენილი სულიერი მდგომარეობანი აცოცხლებენ ისტორიულ დროს.

თითქოს შემკობის მიზნით გამოიყენება ელემენტები, რომლებიც არსებითად თარგმანებითი ხასიათისაა. მაგალითად, ერთგან ნაჩვენებია ეკალი ვარდებითურთ, ხოლო წმინდა ნინოს მიძინებისას კი სივრცე შემკულია უეკლო ვარდის რტოებით, რითაც ცხადდება ანგელოზის წინასწარმეტყველება: „ესრეთვე იყოს წარყვანებაი შენი, ოდეს ეკალი ეგე, რომელ არს გარემოს შენსა, იქმნეს ვარდ სულნელ და მეწამულ შენ მიერ“ და მინიშნებაა საქართველოს მოქცევისა განსრულებაზე.

წიგნში ხატწერის კლასიკურ მხატვრულ ენასთან ერთად სინთეზირებულია ხედვითი უშუალობა და ბავშვური სიყვარული. მაგალითად, ორ ფურცელზე გაშლილია თხრობა, სადაც თავში, პირობითად გამოხატული ტბიდან, გამოდის წყლის უწყვეტი ნაკადი, რომელიც უკავშირდება მცხეთას და იგი ილუსტრაციაა, თუ წმინდა ნინო როგორ მიჰყვა „მდინარესა მის ტბისასა“. ამ კუთხით, წიგნის კულმინაციაა მოციქულთასწორის მიერ ქართლის ნათლისღების ხილვა. აქაც წიგნის ერთი გვერდის ოლედან ეშვებიან შავი ჩიტები, ევლებიან ტექსტს და უკვე მეორე გვერდზე, მას შემდეგ, რაც გაივლიან ნათლის-



ღების წყალს, განსპეტაკებულები ხედებიან მოციქულთა სწორს საკვირველ, უქრობელ სივრცეში, სადაც, ხელგანპყრობილი წმინდა ნინო დგას აყვავებულ კვიპაროსსა და მის ფესვებში ჩენილ კვართთან ერთად, რომელიც სიღონიას შეუტკბია. ეს სივრცე იმდენად სუფთა და სახეიმოა, რომ მნახველს უნებლიეთ უნდება მასში შესვლა.

ადამიანის სულის ღრმა წვდომა და სიმბოლური ენით თავისუფალი თხრობა გამოარჩევს წმინდა მირიან მეფის ნადირობას სცენას. პირველ გვერდზე სანადიროდ მიმავალი მეფე მხედრებითურთ ცხენზე ამხედრებულა. აქ იგი ბჭობს, თუ როგორ უნდა მოსრას ქრისტიანები. მის გულქვა, ამპარტავან სახეს იქვე, მეორე გვერდზე, ენაცვლება უკვე მოქცეული მეფე, რომელიც შემუსვრილი გულით და სასოებით მუხლმოყრილი შეპყრებს ჯვარსახოვნად გაბრწყინებულ მზეს. აქვე – ცხენი და ირემი, სცენის თანამონაწილეები, ფართოდ გახეილი თვალებით, განასახიერებენ უძველეს ქართულ სიტყვას – სულდგმულებს. სამაგიეროდ, სვეტიცხოვლის სასწაულისას ეშმაკთაგან ჩვენებულ სპარსთა ღაშქარში თვალები არავის უხელია, ნიშნად მათი უსულობისა და არარსებობისა.

წიგნის მინიატურა „აღმართება

სვეტისა ცხოველისა“, შეიძლება ითქვას, მინიატურაა, რომელსაც მონუმენტურობა განმსჭვალავს. ფურცლის ერთ გვერდზე უჩვეულო სახილველით დამძიმებულ დედათა გუნდს სძინავს. მხოლოდ სიღონია, აბიათარი და შროშანა მოუცავს უჩვეულო სახილველს. მათი მზერა მიმართულია წიგნის მეორე გვერდზე გამოსახული სვეტიცხოვლის სასწაულისაკენ. მრავალგზის ინტერპრეტირებული ეს სცენა აქ ახლებურად იხილება. იგი მკაფიოდ სამნაწილიანია, რითაც ქარაგმულად მოიცავს მისტიკურ ცოდნას სვეტიცხოველზე, როგორც უფლისმიერ მომადლებულ და ამასთანავე დაფარულ ცხოვრების ხეზე, რომელიც ჟამის აღსასრულამდე საქართველოს მსახურების მთავარი სახეა. აქვე ვედრებად მუხლმოყრილა წმინდა ნინო ვაზის ჯვრით. ამ მინიატურაში გადმოცემული სამყაროული მასშტაბი და იქვე ფესვიდან ამოყრილი პატარა რტო, ნიმუშია ნამდვილი მონუმენტური აზროვნებისა, სადაც დიდსა და მცირეს, ყველას და ყველაფერს, შეუცვლელი მნიშვნელობა გააჩნია.

ამ წიგნზე კიდევ ბევრი რაიმეს თქმა შეიძლება. საბოლოოდ, მისი უმთავრესი ღირსება, სხვა მრავალთან ერთად, არის უდიდესი სიყვარული, როგორც წმინდა ნინოსი, ასევე ქართლის ცხოვრებისა და, ზოგადად, სიყვარულია, რომელიც წმინდა ღირსი გაბრიელ სალოსისა და აღმსარებლის სიტყვებით, თავად ღმერთია.

წიგნის გამოცემით, მაკა ჩხაიძემ შეგვახსენა ანდერძი წმინდა ნინოსი ქართველთადმი: „დაიცვეით მტკიცედ მართალი სარწმუნოება ქრისტიანობისა და ბეჭედი წმიდისა ნათლისღებისა. ყოველთა ერთა თქვენთა შემდგომითი-შემდგომად მიუთხრობდით აღსრულებულთა სასწაულთა საკვირველთა და დიდებულებასა ღმრთისასა, რომელნი იხილეთ, რათა დღითი-დღე განმრავლდებოდის და განძლიერდებოდის სამწყსო ქრისტესი“.

ასმათ ოქროპირიძე
ხელოვნების მეცნ. დოქტორი

მონოზენის ალქმა

კ ი თ ხ ე ა - მ ი გ ე ბ ა



უკეთუ მოსრულხარ წინაშე ღუთისა, გეითხაე სიმძედიო
და მომიგე ზუენ ყოვლითა კრძალულებითა:

კითხვა: რაისათვის მოსრულხარ, ძმაო, შეერდომით, წმიდასა
ამასა მსხვერპლის შეწირვასა და წმიდათა ამით კრებულთა?

მიგება: მსებაეს განძობებაი სოფლისაგან, ბაჭთოსანო ძაძაო.

კითხვა: ნებითა შენითა ღირს იქმნებია ანგელოსებრივსა ამას ხახესა
და წესსა გუნდთა მონოზენითა?

მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაჭთოსანო ძაძაო.

წინამძღუარძან: ხოლო რაეამს აღვიწვევის კეთილი და სანაყრელი ესე
საქმიე, უკეთუ გნებავს განსრულებაი კეთილისა საქმისა,
შრომითა, რუგუნებთა და ტყევილითა განსრულდების.

კითხვა: ნებნით გონებთა შენითა მონუალა წინაშე უფლისა?

მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაჭთოსანო ძაძაო.

კითხვა: დაიტავა ქალწულებასა შესსა ყოვლითა გონებთა და ხასთებთა?

მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაჭთოსანო ძაძაო.

კითხვა: ცხოვრებასა შინა შესსა ვიდრე სიკვდილდე ძყოფა
მონწილებასა უფროსისასა, და ყოველთა ქრისტიკს მიერ ძმათასა?

მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაჭთოსანო ძაძაო.

კითხვა: დათქენა ყოველსა ძვირისხილვასა, იწრთებასა, ბოროტთა
მიერ აღძრულსა მხაკუარებასა, სასუფეველისათვის ცათასა?

მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაჭთოსანო ძაძაო.